პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში — ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 50 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— 5 სექტემბერს გაიხსნება ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა.
— დიდი წყალდიდობა აღმ. გალიციაში — რუმინეთში. — ნახევარი ბუქარესტი წყალშია.
— რემედასის ც. კ. დელეგაციას გზავნის მოსკოვში ოქტომბრის ზეიმზე.
— საფრანგეთის მთავრობამ დე-ჟიუვენელის მაგიერ ერთა ლიგის სესიაზე დელეგატად დანიშნა იუბერი.
— იაპონია აღფრთოვანებულ წერილებს უძღვნის საბჭ. მფრინავების გადაფრენას ტოკიოში.
— მიტინგები პარიზში ამხ. მარტის განთავისუფლების სასარგებლოდ.
— ფაშისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაშლა ჩეხოსლოვაკიაში.
— გაფიცვა ინდოეთში.

კვირა, 4 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 200 (1945)

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მშრომელი ახალგაზრდობის დღე

ოთხი სექტემბერი მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა. ყოველწლიურად ამ დღეს რევოლიუციონური ახალგაზრდობა ახდენს თავის ძალების კონცენტრაციას, ამოწმებს წარსულ მუშაობას და განახლებული ენერგიით უდგება ახალგაზრდათა რევოლიუციონური ძალების შემდგომ მობილიზაციას კაპიტალიზმის ბატონობის დასამხობად იქ, საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ და სოციალისტური მეურნეობის განსავითარებლად პროლეტარიატის დიქტატურის ერთად-ერთ ქვეყანაში—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიად კავშირში.

ეხლანდელი 4 სექტემბერი განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულთა შორის; ეს არის დღე, როცა მშრომელი ახალგაზრდობა თავის სამ დიდ უქმეს დღესასწაულობს. დღეს საქ. ახ. ლ. კ. კ. უსრულდება მისი არსებობის ათი წლის თავი, დღეს შესრულდა ოცი წელი მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის სახელოვან ბელადის კარლ ლიბკნეხტის მეთაურობით ახალგაზრდათა შტუტგარტის კონფერენციაზე თავი მოიყარა რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ.

დღევანდელი ოთხი სექტემბერი წარმოადგენს მშრომელი ახალგაზრდობის ზეიმის მორიგ მე-13 საერთაშორისო დღეს.

საქ. ახ. ლ. კ. კ. დაიბადა და იზრდებოდა უდიდეს რევოლიუციონურ ქარტეხილის დროს. მაშინ, როდესაც ქართველ სოციალ - მოღალატეების კუდს, ახალგაზრდა მარქსისტთა დამყაყებულ ორგანიზაციას გამოეყო ბოლშევიკურად მოაზროვნე მოწინავე ჯგუფი, რომელმაც დაარსა რევოლიუციონური ახალგაზრდათა ცალკე ორგანიზაცია სპარტაკის სახელწოდებით, რუსეთში მძვინვარებდა სამკვდრო-სასიცოცხლო სამოქალაქო ომი, ხოლო აქ, საქართველოში მეფობდა პირწავარდნილი რამიშვილური რეაქცია, რომელიც ყოველი საშუალებით სდევნიდა და სისხლში ახრჩობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციის ყოველგვარ ჩანასახს.

საქ. ახ. ლ. კ. კ., როგორც რევოლიუციონური და მაღალი იდეალებით გატაცებული ორგანიზაცია არ შეუდრკა მენშევიკურ ტერორს. ის ახალგაზრდული აღტკინებით, ჭაბუკური გატაცებით გადაეშვა ბრძოლაში.

კომუნისტურ ახალგაზრდობამ ჩვენს პარტიასთან ერთად და მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველოს მუშებისა და გლეხების მენშევიკურ უღლისაგან განთავისუფლების საქმეში, მან პარტიასთან ერთად აატრიალა ოქტომბრის რევოლიუციის დროშა საქართველოში.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება საქ. ახ. ლ. კ. კ. რევოლიუციონური დამსახურება. არანაკლები ენტუზიაზმით გადეშვა ის კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობაში, როდესაც ბრძოლა ხელისუფლების დაპყრობისათვის საქართველოს მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ დამთავრდა და. გამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დაისვა მშვიდობიან აღმშენებლობის ამოცანა.

ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში და კულტურულ დარგში კომკავშირი ყველგან აქტიურ და მოწინავე ძალას წარმოადგენს. რაც დრო გადის, მით უფრო შესამჩნევი ხდება კომკავშირის კულტურულ-სამეურნეო საქმიანობა.

ამასთან ერთად კომკავშირი უმზადებს პარტიას მესამე თაობას. ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას პარტია უმთავრესად კომკავშირის საშუალებით ხელმძღვანელობს. კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგები შეუჩერებლივ იზრდება მომავალ თაობათა, მოწინავე ახალგაზრდობის ხარჯზე. და ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის კომკავშირს. ის არის არხი, რომლითაც კომუნიზმისათვის მებრძოლთა ძველი გვარდიის რიგებს ემატება ნორჩი, ენერგიით და რევოლიუციონური თავდადებით აღსავსე ახალგაზრდა მეომართა ათეული ათასები.

ამ მშვიდობიან მოღვაწეობის დროს ლენინურ კომუნისტურ ახალგაზრდობას არ ავიწყდება სხვა დიდი მნიშვნელობისა სადღეისო ამოცანაც.

არასოდეს ისე რეალური არ ყოფილა ომის საფრთხე, როგორც დღეს. თუ ომის ცეცხლი დაინთო, ცხადია, ბრძოლაში ძალაუნებურად ჩაბმული იქნება საბჭოთა კავშირი. ბურჟუაზია ვერ ითმენს ჩვენს შეუჩერებლივ წინსვლას. ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურის ერთად-ერთ ქვეყნის დამარცხების მიზნით, მის სანუკვარ სურვილს წარმოადგენს. შიგნიდან აფეთქების და საბჭოთა კავშირის ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის შიშით ის ვერ სდგავს ჯერ სამისოდ ნაბიჯს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომის საშიშროებამ გაიარა. ბურჟუაზია მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდის.

ჩვენი ვალია გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვა. ჩვენ მზად უნდა ვიყვეთ გარედან თავდასხმის მოსაგერიებლად და ეს, სხვათაშორის, იქნება იმის გარანტიაც, რომ ბურჟუაზია ასე ადვილად ვერ გაბედავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მახვილის აღებას.

კომკავშირის როლი აქაც დაუფასებელია. წითელ ჯარში, სამოქალაქო მოსახლეობაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში კომკავშირი პირველ რიგში დგას, როგორც სამხედრო თავდაცვის განმტკიცების ხელმძღვანელი და ინიციატორი.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი თავის სექციების საშუალებით მედგარ ბრძოლას აწარმოებს ომის საფრთხის წინააღმდეგ და ის ღირსეულ პასუხს გასცემს ბურჟუაზიას, თუ მან აღმართა მახვილი სოციალისტურ რესპუბლიკის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ კომუნისტურ ახალგაზრდობის სამ დღესასწაულს. ისინი შევლენ პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ისტორიაში არა მარტო, როგორც ახალგაზრდათა უქმეები, არამედ როგორც მთელი მუშათა კლასის რევოლიუციონური დღესასწაულები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს კაპიტალიზმის საბოლოო დამხობაში და მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებაში.

გენერალური საბჭო მისწრაფვის ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაშლისაკენ

განცხადება, რომლითაც ინგლისის ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ მიმართა საკავშირო პროფსაბჭოს და რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, არ შეიძლება განხილულ იქნას სხვანაირათ, თუ არა როგორც შეგნებული და წინასწარგანზრახული ნაბიჯი ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩასაშლელად.

გენერალურ საბჭოს ბელადები ინგლის-რუსეთის კომიტეტის შემდგომ არსებობის პირობად არსებითად მოითხოვენ იმას, რომ საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებმა უარი ხთქვან გენერალურ საბჭოს მოღვაწეთა ოპორტუნიზმის კრიტიკასა და მხილებაზე. რა თქმა უნდა, რეფორმისტებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები ამ „პირობაზე“ არასოდეს არ დასთანხმდებიან. ჩვენი პროფკავშირები აღზრდილი არიან ისე, რომ მიჩვეული არიან ყველა ნაკლის და შეცდომების თავისუფალ კრიტიკას, და მით უმეტეს ოპორტუნიზმთან ბრძოლას. ისინი მიჩვეული არიან საჯარო მსჯელობას და მხოლოდ ამ საჯარო მსჯელობის საფუძველზე, თავისუფალ კრიტიკის საფუძველზე, და არა „საიდუმლო დიპლომატიის“ პრინციპების მიხედვით, შეუძლია მათ დასდონ კავშირი ინგლისის პროფკავშირებთან.

რა თქმა უნდა, ინგლის-რუსეთის კომიტეტის წესდებაში არსად არ არის ნათქვამი, რომ თითქოს ერთი მხარეს ესპობა უფლება გააკრიტიკოს მეორე მხარის მოქმედება მაშინ, როდესაც ეს მოქმედება მას მიაჩნია არასწორად და მით უმეტეს მოღალატურად საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ; სწორედ ასეთი იყო გენსაბჭოს ბელადების მოქმედება განვლილ პერიოდში. წესდებაზე მითითება გენსაბჭოს განცხადებაში თამაშობს მხოლოდ არასაკადრის საშუალების როლს იმისათვის, რომ გაექცენ და გვერდი აუხვიონ პასუხის გაცემას გენსაბჭოს მოღვაწეობის პრინციპიალურ კრიტიკაზე, რომელსაც საკავშირო პროფსაბჭო არაერთხელ მიმართავდა. წესდებაზე მითითება ამ შემთხვევაში—არის ტიპიური ოპორტუნისტული ხერხი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დაფარონ უდიდესი პოლიტიკური საკითხები, (ომის საშიშროება, ჩინეთის ამბები, ინგლისის გაფიცვა, პროფკავშირთა წინააღმდეგ მიმართული კანონი). წვრილმანი საორგანიზაციო ჩხირკედელაობით, ეს ფანდი სიტრინებს და ხიკსებს არ გაუვა, ისინი სააშკარაოზე იქნებიან გამოყვანილი.

გენსაბჭოს განცხადება, მიუხედავად იმისა, რომ მის ავტორებს მიუციათ მისთვის „შეტევითი“ ფორმა, თითქმის „ულტიმატუმის“ ფორმა, არსებითად წარმოადგენს პოლიტიკურ კაპიტულაციას საბჭოთა კავშირის პროფკავშირების წინაშე, ვინაიდან ეს განცხადება გამომდინარეობს იქიდან, რომ გენსაბჭოს ბელადებს ეშინიათ ჩვენი პროფკავშირების რევოლიუციონური კრიტიკის. ხიკსებს და პერსელებს ეშინიათ ფართო საჯარო მსჯელობის და თორთიან მუშათა კლასის სამსჯავროს წინაშე; ისინი მიისწრაფვიან იმისკენ, რომ პოლიტიკის უდიდესი საკითხები გადასწყვიტონ კაბინეტური გზით და წვრილმანი დიპლომატიის ხერხებით დაუმალონ მასებს თავისი ოპორტუნიზმი, როგორც „საიდუმლო ავადმყოფობა“. აი, რატომ გახდა მათთვის „უხერხული“ საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან ურთიერთობა ინგლის-რუსეთის კომიტეტში, აი, რატომ ამზადებენ ისინი ამ კომიტეტის ჩაშლას.

გენერალური საბჭო მთელ რიგ შემთხვევებში ჰყიდდა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას მის უმნიშვნელოვანეს ფრონტებზე. დასავლეთ ევროპაში გენსაბჭომ ორჯერ გასცა ინგლისელი მუშები, ვინაიდან ეხმარებოდა ინგლისის ბურჟუაზიას მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვის გასასრესად და აგრეთვე საბოტაჟს უწევდა ბრძოლას პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონთან. აღმოსავლეთში გენსაბჭომ გასცა ჩინეთის პროლეტარიატი, რომელიც აწარმოებდა გმირულ ბრძოლას იმპერიალისტურ ჩაგვრის დასამხობად. დასასრულ, გენსაბჭომ გასცა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ვინაიდან ფაქტიურად ფარავს და ხელს უწყობს თავის იმპერიალისტურ მთავრობას, როდესაც უკანასკნელი ამზადებს ახალ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ .ამით გენსაბჭო თამაშობს იმ ძალების ხელისშემწყობის როლს, რომლებიც ემუქრებიან მთელ ქვეყანას ახალ ომის ალში გახვევით.

ყველა ამ მიმართულებებით ინგლისის ტრედიუნიონების გენსაბჭომ გამოამჟღავნა თავი, როგორც ინგლისის ბურჟუაზიის თავისებურმა, ცუდად დაფარულმა აგენტურამ, ინგლისის ბურჟუაზიის, რომელიც სათავეში უდგია საერთაშორისო და ევროპის რეაქციას.

გენსაბჭოს „განცხადებაში“, რომელიც დღეს ქვეყნდება; განსაკუთრებით შესანიშნავი და ჭეშმარიტად თვალთმაქცურია ის მუხლები, რომლებიც ეხებიან საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და იმ ომს, რომელსაც ამზადებს ინგლისის და მსოფლიო ბურჟუაზია მის წინააღმდეგ. გენსაბჭოს „ბრძოლა“ კონსერვატიულ მთავრობასთან ინტერვენციის მზადების წინააღმდეგ მდგომარეობდა იმაში, რომ მან გაუგზავნა „წერილი“ (!) ერთ-ერთ შუბლმაგარ მინისტრს და მიიღო საკმაოდ ზომიერი ხასიათის და ინგლისის ბურჟუაზიისადმი ლოიალურად განწყობილი, დეკლარაცია. მაგრამ თუ რამდენად „დიდი“ იყო გენსაბჭოს სურვილი ომის საშიშროებასთან ბრძოლის, ამას მშვენივრად მოწმობს განცხადების მე-21 მუხლი, რომელიც პირდაპირ შეუდარებელია. ამ მუხლში ნათქვამია:

„რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ წარუდგინონ ინგლის-რუსეთის გაერთიანებულ სათათბირო კომიტეტს ომის აუცილებელ საშიშროების დამამტკიცებელი საბუთები. მაშინ ინგლისის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მზგავსი საკითხი არსებითად წარმოადგენს უფრო საერთაშორისო ორგანიზაციის საქმეს, როგორიცაა მაგალითად პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაცია, ვიდრე ინგლის-რუსეთის გაერთიანებულ სათათბირო კომიტეტის საქმეს, ვინაიდან ომში ჩაბმული იქნებიან საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოები, რომლებიც წარმოდგენილი არ არიან ინგლისის-რუსეთის კომიტეტის კონფერენციაზე“.

რომელი სახელმწიფოები „იქნებიან ომში ჩაბმული“, ეს სრულიად, არ ვიცით. მაგრამ ცნობილია ის, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს ამზადებს პირველ რიგში სწორედ ინგლისის ბურჟუაზია, და აი, მითითება „უცნობ“ სახელმწიფოების წარმომადგენლების დაუსწრებლობაზე, წარმოადგენს გენსაბჭოს ბელადებისათვის საბაბს, რომ უარი განაცხადონ ბრძოლაზე ომის წინააღმდეგ, ვინც დღეს არის ახალი ომის უმთავრესი მომზადებელი, ე. ი. ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. უკეთესი (უფრო იეზუიტური) ლაქიობა არ შეიძლება ისურვოს ინგლისის ბურჟუაზიამ „თავის“ მოშინაურებულ ტომასებისა და სიტრინებისაგან.

გენერალურ საბჭოს მოღვაწენი „შეურაცყოფილ უმანკოებად“ გვაჩვენებენ თავს, ლაპარაკობენ იმაზე, თუ „რამდენად ძნელია“ საბჭოთა პროფკავშირების „ფსიქოლოგიის გაგება“ და აცხადებენ უკანასკნელთა მოღვაწეობას „დაუშვებელ ჩარევად“ ინგლისის პროფმოძრაობის „შინაურ საქმეებში“ და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს არის ბუტაფორია, რომელიც არ შეშფერის მუშათა მოძრაობის მოღვაწეებს. თუ ჩვენ არ გვახსოვს, რომ იგივე „უმანკო“, მეტისმეტად „ზრდილობიანი კრავები“ ხმას აძლევენ და იღებენ ფარისევლურ საპროტესტო რეზოლიუციას იმ თეთრგვარდიელების, ყოფილ ოფიცრების და ინგლისის ჯაშუშების დახვრეტის წინააღმდეგ,რომლებიც ამზადებდენ თავდასხმას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბელადებზე, თითონ იმ ტომსკის ამხანაგებზე, რომელსაც ახლა უდგენენ ისეთ გაზვიადებულ მოთხოვნილებებს, როგორც „ზრდილობიანობა“ გენსაბჭოს ბელადების მიმართ?

არაფრით არ შეიძლება გენსაბჭოს მოღვაწეთა სახიდან იმ სამარცხვინო პოლიტიკურ ფაქტის ჩამორეცხა, რომ ისინი, უარს აცხადებდენ რევოლიუციონურ ბრძოლაზე ინგლისელების მხეცობის წინააღმდეგ ჩინეთში, ინგლისის ზარბაზნებით ჩინელ მუშების ამოჟლეტის წინააღმდეგ, და ამავე დროს განაცხადეს „პროტესტი“ ..მის უდიდებულესობის“, ინგლისის მეფის, ჯაშუშების დახვრეტის წინააღმდეგ.

სირცხვილი დარჩება სირცხვილად.

რუსეთის მუშებმა ისწავლეს რევოლიუციონერობა და ისწავლეს სიმართლის თქმა სხვა ქვეყნების მუშათა წინაშე, თუნდაც ოპორტუნისტებმა ამ სიმართლეს უწოდონ „უზრდელობა“, შეეცადონ მის დამალვას თავიანთი მუშებისაგან, ჩვენ კი ბრალი დაგვდონ „სხვის საქმეებში ჩარევაში“. ამიტომ საბჭოთა პროფკავშირების „ფსიქოლოგია“ მეტად მარტივია. ისინი კავშირს არ სწყვეტენ ინგლის - რუსეთის კომიტეტთან იმიტომ, რომ გენსაბჭოში ისინი ხედავენ ინგლისის პროფმოძრაობის ორგანოს, ხოლო ამ პროფმოძრაობის სიღრმეში, მიუხედავად იქ მოკალათებული თვალთმაქც ოპორტუნისტთა ჯგუფისა, სცოცხლობს მტკიცე თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისადმი და მწიფდება კლასობრივ - რევოლიუციონური სულის კვეთება.

როცა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა წარმომადგენელნი ინგლის - რუსეთის კომიტეტში სხედან რეფორმისტებთან ერთად, მათ არ ერიდებათ ამ რეფორმისტებს უწოდონ გამცემლები და იმედი აქვთ თანაგრძნობა დაიმსახურონ ინგლისის პროლეტარიატის მასებში, რომელნიც უკვე რამოდენიმეჯერ გასცეს ამ რეფორმისტებმა.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირები ინგლის-რუსეთის კომიტეტს განიხილავენ, როგორც საშუალებას საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ნამდვილი დაახლოვებისათვის ინგლისის პროლეტარიატთან. ამიტომ საბჭოთა პროფკავშირები ემხრობიან ინგლის - რუსეთის კომიტეტის მოქმედების გაძლიერებას იმ პირობით, რომ გაძლიერდეს მისი მოქმედება კლასობრივი ბრძოლის მიმართულებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითადი მიზნებისათვის, ამასთანავე უნდა არსებობდეს შეცდომათა კრიტიკა, მუშათა მასებისათვის არ უნდა იყოს დაფარული ამა თუ იმ ბელადის შეცდომები და ღალატი.

მაგრამ, რასაკვირველია, იმ პირთა თვალსაზრისით, რომელთაც ინგლის - რუსეთის კომიტეტი მიაჩნიათ მათი ოპორტუნიზმის შირმად და ბარიერად ინგლისის და საბ. კავშირის მუშებს შორის,ინგლის-რუსეთის კომიტეტს არ შეუძლია გაამართლოს თავისი შემდგომი არსებობა, ვინაიდან ამაზე არ დასთანხმდება რუსეთის დელეგაცია კომიტეტში. იმ პირთა თვალსაზრისით, ვისაც საშინლად ეშინია იმისა, რომ მათი გამცემლობა აშკარად გამოამჟღავნონ ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, სავსებით ბუნებრივია ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლის პოლიტიკის წარმოება. გენსაბჭოს განცხადებასთან დართულ წერილში გენსაბჭოს მდივანი სიტრინი პირდაპირ ასე სწერს:

„გენერალური საბჭო საკითხს ინგლის - რუსეთის კომიტეტის მომავალი არსებობის შესახებ გადასინჯავს იმ პასუხის მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნება საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსაგან“. ეს არის პირდაპირ მუქარა იმისა, რომ ინგლის - რუსეთის კომიტეტი ჩაშლილ იქნება. ამ მუქარას არავითარი გავლენა არ შეუძლია მოახდინოს საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა მოქმედებაზე. საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს გუშინდელმა სხდომამ ღირსეული რევოლიუციონური პროლეტარული პასუხი გასცა გენსაბჭოს „განცხადებას“, რომელიც ამ „საშინელ მუქარას“ შეიცავს.

ჩვენ შეჩვეული ვართ „ულტიმატუმების“ მიღებას ინგლისიდან და მათზე პასუხის გაცემას. ამ შემთხვევაში ულტიმატუმი გამოგვიგზავნა არა ინგლისის ბურჟუაზიამ, არამედ ინგლისის რეფორმისტებმა; ულტიმატუმების გზავნის სენი, როგორც მიდრეკილება იმისაკენ, რომ კავშირი იქნას შეწყვეტილი საბჭოთა ქვეყანასთან და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან ეხლანდელ საერთაშორისო პირობებში, — გადამდები ყოფილა.

გასაგებია, რომ ინგლისის რეფორმისტებს განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ ჩაშალონ ინგლის - რუსეთის კომიტეტი. მაგრამ მაშინ მხოლოდ და მხოლოდ მათ დაეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა. არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ინგლისის მუშათა კლასი შეიგნებს, თუ ვინ არის ნამდვილი დამნაშავე ურთიერთობის შეწყვეტაში და ღირსეულად დააფასებს იმ პირთა მოქმედებას, რომელნიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის მზადების ფაქტის წინაშე კავშირს სწყვეტს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან და ამით უშუალოდ ეხმარება იმპერიალისტებს ომის მოწყობაში და უმსუბუქებს მათ შავი საქმის შესრულებას.

მაშინ საბჭოთა კავშირის მუშები გენსაბჭოს გარეშე მონახავენ გზას იმისათვის, რომ მთლიანი ფრონტი შეიქნას ინგლისის პროლეტარიატთან ბურჟუაზიისა და რეფორმისტების წინააღმდეგ.

„პრავდა“ 3 სექტემბერი.

ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის გარშემო

გენერალური საბჭო ეწევა ინგლის - საბჭოთა კომიტეტის საბოტაჟს და ცდილობს მის დაშლას.—ის ძირს უთხრის პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის საქმეს, ღალატობს მუშათა კლასის ინტერესებს, უარს აცხადებს ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაზე.—გენსაბჭოს ბიუროკრატებს ეშინიათ მათი გამცემლური მუშაობის მხილების და საბჭოთა პროფსაბჭოსაგან მოითხოვენ მათ „მოღვაწეობის“ კრიტიკაზე ხელის აღებას.—ამაზე ჩვენ ვერ წავალთ; ჩვენი მოვალეობაა მემარჯვენე ლიდერების მოღალატეობის გამოაშკარავება. — ინგლისის პროლეტარიატის ამოცანები: შემთანხმებელ მეთაურების გარიყვა კაპიტალის შემოტევის შეჩერება, ბრძოლა ინგლისის მტაცებლურ იმპერიალიზმთან, რომელიც ომს აწარმოებს ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, ბრძოლა პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ იმპერიალისტურ პოლიტიკასთან. —ინგლის - საბჭოთა მუშათა კლასის და საერთოდ მსოფლიო პროლეტარიატის მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი შეიქმნება გამცემელ ბელადების გარეშე თვით მასების უშუალო მონაწილეობით.

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

ამხ. დოგადოვის სიტყვა

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 2 სექტემბერს შესდგა საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს საგანგებო პლენუმი, რომელსაც დაესწრენ საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მოსკოვში მყოფ წევრები და კანდიდატები. პლენუმის სხდომა იხილავდა საკითხს პროფკავშირთა მთლიანობის ინგლის - რუსეთის კომიტეტის შესახებ.

პლენუმმა მოისმინა ამხ. დოგადოვის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ ცენტრალურ საბჭოს მიღებული აქვს მოწვევა ტრედიუნიონების კონგრესზე, რომელიც გაიხსნება ედინბურგში 5 სექტემბერს. მაგრამ პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ არჩეული დელეგაცია მოკლებულია საშუალებას დაესწროს ედინბურგის კონგრესს, ვინაიდან ვერ მიიღო სათანადო ნებართვა ინგლისში შესასვლელად. ამიტომ საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო კონგრესზე ზეპირი გამოსვლის მაგიერ იძულებულია დაკმაყოფილდეს მხოლოდ წერილობით მიმართვით.

„ჩვენს მიმართვაში, — სთქვა ამხ. დოგადოვმა, — ჩვენ იძულებული ვართ შევეხოთ უპირველესად ყოვლისა იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებენ ამჟამათ იმათ, ვისაც აინტერესებს მსოფლიო პროფმოძრაობა. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის, რაც მოხდა უკანასკნელ დროს ინგლის - რუსეთის კომიტეტში, წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის. გენსაბჭოს უკანასკნელი დროის მოქმედების ხაზი ფაქტიურად მიზნათ ისახავს დაშალოს ინგლის - რუსეთის კომიტეტი. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ გენსაბჭოს ხაზი — ეს არის ინგლის - რუსეთის კომიტეტის საბოტაჟის ხაზი, ეს არის ღალატი მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის საქმისათვის“.

შემდეგ ამხ. დოგადოვს მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები (გენსაბჭოს პოზიცია მემაღაროეთა გაფიცვის, პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონის და სხვ. საკითხებში) და გენსაბჭოს მოქმედებას ახასიათებს, როგორც ღალატს მუშათა კლასის ინტერესებისადმი.

„ჩვენს მიმართვაში, — სთქვა ამხ. დოგადოვმა, — ჩვენ უნდა დავასახელოთ ყველა ისინი, ვინც ძირს უთხრის ინგლის - რუსეთის კომიტეტს და გაურბის ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ და მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის. ყველა აღნიშნულ კითხვებზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა: ბრალი ედება მხოლოდ და მხოლოდ გენსაბჭოს.

ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით მომავალშიაც მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის და არ გვსურს ინგლის - რუსეთის კომიტეტის დაშლა, ვინაიდან ეს კომიტეტი მიგვაჩნია არა ლიდერების, არამედ ინგლისის და საბჭოთა მუშათა კლასის კავშირათ.

ჩვენი ბრალი არ არის სრულებით ის, რომ ინგლის - რუსეთის კომიტეტმა ვერ განახორციელა ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც უყენებდა მას ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მუშათა კლასი სათანადო ძალებს იპოვის იმისათვის, რომ დასძლიოს ყველა დაბრკოლებები, რომლებიც აღმართულია კლასიური მთლიანობის განხორციელების წინაშე. ერთ - ერთ ასეთ დაბრკოლებას ამჟამად წარმოადგენენ გენსაბჭო და მისი მეთაურები. ინგლისის მუშათა კლასი უახლოეს დროში იპოვის სათანადო ძალებს იმისათვის, რომ გენსაბჭოს დღევანდელი მეთაურები შესცვალოს ისეთ მეთაურებით, რომლებიც სავსებით განახორციელებენ მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის საქმეს“.

შემდეგ ამხ. დოგადოვმა გამოაქვეყნა იმ მიმართვის ტექსტი, რომელიც ეგზავნება ედინბურგში ტრედიუნიონების კონგრესს. ტექსტი ერთხმად მოწონებული იქნა პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წევრების მიერ.

საკავშირო პროფსაბჭოს მიმართვა

ტრედიუნიონების კონგრესისადმი

„თქვენი კონგრესის სახით, — ნათქვამია საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მიმართვაში,— საკ. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირის ორგანიზაციულათ დარაზმულ 10 მილიონ პროლეტარების სახელით, ესალმება ინგლისის პროლეტარიატს, რომელიც ამჟამად იმყოფება რეაქციის მძიმე უღლის ქვეშ.

საბჭოთა კავშირის მუშები გასული წლის განმავლობაში ენერგიულათ ადევნებდენ თვალყურს ინგლისის პროლეტარების ბრძოლას და ის საშინელება, რომელიც თავს დაატყდა ინგლისის პროლეტარებს, მწვავედ იყო საგრძნობი ჩვენთვისაც. მემაღაროებთან ერთად ჩვენც განვიცადეთ მძიმე დამარცხების საშინელება, რომელიც მოჰყვა საყოველთაო გაფიცვას და რომელიც შედეგი იყო როგორც 12 მაისის ღალატისა, ისე იმ საბოტაჟისა, რომელიც გაუწიეს მემაღაროელთა თავდადებულ ბრძოლას. მიუხედავათ იმ უბედურებისა, რომელიც თავს დაატეხეს როგორც ინგლისის, ისე ყველა ქვეყნების მუშებს, ჩვენ გვრწამს, რომ ინგლისის პროლეტარიატს მოეპოვება სათანადო შემოქმედებითი ძალა, ის წელში გაიმართება, მოირჩენს იარებს, რომელიც მიაყენა მას უკანასკნელმა დამარცხებამ, გააძევებს თავის რიგებიდან კაპიტალისტების და იმპერიალისტების ლაქიებს და კვლავ შესდგება რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირველესათ ყოვლისა უნდა იქნეს შეჩერებული კაპიტალის შემოტევა თვით ინგლისში, სადაც კაპიტალს სულ უფრო და უფრო გაბედული იერიშები მოაქვს ინგლისის პროლეტარიატის შრომის პირობებზე.

მეორე ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ბრძოლა ინგლისის ყაჩაღური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც პოლიტიკურ ომს აწარმოებს ჩინეთში და აღრჩობს და სთელავს სხვა ერებს მთელს იმპერიაში.

მესამე ამოცანას შეადგენს ბრძოლა იმ ახალ იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ, და რომლისთვის აშკარა მზადება სწარმოებს მთელი მსოფლიოს თვალწინ.

უგზავნით რა ძმურ სალამს ინგლისის მუშათა კლასს ჩვენ ჩვენს მოვალეობათ ვსთვლით განვაცხადოთ, საბჭოთა კავშირის მუშების სახელით, რომლებიც ემზადებიან თავისი მუშური ხელისუფლების არსებობის 10 წლის იუბილესათვის, რომ მზათა ვართ მუდამ და ყველგან ინგლისის მუშებთან ერთად ვიბრძოლოთ საერთო მტრების წინააღმდეგ, პირველ რიგში-კი იმ საშინელ ომის წინააღმდეგ, რომელიც თავისი სიდიადით და სისასტიკით გადაჭარბებს იმპერიალისტურ ომს“.

მიმოწერა საკავშირო პროფსაბჭოსა და გენსაბჭოს შორის

მიმართვის მიღების შემდეგ საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მიერ, ამხ. დოგადოვმა გამოაქვეყნა ის მიწერ - მოწერა, რომელიც გაიმართა საკ. პროფკავშირთა ც. საბჭოსა და გენსაბჭოს შორის ინგლის - რუსეთის კომიტეტის მოწვევის გარშემო.

გენსაბჭოს საკ. პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს სახელზე მოწერილ წერილში ნათქვამია:

გენსაბჭოს წერილი

„გენსაბჭომ განიხილა საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინადადება ინგლის - რუსეთის გაერთიანებულ სათათბირო კომიტეტის საგანგებო სხდომის მოწვევის შესახებ.

როგორც შეგატყობინეთ, საკითხი უკანასკნელ სხდომაზე გადადებული იქნა იმისათვის, რომ საერთაშორისო კომიტეტს შეძლება მისცემოდა მოხსენება გაეკეთებია იმ ინციდენტის შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ინგლისის გენერალურ საბჭოს და საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ურთიერთობაში. საერთაშორისო კომიტეტის აზრის გაცნობის შემდეგ გადაწყდა გაგვეგზავნა თქვენი საბჭოსათვის განცხადება. უნდა ვთხოვოთ საბჭოს ყურადღებით განიხილოს ის საკითხი, რომელსაც შეიცავს ეს განცხადება და უნდა გაცნობოთ, რომ გენერალური საბჭო, იმის და მიხედვით, თუ როგორ პასუხს მიიღებს საკ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსაგან, ხელმეორეთ განიხილავს საკითხს ინგლის - რუსეთის კომიტეტის მომავალი არსებობის შესახებ და თქვენს წინადადებას ამ კომიტეტის სხდომის მოწვევის შესახებ“.

ამ წერილზე ხელს აწერს გენერალური საბჭოს გენერალური მდივანი **სიტრინი**.

გენსაბჭოს აღნიშნულ წერილს თანდართული აქვს განცხადების პროექტი ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს და საკ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ურთიერთობის შესახებ. ეს პროექტი მიღებულია საერთაშორისო კომიტეტის მიერ 12 ივლისს 1927 წ.

გენსაბჭოს დეკლარაცია

საკავშირო პროფსაბჭოსთან ურთიერთობის შესახებ

„გენსაბჭომ ყურადღებით განიხილა საკ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წინადადება ინგლის - რუსეთის კომიტეტის საგანგებო თათბირის მოწვევის შესახებ, — ნათქვამია ამ განცხადებაში.

გენსაბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარება დიდი ბრიტანეთის პროფესიონალურ მოძრაობისა და საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ მოძრაობას შორის, და ამიტომ შეეცადა ყოველხრივ შეეწყოს ხელი ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს თანამშრომლობას. გენსაბჭო ფიქრობს: რომ საჭიროა მოეწყოს მემორანდუმების გაცვლა - გამოცვლა ორივე მხარისათვის საინტერესო სპეციალურ საკითხებზე; რომ საჭიროა კონტაქტის შემდეგი გაფართოვება ორივე ქვეყნის შორის უფრო მჭიდრო ურთიერთ დახმარების განვითარების მიზნით; რომ საჭიროა შედგენილ იქნას გაერთიანებული სათათბირო კომიტეტი, რომელშიაც წარმოდგენილი იქნება როგორც რუსეთის, ისე ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა, და რომელშიაც თავმჯდომარეებად და მდივნებად შევლენ ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლები — სამი წევრი საკავშირო პროფსაბჭოს მხრიდან და სამი წევრი ინგლისის ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს მხრიდან. იმისათვის, რომ გაერთიანებულმა აპარატმა შესძლოს მუშაობა, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში,— საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლები თანახმა არიან შეადგინონ თავის საბჭოს საერთაშორისო კომისია, ინგლისის ტრედიუნიონთა გენერალურ საბჭოს საერთაშორისო კომისიის მსგავსად.

ზემოჩამოთვლილი წინადადებები დამტკიცებული იყო 1925 წელს სკარბოროში მოწვეულ კონგრესის მიერ და ინგლის - რუსეთის კომიტეტის პირველ თათბირზე გადაწყდა, რომ „ინგლისის ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალური საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო აღიარებულ იქნან დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის გამომხატველ ერთად - ერთ საშუალებად“.

1926 წლის ივნისში, საერთო ნაციონალურ გაფიცვის შემდეგ, პროფსაბჭო გამოვიდა პრესაში სრულიად გაუმართლებელი მტრული იერიშით გენსაბჭოს წინააღმდეგ და მკაცრ ფორმებში აკრიტიკებდა ამ გაფიცვის ხელმძღვანელობას გენსაბჭოს მხრივ. ინგლის - რუსეთის მთლიანობის კომიტეტის თათბირებზე პარიზსა და ბერლინში ინგლისის წარმომადგენლებმა გენერალურ საბჭოს სახელით განაცხადეს ენერგიული პროტესტი ამ დაუშვებელი ჩარევის წინააღმდეგ ინგლისის პროფმოძრაობის შინაურ საქმეებში. 1926 წლის სექტემბერში ტომსკი დაინიშნა დელეგატად ბორნემუტის კონგრესზე და, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა,— ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგობის გამო, ვერ შესძლო დასწრებოდა კონგრესს.

მაგრამ მოძმე დელეგატების გაგზავნის საბაბით, საკავშირო პროფსაბჭომ ისარგებლა შემთხვევით, რომ სრულიად გაუმართლებელი იერიში მიეტანა გენსაბჭოს წინააღმდეგ. ბორნემუტის კონგრესმა ენერგიული პროტესტი განაცხადა რუსების იერიშების წყალობით მოძმე დელეგატის ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენების გამო, მით უმეტეს, რომ ამას არა აქვს პრეცედენტი ინგლისის ტრედიუნიონთა კონგრესის ისტორიაში. ამიტომ საბჭოს შეეძლო ერჩია ინგლის - რუსეთის კომიტეტს დაშლა. მაგრამ მან მაინც უარჰყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმის შიშით, რომ ეს ხელსაყრელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის მტრებისათვის, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირის შორის დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლის სასარგებლოდ. გენსაბჭო მაინც გრძნობდა, რომ [illegible] პროფესიონალური მოძრაობის დაცვა ერთხელ უკვე ნაცად ჩარევის განმეორებისაგან და ამის და მიხედვით გამოიმუშავა გეგმა, თუ როგორ აღმოფხვრას წესდების შემცდარად გაგება.

ეს წინადადებები წარედგინა ინგლის - რუსეთის კომიტეტის თათბირს, რომელიც შესდგა ბერლინში 1927 წლის მარტს. ამ თათბირზე რუსმა წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავისი გულწრფელი სურვილი, რომ შემდეგში უთანხმოება - გაუგებრობისაგან თავის დაღწევისა, და ორივე მხარე შეთანხმდა, რომ წესდებაში შესწორებები ყოფილიყო შეტანილი, და თვით წესდება — კოდექსად ჩამოყალიბებული. ბერლინის თათბირზე რუსმა და ინგლისელმა წარმომადგენლებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც შემდეგ დამტკიცებულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოსა და ინგლისის ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალურ საბჭოს მიერ. ამ რეზოლიუციაში ნათქვამი იყო, რომ ინგლის - რუსეთის კომიტეტი ერთსულოვნად ადასტურებს ორივე ქვეყნის პროფმოძრაობის სურვილს, რომ რითაც კი შესაძლებელია, საერთო ღონისძიებით მიაღწიონ საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობას, და აგრეთვე ერთსულოვნად ადასტურებს ინგლის - რუსეთის კომიტეტის განცხადებას, რომ შრომის საერთაშორისო მთლიანობისათვის წარმატებით ბრძოლის ძირითად პირობას წარმოადგენს მტკიცე ძმური კავშირი დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობას შორის. ის ამტკიცებს, რომ მზად არის სისტემატიურად განავითაროს და განამტკიცოს ამ მოძრაობას შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება.

ბერლინის კონფერენციაზე ორივე მხარემ განაცხადა გულწრფელი სურვილი, რომ გადათვალიერებული წესდება დაეცვათ ყველა იმათ, ვისაც ეს შეეხება. მიუხედავათ ამისა, წესდება დაარღვია ტომსკიმ, რომელმაც ინგლისის კომუნისტურ გაზეთ „უორკერს ლაიფ“-ში მაისში მოთავსებულ ინტერვიუში გაილაშქრა გენსაბჭოსა, 1927 წლის აპრილში მოწვეულ პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენციისა და ინგლისის მუშათა მოძრაობის ცალკე გამოჩენილ წევრთა წინააღმდეგ იმ პოზიციის გამო, რომელიც მათ დაიჭირეს პროფკავშირების შესახებ გამოცემულ კანონპროექტის მიმართ.

14 მაისს საკავშირო პროფსაბჭოსაგან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელიც მოითხოვდა ინგლის - რუსეთის კომიტეტის მოწვევას დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. შემდეგ დაიწყო მიმოწერა და ივნისში მიღებულ იქნა წერილი, სადაც ჯამი ჰქონდა გაკეთებული არსებულ მიმოწერას და სადაც მოთხოვნილი იყო ინგლის - რუსეთის კომიტეტის სასწრაფოდ მოწვევის აუცილებლობა. მიწერ-მოწერა განიხილა გენსაბჭოს საერთაშორისო კომისიამ და, მიიღო რა მხედველობაში ყველა გარემოება, განაცხადა ორივე ორგანიზაციის თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირის მოწვევის აუცილებლობა ბერლინში საკითხის წინასწარ განხილვის მიზნით. 11 ივნისს საკავშირო პროფსაბჭოს გაეგზავნა ასეთი აზრის გამომხატველი დეპეშა, რაზედაც საკავშირო პროფსაბჭოსაგან მიღებულ იქნა მკვახე კილოთი შედგენილი დეპეშა, რომ „კატეგორიულად მოითხოვდა“ ინგლის - რუსეთის კომიტეტის კონფერენციის მოწვევას.

13 ივნისს საკავშირო პროფსაბჭოსაგან მიღებულ იქნა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ 14 ივნისს პასუხი არ იქნება მიღებული მოთხოვნაზე კონფერენციის მოწვევის შესახებ, მაშინ საკავშირო პროფსაბჭო გამოაქვეყნებს მთელს მიწერ - მოწერას. თათბირი შესდგა ივლისში და რუსმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს ინგლის - რუსეთის კომიტეტის მოწვევა, რასაც ასაბუთებდენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესაძლებლობით.

იმავე დროს გამოცხადდა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ გადასწყვიტა გამოექვეყნებია მიწერ - მოწერა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ საკითხის გარშემო. შემდეგ გამოირკვა, რომ მიწერ - მოწერა დაიბეჭდა „სენდეი უორკერს“-ში იმავე დღეს, რაც ამტკიცებს, რომ საკავშირო პროფსაბჭომ ამ გაზეთს მიწერ - მოწერა გადასცა დასაბეჭდათ რამოდენიმედ უფრო ადრე.

მიწერ - მოწერის გამოქვეყნება მოხდა გენსაბჭოს თანხმობის გარეშე, წინააღმდეგ იმ რეზოლიუციისა, რომელიც ორივე მხარემ მიიღო ბერლინში. რუსეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ წარადგინონ ომის აუცილებელ საშიშროების დამამტკიცებელი საბუთები. მაშინ ინგლისის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზგავსი ხასიათის საკითხი უფრო საერთაშორისო ორგანიზაციის საქმეა, როგორიცაა, მაგალითად, პროფკავშირთა საერთაშორისო ფედერაცია, ვიდრე ინგლის - რუსეთის კომიტეტის, ვინაიდან ომში ჩაბმული იქნებიან ის მოსაზღვრე სახელმწიფოები, რომლებიც ემხრობიან პროფკავშირთა საერთაშორისო ორგანიზაციას; ეს სახელმწიფოები კი არ არიან წარმოდგენილი ინგლის - რუსეთის კომიტეტის კონფერენციაზე.

1927 წ. 18 ივლისს ინგლისის პრესაში გამოქვეყნებულ იქნა საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს განცხადება, რომელიც პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ გენსაბჭომ არ მოიწვია ინგლის - რუსეთის კომიტეტის კონფერენცია და ბრალს სდებდა გენსაბჭოს საბოტაჟში, ოპოზიციაში, საკითხის გაჭიანურებაში და ორჭოფულ ტაქტიკაში“. გენსაბჭომ უდიდესი მოთმინება და თავდაჭერილობა გამოიჩინა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოსთან დამოკიდებულებაში. გენსაბჭო სცდილობდა შეენარჩუნებია მის მიერ შექმნილი კონტაქტი რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობასთან. გენსაბჭო, — ნათქვამია დაბოლოს განცხადებაში, — სცდილობდა რა შეენარჩუნებია როგორც რუსეთის, ისე ინგლისის პროფმოძრაობის დამოუკიდებლობა მათი გავლენის სფეროში, წამოაყენა წინადადება წესდების გაფართოების შესახებ. მაგრამ არც ერთ წესდებას, რომელმაც ამ ორივე პროფმოძრაობის ურთიერთობა უნდა მოაწესრიგოს, — როგორი მრავალსიტყვაობითაც არ უნდა იყოს იგი აღსავსე, — არ შეუძლია მოგვცეს კარგი შედეგები, თუ ეს წესდება ლოიალურად არ იქნება მიღებული, თუ მას აქტივით არ მოეპყრობიან, როგორც ტექსტის ყოველი სიტყვის მხრივ, ისე არსებითად“.

საკავშირო პროფსაბჭოს პასუხი

ამ განცხადებას მოჰყვა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პასუხი გენსაბჭოსადმი.

„საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმი ამ განცხადებას, რომელიც წარმოადგენს საბრალმდებლო აქტს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წინააღმდეგ,— ნათქვამია პასუხში, — უყურებს როგორც ცდას წვრილმანი კინკლაობით აუხვიონ გვერდი იმ დიდი მნიშვნელობის ამოცანებს, რომელნიც დგანან ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა მოძრაობის წინაშე. ის ფაქტი, რომ საბრალმდებლო აქტი შედგენილ იქნა სწორედ მაშინ, როცა კონსერვატიულმა მთავრობამ გასწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ამზადებს იმპერიალისტურ ომს მის წინააღმდეგ, ჩვენს თვალში დამამტკიცებელია იმისა, რომ ამ განცხადების, — საბრალმდებლო აქტის ავტორები ამზადებენ ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლას, რათა შეუმსუბუქონ კონსერვატიულ მთავრობას ომისათვის დაუბრკოლებლად მზადება.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო,— ნათქვამია შემდეგ პასუხში, — თავის თავს უყურებს ისე, როგორც ორგანოს, არჩეულს მუშათა მასების მიერ, რომელთა წინაშეც იგი პასუხისმგებელია ყოველ თავის ნაბიჯში და ყოველ თავის მოქმედებაში. ჩვენი მუშაობის დამალვას ამ მასებისაგან, საიდუმლოების ბურუსში გახვევას და განსაკუთრებით დამალვას იმისა, რომ ბელადები ღალატობენ მუშათა კლასს, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო სთვლის ბოროტმოქმედებად. ჩვენ უდიდეს მონაპოვრად ვსთვლით იმ ფაქტს, რომ ჩვენი ამრჩეველი მუშები არასოდეს არ მოგვცემენ უფლებას ვაწარმოვოთ ასეთი დუმილის პოლიტიკა და დავფაროთ ამა თუ იმ ბელადთა მტრული მოქმედება პროლეტარიატის ინტერესთა მიმართ.

ყველა თქვენს შენიშვნებს ჩვენ „ჩარევაზე“ თქვენს შინაურ საქმეებში; ჩვენ კატეგორიულათ უარვყოფთ. მთელი ჩვენი ეგრეთწოდებული ჩარევა გამოიხატა იმაში, რომ ჩვენ ინგლისში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებისთანავე მოვიკრიფეთ ჩვენი ძალები ინგლისის პროლეტარიატის გამარჯვების უზრუნველსაყოფათ. თქვენი პირველი პასუხი საბჭოთა კავშირის მუშების პროლეტარულ სოლიდარობის გრძნობის მძლავრ დემონსტრაციაზე გამოიხატა იმაში, რომ თქვენ უარყავით ჩვენი ძმური დახმარება.

მას შემდეგ-კი, როდესაც თქვენ უღალატეთ ინგლისის მუშებს გაფიცვის დროს, თქვენ ყველა საშუალებებით ხელს გვიშლიდით, რომ საერთო ძალებით დახმარება გაგვეწია მემაღაროებისათვის. ამავე დროს ჩვენ, არა მარტო ჩვენ პროლეტარულ უფლებათ, არამედ პროლეტარულ მოვალეობათ მიგვაჩნდა სიმართლე გვეთქვა იმის შესახებ, თუ როგორ იქნა გაცემული მემაღაროების პროლეტარული მებრძოლთა არმია, როგორ გაეხსნა ამ გამცემლობით ხელები კონსერვატორების მთავრობას, რომ განეგრძო მას შეტევა ინგლისის მუშების საცხოვრებელ მინიმუმის წინააღმდეგ, ჩინეთში წარმოებულ ჯალათურ ომის გასაძლიერებლათ და ახალი საშინელი ომის მოსამზადებლათ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თავის თავად გასაგებია, რომ ჩვენ გადაჭრით და კატეგორიულათ უარვყოფთ თქვენს ცდას განმარტოთ ბერლინის მარტში მოწვეულ კონფერენციის დადგენილება იმ ნაირათ, თითქოს ჩვენ უარი გვეთქვას კრიტიკის წარმოებაზე და მხილების უფლებაზე და აგვეღოს თავზე ვალდებულება, რომლის თანახმათ თითქოს უნდა დაგვეფარა გენსაბჭოს საქციელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერები ლანძღავდენ როგორც პირველ შრომის რესპუბლიკას და მის ბელადებს, ისე ჩვენს პროფმოძრაობის ბელადებსაც. ჩვენ არასოდეს არ ვფიქრობდით და არც ვფიქრობთ, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის დახმარებით რომელიმე მხარეს ერთმევა იმის უფლება, რომ გამოხატოს თავისი აზრი.

თქვენი განცხადება, ჩვენის აზრით, ისახავს სულ სხვა მიზანს. თქვენ გსურთ მთელი საქმე ისე დაასურათოთ, თითქოს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მთავარი დანიშნულება ყოველთვის ის, რომ საკ; პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და გენსაბჭოს ჰქონოდა განსაზღვრული შეღავათები დოკუმენტების თავისუფალ გაცვლა-გამოცვლისათვის, პროფ-თა მოძრაობის შესახებ, ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ასეთ განზრახვის წინააღმდეგ, რომელიც მიზნათ ისახავს ინგლის-რუსეთის კომიტეტის მნიშვნელობის გაქარწყლებას. ინგლის-რუსეთის კომიტეტი დაარსებული იყო იმ მიზნით, რომ საერთო ძალებით გვეწარმოებია ბრძოლა კაპიტალის შეტევისა, ომისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ და პროფკავშირთა მთლიანობისათვის და პროფკავშირთა ერთიანი ინტერნაციონალის დასამყარებლათ.

ეს თქვენი ცდა, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტი დაახასიათოთ როგორც კომისია დოკუმენტების გაცვლა-გამოცვლისათვის, წითელი ძაფივით გადის თქვენს განმარტებაში, მაგრამ თქვენ სდუმხართ მთავარზე, ე. ი. დეკლარაციაზე, რომელიც მიღებულია აპრილის კონფერენციაზე 1925 წელს, თქვენ აღნიშნავთ სკარბოროს კონგრესის და ინგლის-რუსეთის კომიტეტის 1925 წლის სექტემბრის კონფერენციის დადგენილებათა მხოლოდ მეორე ხარისხოვან ნაწილს. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ფუნქციების და ამოცანების ასეთ გაქარწყლებას ჩვენ ვსთვლით, როგორც გენსაბჭოს სურვილს იმართლოს თავი იმაში, რომ იგი თავის საბოტაჟის პოლიტიკით ცდილობს აქციოს ინგლის-რუსეთის კომიტეტი ლეშათ და ამავე დროს გაადვილოს მისი ჩაშლის საქმე.

ჩვენ კატეგორიულათ უარვყოფთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ისტორიის გადმოცემის ასეთ მეთოდს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როგორც ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოქმედება, ისე მისი სხვადასხვა ნაწილების პასუხისმგებლობა განმარტებული უნდა იქნეს იმ ვალდებულებათა მიხედვით, რომელიც იდვა თავზე ამ კომიტეტმა თავის დაარსების დროს.

დეკლარაციაში, რომელიც შეთანხმებით იქნა მიღებული აპრილის კონფერენციაზე, სხვათა შორის, ნათქვამია: „საერთო კონფერენცია ადასტურებს, რომ ნაციონალური და საერთაშორისო მთლიანობა უნდა იქნეს ცნობილი პირველ არსებით პირობათ, რომელიც საშუალებას აძლევს პროფკავშირთა მოძრაობას საქმით დაიცვას მუშების დღევანდელი მდგომარეობა კაპიტალის იერიშებისაგან და ეცადოს ორგანიზაციულათ დარაზმულ შრომის იმ სოციალურ და პოლიტიკურ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც აღნიშნული არიან სხვადასხვა ქვეყნის მუშათა განცხადებებში. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა დღეს, როდესაც სწარმოებს სამზადისი ახალი ომისათვის, რომელიც უფრო საშინელი იქნება, ვინემ ის ომები, რომელიც ოდესმე განიცადა კაცობრიობამ. არსებობს მხოლოთ ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს კაცობრიობა ახალ მსოფლიო კატასტროფას და დაიცვას ყველა ქვეყნის მუშები პოლიტიკურ და ეკონომიურ ჩაგვრისა და თვითნებობისაგან, ძალა, რომელსაც შეუძლია მიანიჭოს მუშათა კლასს და კაცობრიობას თავისუფლება, კეთილდღეობა, ბედნიერება და მშვიდობიანობა. ეს ძალა არის მუშათა კლასი. თუ ის ორგანიზაციულათ კარგათ შეკავშირებულია, ერთგულია თავის ინტერესების და სავსეა მხნეობით, მას შეუძლია შეებრძოლოს ყველას, ვინც ეწინააღმდეგება მის სრულ განთავისუფლებას. მუშათა კლასი, თუ ის გაერთიანებული იქნა ნაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით, წარმოადგენს დაუძლეველ დაბრკოლებას კაპიტალისტურ ჩაგვრისათვის და საწინდარს მშვიდობიანობისა და ეკონომიურ კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა კავშირის და დიდბრიტანეთის პროფესიონალური მოძრაობის წარმომადგენელნი ადასტურებენ იმ შეთანხმებას, რომელიც დაიდო მოსკოვში დიდბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის შეკავშირებული შრომის წარმომადგენელთა შორის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის განსამტკიცებლად, საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესთა დაცვისათვის. ლონდონის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების განხილვის დროს დასახულ იქნა საერთო ნაბიჯების გადადგმა, რომელიც გათვალისწინებული იყო ბრიტანეთის ფედერაციის წინადადებაში და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ გავლენა მოეხდინა ამსტერდამის ინტერნაციონალზე, რათა ეს უკანასკნელი გულწრფელად დათანხმებულიყო თავისუფალი, ყოველგვარ წინასწარ პირობების გარეშე კონფერენციის მოწვევაზე საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ მოძრაობის წარმომადგენლებთან“.

ამ საერთო დადგენილებათა თვალსაზრისით,—ნათქვამია შემდეგ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს წერილში,—აუცილებელია შევამოწმოთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის მოქმედება. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გენსაბჭო უხეშად არღვევდა და კვლავ არღვევს ამ დადგენილებებს, წინააღმდეგ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ინტერესებისა. ინგლის-რუსეთის კომიტეტი ფორმალურად არსებობდა იმ მომენტში, როცა კაპიტალის შეტევამ მთელ რიგ ქვეყნებში და პირველ რიგში თვით ინგლისში, განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ინგლის-რუსეთის კომიტეტმა ამ შეტევას არავითარი პასუხი არ გასცა, რაშიაც ბრალი ედება მის ინგლისურ ნაწილს. ჩვენ ვამბობთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ და ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების შესახებ. ინგლისის მუშებმა ლოკაუტს, რომელიც მაღაროს მეპატრონეებმა გამოუცხადეს ინგლისის მემაღაროებს, უპასუხეს სოლიდარობის ძლიერ დემონსტრაციით, რამაც გამოხატულება ჰპოვა ათი დღის საყოველთაო გაფიცვაში. ეს ბრძოლა გასცეს ტომასმა, პიუმ და მათმა დამქაშებმა 1926 წ. 12 მაისს. ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშები ყოველი ძალ-ღონით სცდილობდენ, რომ უზრუნველეყოთ მემაღაროეთა გამარჯვება. მაგრამ ინგლის-რუსეთის კომიტეტი სდუმდა, რაშიაც ბრალი მიუძღვის მის ინგლისურ ნაწილს. რაც შეეხება გენსაბჭოს, მან პირველად უარჰყო საბჭოთა პროფკავშირების ძმური დახმარება (საყოველთაო გაფიცვის დროს) და შემდეგ ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ საერთო ძალ-ღონით გაგვეწია დახმარება მემაღაროებისათვის.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი ფორმალურად არსებობდა მაშინ, როცა ინგლისის მთავრობა მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ერთად აწარმოებდა ჯალათურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ ინგლისის და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების დახმარებით სხვადასხვა გენერლები—მილიტარისტები სასტიკად უსწორდებიან ჩინეთის ხალხის მოწინავე მებრძოლებს; ინგლის-რუსეთის კომიტეტმა ამაზე არავითარი პასუხი არ გასცა, რაშიაც დანაშაული მიუძღვის მის ინგლისურ ნაწილს. საბჭოთა კავშირის მუშები ჩინეთის მუშების ბრძოლას უყურებენ, როგორც თავის საკუთარ საქმეს და ყოველგვარი საშუალებით სცდილობდენ და სცდილობენ დაეხმარონ ჩინეთის მუშათა და გლეხთა გამარჯვებას. ინგლისში არსებობს მთელი რიგი კომიტეტები, რომელნიც ბრძოლას აწარმოებდენ ჩინეთის ინტერვენციის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლის-რუსეთის კომიტეტი სდუმდა.

ჩვენი ყოველგვარი ცდა იძულებულ გვეყო ინგლის-რუსეთის კომიტეტი გამოსულიყო ჩინეთის ხალხის დასაცავად ინგლისის და სხვა იმპერიალისტების წინააღმდეგ, უშედეგოდ დამთავრდა.

ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის დროს, ინგლისის მთავრობამ მოაწყო თავდასხმა არკოსზე, შესწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და აშკარად დაიწყო მზადება ომისათვის პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ პირობებშიაც კი ინგლის-რუსეთის კომიტეტმა არავითარი ნაბიჯი არ გადადგა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებია უსაშინელესი, უსასტიკეს და აშკარა კონტრ-რევოლიუციონური ომის საფრთხე, რითაც იგი ხელს უწყობდა კონსერვატორებს ახალი იმპერიალისტური ომისათვის მზადებაში. თქვენი წინადადება, რომ საკითხი ომის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გადაგვეცა ეგრედწოდებული პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებისათვის, ნიშნავდა ამ საკითხის სრულ დასამარებას. ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებმა იციან და იციან, რომ პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების მრავალმნიშვნელოვანი ფირმის ქვეშ იმალება რეაქციონური რეფორმისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ფორმალურად ხელმძღვანელობდა კაპიტალის გამოცდილი ლაქია უდეგისტი, რომლის ზურგს უკან მოქმედებდენ ჟასენბახები და ლეიპარტები. სწორედ ბროუნმა,—ამ გაერთიანების ბრიტანელმა მდივანმა, ამსტერდამის ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესზე ფაქტებითა და დოკუმენტებით გვიჩვენა და დაამტკიცა, რომ უდეგესტი და მისი კოლეგები უმთავრესად ინტრიგებს ეწეოდენ პროფკავშირთა მთლიანობის წინააღმდეგ, კერძოდ ინგლისის და საბჭოთა პროფესიონალური ორგანიზაციების წინააღმდეგ.

ამიტომ ომის წინააღმდეგ ბრძოლის საქმის გადაცემას ამსტერდამის ინტერნაციონალისათვის ისეთივე პოლიტიკური აზრი აქვს, როგორც მემაღაროეთა ბედის გადაცემას კაპიტალისტების აგენტ სერ ჰერბერტ სამუელის ხელში.

როცა უკეთებთ ჯამს ყოველივე ამას, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გენსაბჭოს წარმომადგენლები ინგლის-რუსეთის კომიტეტში ხელს უშლიდენ მას შეესრულებია თავისი მოვალეობა როგორც კაპიტალის შემოტევის, ისე სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში და ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ. ამას უნდა დაუმატოთ ის, რომ გენსაბჭომ ცხოვრებაში არ გაატარა ინგლის-რუსეთის კომიტეტის იანვრის კონფერენციის ისეთი ელემენტარული დადგენილებაც კი, რომელიც შეეხებოდა კონფერენციის მოწვევას საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელთაგან პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის განსახილველად,

ვიცავთ რა ერთგულად ჩვენს ტრადიციებს მუშათა კლასის ინტერესთა სასარგებლოდ, ჩვენ სინდისიერად, აშკარად და ნათლად ვაცნობებთ საბჭოთა კავშირის და ინგლისის მუშათა მასებს იმ საბოტაჟის პოლიტიკის შესახებ, რომელსაც გენსაბჭო ეწეოდა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიმართ, მთავრობის იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც გენსაბჭო ახორციელებდა მემაღაროეთა და ინგლისის სხვა მუშების მიმართ, და აგრეთვე ომისა და ომის საფრთხის საქმეში. ჩვენ ამით მხოლოდ ვასრულებთ ჩვენს პროლეტარულ-რევოლიუციონურ მოვალეობას მუშათა კლასის წინაშე.

ჩვენ ვაკრიტიკებდით და ვამჟღავნებდით გენერალურ საბჭოს იმ მოქმედებას, რომელსაც ჩვენ მავნებლად და დანაშაულად ვსთვლიდით, მუშათა კლასის ინტერესების წინაშე. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და მზად ვართ მოვისმინოთ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მოქმედების კრიტიკა დიდბრიტანეთის მუშათა კლასის და მის წარმომადგენელთა მხრივ, ვინაიდან ჩვენ ვსცნობთ, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლებს ასეთი კრიტიკის არ ეშინიათ და არც უნდა ეშინოდეთ, მათ არ უნდა დაუმალონ სიმართლე მუშათა კლასს. ჩვენ ვსცნობთ, რომ დიდბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის მრავალი მილიონი მასები არიან ამ შემთხვევაში ერთად-ერთი მსაჯულნი, რომელთა განაჩენს ვერ გაექცევიან ეგრეთწოდებული ბელადები, როგორ ხრიკებსაც არ უნდა მიმართონ მათ და როგორც არ უნდა შეეცადონ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას“.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლონეთის პრესა კმაყოფილია საბჭ. კავშირთან კონფლიქტის ლიკვიდაციით

დაწვრილებითი ცნობები ვარშავის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შესახებ

უხანისა და ნანკინის მთავრობების შეთანხმება.—უხანის მთავრობის ლიკვიდაცია

სპარსეთის მთავრობამ აუკრძალა რუს თეთრ-გვარდიელებს პოლიტიკურ ორგანიზაციების დაარსება

პოლონეთის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს

პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციის გამო

ვარშავა, 2 სექტემბერი. „რაბოტნიკი", უკეთებს რა კომენტარიებს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ სწერს:

„კონფლიქტის ლიკვიდაცია ნათელი ხსივია ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე. გერმანიის და ინგლისის რეაქციონერების იმედები, რომ ურთიერთობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გამწვავდება, არ გამართლდა. პოლონეთ-საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულობას უნდა მოჰყვეს აღმოსავლეთ ევროპის სხვა საგარანტიო ხელშეკრულებანი. სასურველია დადებულ იქნეს პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულობა, რომლის საშუალებით პოლონეთი და საბჭოთა კავშირი შეავსებენ ერთმანეთს ეკონომიურად.

ურთიერთობის გაუმჯობესება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლონეთისათვის არის კოზირი ერთა ლიგაში" (ადს).

თავდასხმა ვარშავის საბჭოთა საელჩოზე

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ოფიციალური ცნობა

ვარშავა, 2 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პრეს-ბიურომ ვარშავაში გაზეთებს გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„2 სექტემბერს, დილის 11 საათზე, საბჭოთა კავშირის საელჩოში გამოცხადა და უცნობი მოქალაქე, რომელმაც საელჩოს შიკრიკს შლესერის ჩვენების თანახმად, მიმართა მას მოთხოვნილებით დაეშვათ იგი საბჭოთა კავშირის რწმუნებულ ულიანოვთან. შეკითხვაზე, თუ რა საქმისათვის სურს მას ინახულოს ულიანოვი, უცნობმა ასტეხა აურ-ზაური და დანით მივარდა შიკრიკს, რომელიც დაუჭრა სახეში.

შიკრიკისა და იმ მომენტში საელჩოში მყოფი პირების ჩვენების მიხედვით ამის შემდეგ უცნობი პირი გაიქცა გასავალ კარებისაკენ, მაგრამ როცა დაინახა, რომ გაქცევა შეუძლებელია, ვინაიდან კარები დაკეტილი იყო, ამოიღო რევოლვერი. ამ მომენტში იგი მოკლულ იქმა საელჩოს მეორე შიკრიკის გუსევის მიერ გასროლილი რამოდენიმე ტყვიით.

მოკლულს აღმოაჩნდა დოკუმენტი იოსებ ტრაიკოვიჩის სახელზე.

შემდგომი გამოძიება გრძელდება". (ადს).

ვინ არის თავდამსხმელი

ვარშავა, 2 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის (ვარშავაში) შიკრიკზე თავდამსხმელის გვამის შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ მოკლული—იოსებ ტრაიკოვიჩი, დაბადებულია ვილნოში 1907 წელში. ტრაიკოვიჩი პოლონელი მოქალაქეა. მოკლულს თან აღმოაჩნდა მეორე კლასის რკინისგზის ბილეთი ვილნოდან ვარშავამდე. გვამის გვერდით იდო რევოლვერი, გარდა ამისა, ოთახში, სადაც თავდასხმა მოხდა შლესერზე, აღმოჩენილ იქნა მოკლულის მიერ გადაგდებული ფინური დანა.

სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საკონსულო განყოფილების დაჭრილმა თანამშრომელმა შლესერმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ უცნობი რომელიც საკონსულოს განყოფილებაში გამოცხადდა, დაჟინებით მოითხოვდა დაეშვათ იგი საბჭოთა კავშირის რწმუნებულ ულიანოვთან. შლესერი შეეკითხა უცნობს, თუ რა საქმეზე სურს ულიანოვის ნახვა. პასუხის მაგივრად უცნობი მივარდა ფინური დანით შლესერს და მოიხდომა დანის დარტყმა გულში. მაგრამ დანა აიცდინა ხელით და ხანჯალი მოხვდა სახეში. როდესაც საელჩოს მეორე შიკრიკი გუსევი მოვიდა, ტრაიკოვიჩი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ დარწმუნდა რა, რომ კარები დაკეტილია, ამოიღო რევოლვერი ჯიბიდან და დაუმიზნა გუსევს. გუსევმა ტრაიკოვიჩი მოჰკლა, როცა უკანასკნელი იმყოფებოდა საელჩოს შესავალ კარებთან. შლესერი დაჭრილია ლოყაზე და ხელში (ადს).

სპარსეთის მთავრობა

აფრთხილებს თეთრგვარდიელებს

თეირანი, 2 სექტემბერი. სპარსეთის გაზეთებში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება: „თეთრგვარდიელი რუსები, რომელთაც თავშესაფარი ჰპოვეს სპარსეთში, სპარსეთის სათანადო დაწესებულებებმა გააფრთხილეს, რომ თეთრმა ემიგრანტებმა უნდა იცხოვრონ სპარსეთში, როგორც კერძო პირებმა და არ შექმნან ორგანიზაციები". ამასთანავე თეთრგვარდიელ რუსებს წინადადება ეძლევათ „ხელი აიღონ ყოველგვარ ინტრიგებზე და მახინაციებზე და ბოროტად ნუ გამოიყენებენ სპარსეთში ყოფნას".

ამერიკა და საფრანგეთი

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მას სურს დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთსა და ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებს შორის მეგობრულ და სავაჭრო შეთანხმების დასადებად. სამინისტრო აღნიშნავს, რომ ამას წინად დადებული საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ამერიკელ ექსპორტიორებს საფრანგეთში. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებს სურს მიიღოს საფრანგეთისაგან განსაკუთრებულ უპირატესობის მქონე სახელმწიფოს უფლება.

მაგრამ ცნობაში აღნიშნულია, რომ ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებს არ შეუძლია შეიტანოს მოლაპარაკების პროგრამაში საკითხი საფრანგეთისათვის საბაჟო პრივილეგიების მიცემის შესახებ, ვინაიდან კონგრესის მიერ დამტკიცებული ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატების საბაჟო ტარიფი არ შეიძლება შეცვლილ იქნას სხვა სახელმწიფოსთან მოლაპარაკების წესით. (ადს).

ჯაშუშების მფარველები თავს იმართლებენ

ჰელსინგფორსი, 2 სექტემბერი. შვედური სახალხო პარტიის ორგანო „გუფუდსტაბლადეტ" ეხება რა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას სახ. გაერთ. პოლიტიკური სამმართველოს მიერ ლენინგრადში აღმოჩენილ ჯაშუშურ ორგანიზაციის შესახებ სწერს:

„რედაქციის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ თუ ყოველგვარ მოლოდინის გარეშე, ფინეთის ლენინგრადის საკონსულოს თანამშრომლები გამოდიოდნენ შუამავლად საბჭოთა კავშირის ფარგლებში მომუშავე ჯაშუშებსა და მათ საზღვარ-გარეთელ ხელმძღვანელებს შორის, აქ შუამავლობას არ ჰქონდა ბოროტი განზრახვა. თანამშრომლებმა არ იცოდნენ იმ კორესპონდენციების შინაარსი, რომელიც იგზავნებოდა საზღვარგარედ მათი დახმარებით. (ადს).

საბჭ. ავიაციის გამარჯვება

ამხ. შესტაკოვი მადლობას იხდის

ტოკიო, 2 სექტემბერი. საბჭოთა მფრინავმა შესტაკოვმა მადლობის გამოსაცხადებლად ინახულა სამხედრო საზღვაო სამინისტრო და აგრეთვე გზათა სამინისტრო—იმ მზრუნველ მილებისათვის, რომელიც მას აღმოუჩინა იაპონიის მთავრობამ და ხალხმა. (ადს).

გერმანულ გაზეთების რედაქტორების გაძევება

კოვნო, 2 სექტემბ. ლიტვის პრესის ცნობით მემელიდან გააძევეს გერმანულ გაზეთ „მემელერ დამპფბოტ"-ის ორი რედაქტორი, რომლებსაც თითქოს არ ჰქონდათ მემელის ოლქებში ცხოვრების უფლება. (ადს).

უხან-ნანკინის შეთანხმება

უხანის მთავრობა იშლება

შანხაი, 2 სექტემბერი. უხანის მთავრობა ფაქტიურად იშლება. უხანის გომინდანის პოლიტბიუროს ახალმა თავმჯდომარემ **ჩენ-გუნ-ბომ** ჯერ კიდევ სუნ-ჩუან-ფანის ჯარების გალაშქრებამდე ნანკინზე, განაცხადა, რომ მთავრობის ყველა ორგანოები უნდა მოემზადონ ნანკინში გადასასვლელად აგვისტოს მიწურულში. ნანკინში გადადის აგრეთვე სამხედრო საბჭოც, ხანკოუში ჯერ-ჯერობით დარჩება მისი განყოფილება. ნანკინელებთან კონფერენციის შემდეგ ცზუცზიანიდან დაბრუნებული უხანის გომინდანის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კონფერენცია სრული წარმატებით დასრულდა. ყველა საკითხებში მიღწეულია შეთანხმება. **ონ-ი-დუნი** (გენერალი, რომელიც აჯანყდა უხანის მთავრობის წინააღმდეგ) კვლავ დაემორჩილა უხანის მთავრობას და დაინიშნა დივიზიის უფროსად. **აჯანყებულ გენერლის სუ-პენ-სიანის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობამ გაგზავნა ახალი ჯარები, რომლებმაც, გაზეთების ცნობების თანახმად, ჩენჩჟოუს რაიონში სასტიკად დაამარცხეს სუ-პან-სიანის ჯარები.** უხანში ხშირ მოვლენად გადაიქცა ჯარისკაცების შეტაკება ვაჭრებთან, რომლებიც უარს აცხადებენ ფასდაკარგულ საკრედიტო ბილეთების მიღებაზე. **ამას წინად არსენალის მახლობლად ჯარისკაცები თავს დაესხენ საპოლიციო უბნის სამმართველოს და პოლიციელებს ბრალად სდებენ ვაჭრების დაცვას. ჯარისკაცებმა სასიკვდილოთ სცემეს ორ პოლიციელს და გაიტაცეს უბნის სამმართველოს მთელი მოწყობილობა.**

გრძელდება კომუნისტების დევნა. გომინდანის მუშა-აგიტატორთა პარტსკოლაში ჩანშაში ამას წინედ მოჰკლეს სკოლის ხელმძღვანელი, ცნობილი გომინდანელი. მკვლელი მიიმალა. იმავე დღეს იმავე სკოლაში თავს დაესხენ გომინდანის ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელს.

უკანასკნელ დღეებში მრავალი ხალხი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის ბევრი ქალია. დაპატიმრებულთა ჩხრეკის დროს აღმოჩენილია მრავალი დოკუმენტები, ფურცლები და სხვა ბეჭდვითი საგიტაციო მასალა. ფურცლებს სათაურად აქვს: „ძირს ნაციონალური მთავრობა! ძირს გომინდანი!" **ერთ სკოლაში დააპატიმრეს 24 კომუნისტი.** როგორც პოლიცია ამტკიცებს, აღმოჩენილია რამდენიმე არალეგალური ბინა, სადაც საიდუმლო კრებები იმართებოდა. ჩანშაში პროვინციალურმა ხელისუფლებამ კომუნისტების ძებნაში ალყა შემოარტყა ხალხს. ქალაქის ბიბლიოთეკაში, გაზეთების ცნობით, დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი **დან-ცზიან-ცზე**, რომელსაც ბრალდება უკანასკნელ დღეებში მომხდარ თავდასხმების მოწყობა.

ნანკინელების მორიგი პროტესტი

შანხაი, 2 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო „გომინი" იუწყება, რომ მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ბრიტანეთის ნაღმოსნები მაინც არ გადიან ბრძოლის ასპარეზიდან რითაც ხელს უშლიან სამხედრო სარდლობას ვუზუნის ნავთსადგურის დაცვაში. ჩინეთის ხელისუფლებამ ენერგიული პროტესტი განუცხადა ბრიტანეთის კონსულს და სთხოვა ნაღმოსნების გაყვანა „უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად". (ადს).

სუნ-ჩუან-ფანის მარცხი

შანხაი, 2 სექტემბ. სუნ-ჩუან-ფანის წრეებთან ახლოს მდგომი გაზეთი „შანხაი ივნინგ ნიუს" აღიარებს, რომ **სუნ-ჩუან-ფანის სამხედრო ოპერაციები მარცხით დასრულდა.** სუნ-ჩუან-ფანის ჯარების დანაკლისი ათეულ ათასებით განისაზღვრება.

ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო გომინი აცხადებს:

„სუნ-ჩუან-ფანის ჯარების გადასვლა მდ. იანცზე შესაძლებელი გახდა, უცხოეთის ორი სამხედრო გემის დახმარებით".

სააგენტო ხაზს უსვამს. რომ ეს დადასტურებულია მოწმეების ჩვენებით (ადს).

ერთა ლიგის სესიაში

იუბერი დე-ჟუვენელის მაგიერ

პარიზი, 2 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დე-ჟუვენელის მაგიერ, რომელიც გადადგა, მინისტრთა საბჭომ საფრანგეთის დელეგაციაში ერთა ლიგის სესიაზე დანიშნა სენატორი ლიუსენ იუბერი, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. (ადს).

პოლონეთის პროექტი

პარიზი. 2 სექტემბერი. „პტი პარიზიენი" იუწყება, რომ პოლონეთის დელეგაცია ჟენევაში განზრახული აქვს 7 სექტემბერს წარუდგინოს ერთა ლიგის პლენუმს საყოველთაო ხელშეკრულების პროექტი თავდაუსხმელობის შესახებ და იმედი აქვს, რომ ეს პროექტი გამოიწვევს თანაგრძნობას. (ადს).

ერთა ლიგა გვერდს უხვევს მწვავე საკითხებს

ჟენევა, 2 სექტემბ. 2 სექტემბერს ლიგის საბჭოს საჯარო სხდომაზე გამოცხადდა ახლად ჩამოსული ბრიანი, მაგრამ მას თათბირში მონაწილეობა არ მიუღია. ირჩევდა სულ მცირემნიშვნელოვანი საკითხებს.

დანციგის საკითხს საბჭოს საიდუმლო სხდომაზე არჩევენ. ეს აძლევს უმთავრესად გერმანიის პოლიტიკურ წრეებს პესიმისტურ მსჯელობის საბაბს. ამ შემთხვევას უცურებენ, როგორც ლიგის ტაქტიკის ნიმუშს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ლიგა გვერდს უვლის მწვავე საკითხებს და გადააქვს ისინი კომისიებში, რომლებიც არ არიან უფლება-მოსილი სადაო საკითხების გარჩევაში.

განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს ის გარემოება, რომ გერმანიის მიერ ლიგის აშ ტაქტიკისადმი აღმრიცხულ წინააღმდეგობას მხარი არ დაუჭირა საბჭოს არც ერთმა წევრმა.

ცელენსი ჟენევაში გაემგზავრა

რიგა, 2 სექტემბერი. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ცილენსი** გაემგზავრა ჟენევაში ერთა ლიგის სესიაზე დასასწრებლად.

ერთა ლიგის კულისებში

ბერლინი, 2 სექტემბერი ერთა ლიგის პლენუმის დროს განზრახულია ლატვიის, ფინეთის, ესტონეთის და ლიტვის გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ამ სხდომაზე უნდა განხილულ იქნას საგ. პოლიტიკის ზოგიერთი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა: ბალტიის ლიმიტროფების ერთიანი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ, გამორკვევა ლიმიტროფების საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციის საბჭოთა კავშირის მიმართ და გაუქმება ლატვია-საბჭოთა კავშირის ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ სავაჭრო ხელშეკრულებისა, ვინაიდან ფინეთს და ესტონეთს მიაჩნიათ, რომ ის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა ლატვიამ ბალტიის მეზობლების მიმართ სავაჭრო და ეკონომიურ პოლიტიკის დარგში.

„ბერლინერ ცაიტუნგ ამ მიტტაგ"-ის აზრით, არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ამ თათბირის ზურგს უკან სდგას ინგლისი.

გაზეთის სიტყვით ბალტიის სახელმწიფოთა ახალი ბლოკი მოითხოვს წარმომადგენლობას ლიგის საბჭოში და მხარს დაუჭერს ფინეთის კანდიდატურას.

„ფინეთის არჩევა, შენიშნავს გაზეთი, ააშკარავებს ლიგის პოლიტიკის ანტირუსულ ტენდენციებს. ყოველივე მოწმობს იმას, რომ ჟენევაში მოსალოდნელია ხანგრძლივი კამათი რუსეთის შესახებ". (ადს).

შემთანხმებელთა ტაქტიკა

ვენა, 2 სექტემბერი. ივლისის დღეებში ავსტრიის მბეჭდავთა კავშირმა განკარგულება გასცა ორი დღით შეეჩერებიათ გაზეთების გამოშვება გარდა „არბეიტერ ცაიტუნგისა", რომლის ნაცვლად კავშირმა დაადგინა „ავსტრიის სოციალ-დემოკრატების უწყებების" გამოცემა.

კომუნისტურ „როტე ფანეს" სტამბის მუშებმა გადასწყვიტეს მაინც გამოეშვათ თავისი გაზეთი ერთ გვერდზე. ახლა ეს საქმე გაირჩა ქვემო ავსტრიის კავშირის საოლქო კომიტეტში.

კომიტეტმა „როტე-ფანეს ორი მუშა ექვსი თვით გამორიცხეს მბეჭდავთა კავშირიდან.

ლინცაში კი, ავსტრიის მბეჭდავთა კავშირის საოლქო კომიტეტი დაკმაყოფილდა მხოლოდ გაკიცხვით იმ მუშების მიმართ, რომლებმაც ივლისის დღეებში ფაშისტური ფურცელი გამოუშვეს.

შტრეზემანი ჩემბერლენთან

ჟენევა, 2 სექტემბ. 2 სექტემბერს, სადილის დროს, შტრეზემანმა ინახულა ჩემბერლენი და იმსჯელა მასთან ერთად იმ პოლიტიკურ საკითხების შესახებ, რომლებიც შეტანილია ერთა ლიგის სესიის დღის წესრიგში. მინისტრებმა გამოსთქვეს რწმენა, რომ ლოკარნოში და ჟენევაში დაწყებული შეთანხმების პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს ყველა სახელმწიფოების ინტერესების თვალსაზრისით, რეინის ოლქის საოკუპაციო ჯარების რაოდენობის მოსალოდნელი შემცირება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ამ გზაზე. (ადს).

ოპოზიცია ავსტრიის სოც.-დემ. პარტიაში

ვენა, 2 აგვისტო. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების მოღალატურმა პოლიტიკამ, რომელმაც განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი ივლისის დღეებში, ოპოზიციის გზაზე დააყენა ამ პარტიის წევრები-მუშები. ამ ოპოზიციამ ჰპოვა ჯერ-ჯერობით მკრთალი გამოხატულება იმ ფურცელში, რომელიც მან გამოსცა და გაავრცელა ამ დღეებში ვენაში. იქ სწერია სხვათა შორის შემდეგი:

„15 ივლისი ბედშავი მომენტი იყო ავსტრიის მუშათა კლასის და ჩვენი პარტიის ისტორიაში. ჩვენი ამაყი, დიდებული მსვლელობა, ჩვენ მიერ ახალ ახალი პოზიციების დაპყრობა უცებ შესწყდა. კიდევ მეტი: სისხლის მღვრელი ბოროტმოქმედების შემდეგ, რომელმაც ჩვენი ამხანაგები იმსხვერპლა, რეაქციამ ფრთები გაშალა. ის გვემუქრება კიდევ, რომ თავდამსხმელ ფაშისტურ ძალებს თავისუფალი განვითარების გზას მისცემს. ჩვენ გვესის არა მარტო მოპოვებული უფლებების დაკარგვის საფრთხე, არამედ ფაშისტების არალეგალური ძალების, ეგრედ წოდებული ფრონტის მებრძოლების და „ჰაკენკრეიტლერების" თავდასხმა, და ჩვენ უძლურნი ვართ მათ წინააღმდეგ. ასეთია მდგომარეობა, რომლის წინაშე ვდგავართ, ამხანაგებო".

„ამხანაგებო, ყოველმა შეგნებულმა მუშამ ნათლად უნდა წარმოადგინოს იმ მძიმე დამარცხების მიზეზი, რომელიც ჩვენმა პარტიამ განიცადა: საბედისწერო იყოს ტაქტიკა, რომელსაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელები მისდევდნენ წლიდან წლამდე. ეს ტაქტიკა არ იყო ბოლომდე მოსაზრებული, არ იყო თანმიმდევრული. გამოდიოდა რა ამ მოსაზრებიდან, რომ მუშების მონაპოვარნი არ არიან უზრუნველყოფილნი რეაქციის იერიშების წინააღმდეგ. მიტომ, რომ ბურჟუაზიისათვის დემოკრატია აღარ არის წმინდა და ხელუხლებელი, როცა საჭირო ხდება მუშათა ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრება პარტია ცდილობდა მუშათა კლასის პოზიცია გამტკიცებია შეიარაღებული ძალის შემოწმებით, სოციალდემოკრატია სცდილობდა ძალით დაეცვა დემოკრატია და კონსტიტუცია ფაშისტების არალეგალური ძალებისაგან, „ფრონტის მებრძოლების კავშირის", „ჰაკენკრეიტლერებისაგან"... მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენს ხელმძღვანელებს კიდევ ერთი ნაბიჯიც უნდა გადაედგათ თავიანთ პარტიულ წევრებისა და ამრჩევლებისათვის ის ფულებიც მოეთხოვათ, რომელიც თავის თავად იგულისხმება ხალხის შესაიარაღებლად და სათანადო ზომებიც მიეღოთ იარაღის შესაძენად"... „პარტიამ არ გადადგა ეს ნაბიჯი, ის შუა გზაზე შეჩერდა და მას არაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ შეეცადა ორპირობით ხალხისთვის თვალი აეხვია და თავისი გაუბედაობა დაეფარა"...

„...რეაქციამ ადვილად შესძლო, რომ ეს ორპირობა თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ მიემართა. და ივლისის სისხლისმღვრელმა დღეებმა ბრმებისთვისაც კი ცხადი გახადა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკა სრულიად უპასუხისმგებლო ყოფილა".

„ამხანაგებო, თითქო არაფერი მომხდარიყოს, პარტიის ხელმძღვანელები ამ სისხლის ღვრის შემდეგაც განაგრძობენ საბედისწერო საიდუმლო დიპლომატიის და მიჩქმალვის ტაქტიკის წარმოებას. მათი საეჭვო დუმილი „თავდაცვის კავშირის" შეიარაღებისა გაფიქრებინებს, რომ ჩვენი ბელადები მიჩქმალვის ტაქტიკისა და პარტიული პროგრამის გაწყალების ანუ უკეთ ვსთქვათ მარჯვნით გადახრისა და უკან დახევის შემწეობით სცდილობენ დამარცხების შედეგები თავიდან აიცილონ".

„...ასეთი მდგომარეობის განგრძობა შეუძლებელია, სოციალ-დემოკრატიული მასსების სახელით, რომელნიც სამართლიანი უნდობლობით არიან გამსჭვალულნი პარტიის ხელმძღვანელების მიმართ, ოპოზიცია თავის ხმას იმაღლებს პარტიის ბელადების წინააღმდეგ, მათ პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს გაუბედავი და ორპირი ტაქტიკისათვის, რომელმაც დიდი უბედურება გამოიწვია და სასტიკ პროტესტს აცხადებს მარჯვნივ გადახრისათვის, რის შედეგებისთვისაც დღესვე მათვე აკისრებს პასუხისმგებლობას".

„ოპოზიცია ადასტურებს, რომ ხელმძღვანელები დღესაც ცდილობენ მიჩქმალონ ის უნდობლობა, რომელსაც ფართო მასები გრძნობენ მათ წინააღმდეგ, შებოჭონ თავისუფალი კრიტიკა ორგანიზაციებში და ამრიგად თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა, ოპოზიცია მოითხოვს, რომ პარტიულ ამხანაგებს თავისუფალი კრიტიკის უფლება მიეცეს ყველა ორგანიზაციებში, ოპოზიცია ადასტურებს, რომ პარტიული ხელმძღვანელები ლამობენ უარყონ და მიჩქმალონ დამარცხების ფაქტი და ამავე დროს მთელს ხაზზე უმწეოდ უკან დაიხიონ. ოპოზიცია მოითხოვს; რომ ხელმძღვანელებმა აშკარად აღიარონ დამარცხება, შეაჩერონ უკან დახევა, და აღადგინონ და განამტკიცონ შეიარაღებული ძალა ფაშისტური იერიშებისაგან თავის დასაცავად"...

„...როგორც სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში, ისე ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაშიაც ამიერიდან ოპოზიცია იარსებებს. ეს ოპოზიცია ყოველთვის დაემორჩილება პარტიულ დისციპლინას და ხელს შეუწყობს უმრავლესობის მიერ მიღებული რეზოლუციების განხორციელებას... მაგრამ ამასთანავე ოპოზიცია შეეცდება გააძლიეროს პროლეტარიატის თავდაცვის ძალა გათავხედებული კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, გამოაშკარავოს ხელმძღვანელების მიერ ჩადენილი შეცდომები, წინააღმდეგობა გაუწიოს პარტიული პროგრამის გაწყალებას და მარჯვნივ გადახრას და გაბედულად და გარკვევით დაადგეს შეიარაღების გზას".

ინგლისის მფრინავები ბალტიის ზღვაში

ინგლისის პრესა ინგლისელ მფრინავების მანევრების შესახებ

ლონდონი, 2 სექტემბერი. „უორკერს ლაიფი" ათავსებს წერილს ინგლისელ მფრინავების გადაფრენის შესახებ ბალტიის ზღვაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის საჰაერო რაზმს მეთაურობს ავიაციის ვიცე-მარშალი **სამუელ ხორი**, რომელიც, გაზეთის სიტყვით, „**მუდამ მეგობრულად იყო განწყობილი რუს თეთრგვარდიელებისადმი.** ამიტომ გასაკვირი არ არის,—განაგრძობს გაზეთი,—რომ ხორი ასე ღრმად არის დაინტერესებული მანევრებით ბალტიის ზღვაში. ამ მანევრების მნიშვნელობა კიდევ იმ გარემოებით იზრდება, რომ ისინი სწარმოებს უშუალოდ ინგლისის ფლოტის ჩასვლის შემდეგ ბალტიის ზღვაში. ინგლისი საკმაოდ გამოცდილია რუსეთის ბლოკადის საქმეში. ინგლისის სამხედრო ექსპერტებმა იციან, რომ ასეთი ბლოკადის განხორციელება შეუძლებელია და რომ კონტროლი ბალტიის ზღვაზე შესაძლებელს ხდის ჰაერიდან ყუმბარების დაშენას ლენინგრადისათვის და შეიარაღებული დახმარების გაწევას განაპირა სახელმწიფოებისათვის". ამასთან ერთად გაზეთი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ სამხედრო მინისტრი ევანსი მიემგზავრება ინდოეთში ინდოეთის არმიის სარეორგანიზაციოდ.

ამ გამგზავრების გარშემო „დეილი ტელეგრაფის" ოფიციალურ შენიშვნებში აღნიშნული იყო: „**სამხედრო სამინისტრო სერიოზულადაა შეშინებული ბოლშევიკების მიერ ინდოეთისათვის ალყის შემორტყმის შესაძლებლობით.** ბრიტანეთის იმპერიის თავდაცვის ხელმძღვანელთა თათბირზე ინდოეთისა და ავღანისტანის საზღვრების საკითხი გადაიქცა ფართო განხილვის მთავარ საგნად. ამ საკითხის შესწავლამ და ცდების ჩატარებამ დაამტკიცეს, რომ ინდოეთის თავდაცვა შესაძლებელია ავტომოძრავებით აღჭურვილ ჯარის ნაწილებისა და სამხედრო საჰაერო ძალების საშუალებით. **ამ საფრთხის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას, როგორც ეს დამტკიცდა საკითხის შესწავლის შემდეგ, წარმოადგენს დაუყოვნებლივი გადასვლას იერიშზე**". (ადს).

მენშევიკების მარცხი

ვენა, 2 სექტემბერი. ქალაქ გრაცის პოლიციის ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციის გამგეობის ხელახალ არჩევნებში სოციალ-დემოკრატები კვლავ სასტიკად დამარცხდნენ. პოლიციელთა ქრისტიანულ-სოციალისტურმა ორგანიზაციამ მიიღო 302 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა კი—157. ქრისტიანულ სოციალისტებს ეყოლებათ 8 წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატებს—4. წინანდელ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 402 ხმა და გამგეობის 12 წევრიდან 10 მათი წარმომადგენელი იყო.

გაფიცვა ინდოეთში

ლონდონი, 2 სექტემბერი. ბომბეიდან (ინდოეთი) იუწყებიან, რომ კურულის საფეიქრო ფაბრიკების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა. მუშები მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას და ჯარიმების გაუქმებას. საფეიქრო მუშათა რეფორმისტული პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა წინადადება მისცა გაფიცულებს განაახლონ მუშაობა იმ პირობით, თუ რამოდენიმედ იქნება შემცირებული ჯარიმების რაოდენობა. **მუშებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ამ წინადადებაზე და განაგრძობენ გაფიცვას. (ადს).**

წყალდიდობა

აღმოსავლეთ გალიციაში

ვარშავა, 2 სექტემბ. როგორც ირკვევა, წყალდიდობამ გაცილებით მეტი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ გალიციისათვის, ვიდრე ეს წინანდელი ცნობებიდან სჩანდა. **წყალმა დაშფარა 5 ქალაქი და 347 სოფელი 28 მაზრაში. რკინისგზის ბევრ ხაზზე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. ბევრი ხალხი დაიღრჩო. მთელი რიგი ადგილები მოწყვეტილია. მდინარე დნესტრი, ჩერემუშ და პრუტი თანდათან მატულობენ. ბევრ რაიონში დიდი წვიმები და ქარიშხალი არ სწყდება. (ადს).**

რუმინეთში

ვენა, 2 სექტემბერი. **ნიაღვრებმა დიდი წყალდიდობა გამოიწვია რუმინეთში, ნაწილობრივად წყალთაა დაფარული ბუქარესტი. წყალდიდობამ ბევრი შენობები დაანგრია, ალაგ-ალაგ ტელეფონის მუშაობა შეწყვეტილია. წყალშია აგრეთვე ქალაქი იასი და ბუზეუ. მეხის დაცემის გამო მორენში ცეცხლი გაუჩნდა ნავთის კოშკებს.**

უნაყოფო ცდა

პარიზი, 2 სექტემბერი. ფრანგი მფრინავები ჟიეონი და კორბიუ, რომლებსაც განზრახული აქვთ ფრენა დედამიწის გარშემო, ბენზინის გათავების გამო იძულებული გახდნენ დაშვებულიყვნენ პარიზის აეროდრომზე. (ადს).

იმპერიალიზმისა და მენშევიკ ავანტიურისტების წინააღმდეგ

(საბჭოთა მოქალაქეების ხმა ბერლინიდან)

ინგლისის იმპერიალიზმის საომრად მომზადებამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კიდევ აამოძრავა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განდევნილი ქართული კონტრ-რევოლიუციონური მენშევიკური ემიგრაცია.

პეკინში და ლონდონში საბჭოთა დაწესებულებებზე პროვოკაციულმა თავდასხმამ, ურთიერთობის შეწყვეტამ და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მუხანათურმა მოკვლამ, კვლავ აამოქმედა ნ. ჟორდანია, რამიშვილი და მისი კომპ., რომელიც მთლიანად იმყოფება ბურჟუაზიის ბანაკში და თავისი მოქმედებით ეხმარება იმპერიალისტებს.

საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის და კომპ. სადირექტივო წერილებიდან ნათლადა სჩანს, რომ ისინი კვლავ ამზადებენ აჯანყებას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ ქართველი მუშათა კლასი, გლეხთა ფართე მასსა და ინტელიგენცია დიდი ხანია ჩამოშორდნენ მენშევიკურ პარტიას და მის „იდეოლოგებს" უკანასკნელნი, მაინც გზავნიან თავიანთ ემისრებს და სცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ქართველი ხალხი და ამით გაიმეორონ უმაგალითო აგვისტოს ავანტიურა, რომლის მსხვერპლი ჯერ არ დაუვიწყნია ქართველ ხალხს.

ჩვენ გერმანიაში მყოფი საბ. საქართველოს მოქალაქენი აშკარად ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობას აწარმოებს და იცავს მშვიდობიანობას. ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ინტენსიურ სოციალურ მშენებლობით შეიძლება საქართველოს მშრომელი ხალხის ეკონომიურად განმტკიცება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მეცნიერების და ხელოვნების განვითარება.

ბერლინში მყოფ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საერთო კრება თავს მოვალეთ სთვლის ხმა აღიმაღლოს მენშევიკების მორიგ ღალატის წინააღმდეგ და განაცხადონ, რომ ჩვენ მზათ ვართ მხარში ამოუდგეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას და ჩვენი ძალ-ღონით, ცოდნით და გამოცდილებით, ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

განა ქართველი მშრომელი ხალხისათვის აშკარა არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობა საქართველოში სწარმოებს იმ მენშევიკური პარტიის სახელით, რომელსაც მხოლოდ უჯარო გენერლობა შერჩათ და რომლებიც ასრულებენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტების დირექტივებს? დღეს განა ყველასათვის აშკარა არ არის, რომ ეკონომიურად გაბატონებულ კლასისათვის (ბურჟუაზიისათვის) საქართველო საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას სურს იგი გაიხადოს თავის კოლონიად?

ამიტომ ჩვენს სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ მშრომელთა საყოვაოდღებოთ და მოუწოდებთ საქართველოს მუშათა კლასს, ინტელიგენციას, სტუდენტობას და ყველა პატიოსან ქართველს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით დაიცვას პროლეტარული სახელმწიფო.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

საზოგადო კრების დავალებით: **ალექსანდრე სვანიძე, [illegible] ერქომაიშვილი, მოსე შანიძე, ა[illegible]ლ მეტრევ[illegible] [illegible]ადო ჟანდარული, შალვა ჩაჩიბაია.**

ბერლინი, აგვისტო.

ინგლისის ჯაშუშები და ფინეთის სოც.-დემოკრატია

მოსკოვი, 3 სექტემბერი. „პრავდა" პოლიტმიმოხილვაში 3 სექტემბერს სწერს:

„გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—პროლეტარული დიქტატურის ორგანო, რომელიც დაუღალავად სპობს მუშათა კლასის მტრებს, ბუნებრივად იწვევს გაცოფებულ მძულვარებას მსოფლიო ბურჟუაზიაში, ყველა წვრილბურჟუაზიულ პაციფისტებში და სოციალ-შემთანხმებლებში.

გამოქვეყნებულია გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ცნობა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მონაპოვართა წინააღმდეგ ახალი თავდასხმების შესახებ. მან დაიჭირა და პროლეტარულ სასამართლოს გადასცა ოთხი ჯაშუშურ-ტერორისტული ბანდა, რომელნიც მიზნად ისახავდნენ თავდასხმას საბჭოთა მთავრობის წევრებზე, აფეთქებათა მოწყობას („ვოლხოვსტროი"), საბჭოთა კავშირის თავდაცვის საიდუმლოებათა გაგებას და სხ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ყველაზე უფრო საშიში და მრავალრიცხოვანი ბანდის პროცესი, რომელიც ლენინგრადში დაიწყება. ამ ბანდის 8 სულის ჩამდგმელია ინგლისის ფლოტის კაპიტანი ბოისი. 26 ჯაშუში ინგლისის სტერლინგებით უდიდესი სიმტკიცით ძვრებოდნენ საბჭოთა სამოქალაქო და სამხედრო აპარატის სხვადასხვა ხვრელებში იმისათვის, რომ ეშოვნათ მათი პატრონებისათვის საჭირო საიდუმლო ცნობები. მაგრამ თუ დანაშაულობრივი მოქმედების ხელმძღვანელი ცენტრი იმყოფებოდა ინგლისში, სამაგიეროდ მისი ბაზა იყო ფინეთი. ფინეთის კონტრდაზვერვა უკან აგზავნიდა ჯაშუშებს საზღვარზე. ფინეთში ერთ დროს მუშაობდა ბოისის მთავარი თანაშემწე გოიერი, იქვე სცხოვრობდა მეორე თანაშემწე—ანტონ ხლოპუშინი. გოიერი თავის წერილებს ბოისისადმი აგზავნიდა ლენინგრადში მყოფი ფინეთის საკონსულოს საშუალებით; ფინეთის ამავე საკონსულოს თანამშრომელის ლინდსტეტის საშუალებით იღებდა წერილებს ბანდის მეორე მონაწილე გიორგი ხლოპუშინი.

არა ნაკლებ აქტიურია ფინეთის კონტრდაზვერვის როლი სხვა ბანდების მოქმედებაში, რომელთა აღმოჩენის შესახებ იუწყება გაერთ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველო გამოქვეყნებულ განცხადებაში. ბალმასოვი და სოლსკი, რომელთაც აღიარეს, რომ მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის საქმიანი კლუბის სხდომაზე თავდასხმაში, მჭიდრო კონტაქტში მუშაობდნენ იმ პირებთან, რომელნიც ფინეთის გენერალურ შტაბს ეკუთვნიან.

ამგვარად, ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ახალი საბუთებისა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ფინეთის მთავრობის ორგანოები სიამოვნებით უწევენ დახმარებას ინგლისის აგენტებს, რომლებიც ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და რომ ფინეთის მთავრობას განზრახვა აქვს თავისი ქვეყანა იჯარით მისცეს ბრიტანეთის იმპერიალიზმს. როგორც პლაცდარმი მტრული მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ალბად ამისათვის არის, რომ ინგლისი ასე დაჟინებით იცავს ფინეთის კანდიდატურას ერთა ლიგის საბჭოში.

ასე ხორციელდება ბლოკი ფინეთის მთავრობისა,—რომელსაც მეთაურობს ფინეთის სოციალ-დემოკრატია,—ბრიტანეთის იმპერიალიზმთან, რომელიც არის ყველაზე რეაქციონური, მებრძოლი იმპერიალიზმის უდიდესი წარმომადგენელი, მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მეთაური.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ფინეთის ფართო მშრომელი მასსები თავის დროზე მიაქცევს ყურადღებას იმ ფართო პროვოკაციას, რომელიც მათ სისხლიან ავანტიურაში ჩაგდების საფრთხეს უმზადებს".

ფაშისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაშლა

პრაღა, 2 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ფაშისტების მიერ ამ ცოტა ხნის წინად მოწყობილ გამოსვლას, განსაკუთრებით ერთ-ერთ თანამდებობით პირზე თავდასხმას მნიშვნელოვან საბუთების ხელში ჩაგდების მიზნით, შედეგად მოჰყვა ფაშისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაშლა, ვინაიდან მათი მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს რესპუბლიკის დაცვის შესახებ". (ადს).

საერთაშორისო მიმოხილვა

ერთა ლიგის კრიზისი—რეაქცია საფრანგეთში და ამხ. ბრუნის გაძევება.—კონფლიქტი პოლონეთთან მოგვარებულია.—ინციდენტი პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე.—ლატვია - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სესია, რომელსაც მოჰყვება ლიგის სესიის სხდომები. ეს „პატივცემული" დაწესებულება არასოდეს არ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, ხოლო ბოლო დროს, ის თითქმის სრულ არარაობათ იქცა. დამახასიათებელი ის არის, რომ დღეს ერთა ლიგის უსუსურობას აღიარებენ არა მარტო ისინი, რომელნიც იმ თავითვე სწორად აფასებდნენ მას, არამედ ისეთი პირებიც რომელნიც უშუალო მონაწილეობას და ხელმძღვანელ მონაწილეობასაც ღებულობდნენ ამ ორგანიზაციის „მოღვაწეობაში".

ჩვენ უკვე ვიცით, რომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, დე-ჟუვენელი გადადგა. მან ბრიანისადმი გაგზავნილ წერილში განმარტა თავისი ნაბიჯი: ლიგაში ადგილი აქვს არა ყველა ხალხების შეთანხმებულ მუშაობას, არამედ ოთხ დიდ სახელმწიფოს (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია) ბლოკს და მთავარი საკითხები ლიგის გარეშე წყდებაო.

ჟუვენელი „ხალხთა შეთანხმებულ მუშაობის" დამცველის როლში! ეს რა თქმა უნდა სასაცილოა. ნამდვილად კი ჟუვენელის გამოსვლა არის იმ ბრძოლის გამოხატულება, რომელიც წარმოებს პუანკარეს და ბრიანის მომხრეთა შორის. პუანკარეს ეშინია გერმანიის გაძლიერების, გერმანიის, რომელიც, სხვათა შორის, მოითხოვს რეინის ოლქის დაცლას საოკუპაციო ჯარებისაგან და ამ მოთხოვნის გატარებას ლამობს ერთა ლიგის სესიაზე ინგლისის დახმარებით. ამიტომ პუანკარისტი ჟუვენელი ცდილობს ერთა ლიგის სახელის გატეხას, ყოველ შემთხვევაში რეინლანდის საკითხის მოხსნას მის სექტემბრის სესიის დღის წესრიგიდან.

ერთა ლიგის დასახასიათებლად აგრეთვე მეტად საგულისხმოა რობერტ სესილის მოქმედება. სესილი ინგლისის მთავრობის თვალსაჩინო წევრი იყო და ამავე დროს მისი წარმომადგენელი ერთა ლიგაში. ის ბოლო დღეებში გამოვიდა როგორც მთავრობიდან, ისე ხელი აიღო ხსენებულ წარმომადგენლობაზე. როგორც „დეილი ტელეგრაფ" გადმოგვცემს, სესილი გადადგა იმის გამო, რომ „ერთა ლიგას უმნიშვნელო ავტორიტეტი აქვს საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც წყდება დიდი სახელმწიფოების გარეშე საქმ. სამინისტროების საიდუმლო კრებებზე". თვით სესილი თავის გადადგომას უკავშირებს ერთა ლიგის განიარაღების კომისიის მუშაობას. ის ამხელს, რომ „ინსტრუქციები, რომლებითაც მე უნდა მეხელმძღვანელებია, მაიძულებდნენ დამეცვა ისეთი წინადადებები, რომელთა შერიგება საქმის წარმატებით დაგვირგვინების სურვილთან მეტად ძნელი იყო". სესილი აღიარებს, რომ „განიარაღების კონფერენციის ჩაშლა კატასტროფას უდრის". მაშასადამე, ის ამხელს, რომ ინგლისს განიარაღების საკითხში შეურიგებელი პოზიცია უკავია, რომ ის ლამობს მიაღწიოს სხვების განიარაღებას, ისე რომ შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ძლიერება. მაგრამ სესილისათვის ცხადია, რომ ეს პოლიტიკა ინგლისის იმპერიალიზმს ბოლოს და ბოლოს დაღუპავს, ვინაიდან ის ვერ გაუძლებს, მაგ., ამერიკასთან მეტოქეობას და მასთან დათმობაზე წასვლას არჩევს.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ რობერტ სესილის საქციელი კიდევ ერთი მძლავრი მუჯლუგუნია, რომელიც ჩაეცა ერთა ლიგის „ღირსებას". ერთა ლიგა უკვე აყროლებული ლეშია და რაც უფრო რთულდება საერთაშორისო მდგომარეობა, მით უფრო იშლება ის.

⁂

საფრანგეთის ეხლანდელი მესვეურთა პოლიტიკა სულ უფრო მარჯვნივ იხრება. ფრანკის ის დროებითი და ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რომელსაც პუანკარემ მიაღწია, პირველ ყოვლისა მშრომელ მასების ექსპლოატაციის ემყარება, და ამ მასებში სულ უფრო იზრდება უკმაყოფილება არსებული რეჟიმით. საფრანგეთის მუშათა კლასში რევოლიუციონური მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს და ის ჯარებსაც ედება. კომუნისტების გავლენა სულ უფრო ძლიერდება.

აქედან—პუანკარეს მთავრობა დაადგა სასტიკ რეპრესიების გზას კომუნისტებისა და რევოლიუციონურად განწყობილ ელემენტების მიმართ. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი სარო მათ „ჯვაროსნულ ომს" უცხადებს. კომუნისტებისათვის დეპუტატის ხელშეუხებლობა გაუქმებულია და კომუნისტი-დეპუტატები ციხეებში არიან ჩამწყვდეულნი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში კომუნისტებს ათანაბრებენ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან და მათ მიმართ სპობენ პოლიტიკურ პატიმართათვის არსებულ წესებს. ასე მოიქცენ ამხ. მარტის მიმართ, რომელმაც ის „ბოროტმოქმედება" ჩაიდინა, რომ აგიტაციას აწარმოებდა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამავე დროს ძლიერდება კამპანია „მოსკოვის" წინააღმდეგ, რომელსაც თვლიან ყოველგვარ „ბოროტების" წყაროდ და რევოლიუციონურ მოძრაობის გამღვივებლად საფრანგეთში. ჩვენ გვახსოვს საფრანგეთის სასამართლოს თავხედური განაჩენი კომუნისტების საქმეზე, სადაც სასამართლომ საბჭოთა ხელისუფლებას დასდო ბრალი ფრანგ კომუნისტების მუშაობისათვის. აგრეთვე არ დაგვიწყებია, რომ საფრანგეთის სასამართლომ გაამართლა ვეშაპელის მკვლელი მერაბიშვილი და ამით ანტისაბჭოთა დემონსტრაცია მოახდინა. საფრანგეთის მთავრობა ხელს უწყობს ისეთი ატმოსფერის შექმნას, როცა საბჭოთა მოქალაქეებზე თავდამსხმელნი თითქო დაუსჯელად გრძნობენ თავს. ასეთმა ატმოსფერამ გამოიწვია, სხვათა შორის, საბჭოთა საელჩოს შვეიცარის ფომინის დაჭრა თეთრგვარდიელ ქალის შეპკინას მიერ.

უკანასკნელ კვირაში ჩვენ მოწმენი შევიქენით ახალი ანტისაბჭოთა გამოსვლისა საფრანგეთში. მხედველობაში გვაქვს ამხ. ბრუნის გაძევება საროს განკარგულებით. ბრუნი საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს პარიზის განყოფილების გამგე იყო. მან, სხვათა შორის, ინფორმაცია გამოგზავნა 23 აგვისტოს პარიზში მომხდარ დემონსტრაციის შესახებ. როგორც ვიცით, ამ დღეს საკოსა და ვანცეტის დასაცავად პარიზში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც სისხლისმღვრელ შეტაკებით დამთავრდა მუშებსა და პოლიციას შორის. ამხ. ბრუნმა ეს ჩვენს სააგენტოს გადმოსცა. ეს სრულიად უწყინარი ფაქტი გახდა მიზეზი ბრუნის გაძევებისა საფრანგეთიდან, ხიკის „დაფნის გვირგვინის" მოტრფიალე სარომ თავისი განკარგულება იმით დაასაბუთა, რომ თითქო ბრუნი ტენდენციურად და დამახინჯებულად აშუქებდა დემონსტრაციას. ნამდვილად კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ბრუნმა გადმოსცა ობიექტიურად ის, რაც მოხდა და რაც პარიზის გაზეთებშიც იყო მოთხრობილი.

ნუ თუ ამ გზით ფიქრობს სარო სიმართლის დამალვას? ეტყობა, ცუდადაა საფრანგეთის მმართველ ჯგუფების საქმე, რომ მათ ასე ეშინიათ ბრუნის და მისი ინფორმაციის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამას წინედ დამთავრებულმა პრესის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენციამ უყურადღებოდ დასტოვა ბრუნის გაძევების გამო საბჭოთა სააგენტოს მიერ შეტანილი პროტესტი. სხვა არაფერი იყო მოსალოდნელი „თავისუფალ" ბეჭდვითი სიტყვის ბურჟუაზიულ მოსყიდულ კალმოსნებისაგან, რომელთაც თავის მოვალეობათ მიაჩნიათ მასების მოტყუილება და საბჭოთა კავშირის შესახებ ჭორების გავრცელება.

⁂

მოსკოვში დაბრუნდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში, პატეკი, რომელსაც საუბარი ჰქონდა ამხ. ჩიჩერინთან ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ. ამის გამო გამოქვეყნებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ეს საკითხები „ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი,—საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ინციდენტს ამოწურულად სთვლის. ამ დღეებში განახლებული იქნება მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულებების დასადებად".

საკმაოდ დიდი ხანია, რაც სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთ-საბჭოთა კონფლიქტის გარშემო. პირველ ხანებში, მიუხედავათ პილსუდსკის მთავრობის სიტყვიერი განცხადებებისა, რომ ის თითქო მოსურნეა ამხ. ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. კავერდას გასამართლების კომედია, რომელიც ანტისაბჭოთა დემონსტრაციას წარმოადგენდა, მკვლელისათვის არაჩვეულებრივად რბილ რეჟიმის შექმნა ციხეში, პოლონეთში მოკალათებულ თეთრგვარდიელების წინანდელი მფარველობა, ბოლოს, სამხედრო სამზადისი, რაც ახასიათებდა პოლონეთის მთავრობის მოქმედებას, მოწმობდა, რომ ის სურვილს არ იჩენდა მოეგვარებია გამწვავებული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მაგრამ შემდეგ საგრძნობი გარდატეხა მოხდა პოლონეთის მესვეურთა პოლიტიკაში. პრეზიდენტმა უარი განაცხადა კავერდას შეწყალებაზე, რაზედაც სასამართლოს შუამდგომლობა ჰქონდა აღძრული; ის საკატორღო ციხეში გადაიყვანეს; პატეკისა და ამხ. ჩიჩერინის წინანდელი მოლაპარაკების შედეგად პოლონეთიდან გააძევეს ზოგიერთნი თეთრგვარდიელნი, რომელნიც ყველაზე მეტ აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას ეწეოდნენ. ამგვარად, საბჭოთა მთავრობის მოთხოვნები არსებითად დაკმაყოფილებულ იქნა, რამაც კონფლიქტის ლიკვიდაცია შესაძლებელი გახადა.

ასეა, თუ ისე, კონფლიქტი მოწესრიგებულია, რაც საბჭოთა დიპლომატიის უტყუარ გამარჯვებას ნიშნავს. მაგრამ ეს მხოლოდ საფუძველია, პირველი ნაბიჯია მხარეთა შორის ასე თუ ისე ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისაკენ გადადგმული. ეჭვს გარეშეა, მშვიდობიანობის მტრები ყოველნაირად მოინდომებენ მდგომარეობის კვლავ გართულებას. ამას მოწმობს ის პროვოკაციული თავდასხმა ვარშავის საელჩოზე და უკანასკნელის შიკრიკის დაჭრა, რაც სულ უკანასკნელად მოხდა. პოლონეთის მთავრობამ უნდა აღმოფხვრას ასეთი მოვლენის განმეორების შესაძლებლობა. მხოლოდ მასზეა დამოკიდებული პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულების გაჯანსაღება. თუ ის შეიგნებს თავის აგრესიულ ზრახვების უნიადაგობას, ჩვენთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის აღდგენის სარგებლობას თავის ქვეყნისათვის და გათავისუფლდება მესამე ძალის გავლენისაგან, რომელი ძალა ისევ შეეცდება პოლონეთის დატოვებას თავის ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამტარებლად,—მაშინ უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკურ და ეკონომიურ შეთანხმების მიღწევა. თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობა, მშვიდობიანობას მოწყურებული, რა თქმა უნდა ყოველ ზომებს მიიღებს, რათა პოლონეთთან განაახლოს [illegible] ურთიერთობა, რამდენადაც ამაზე ლაპარაკი ეხლანდელ პირობებში შეიძლება.

⁂

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე სახიფათო ინციდენტი დატრიალდა, რამაც მათ შორის განსაზღვრულ პირობებში ომიც შეიძლება გამოიწვიოს. პოლონეთის ხელისუფლებამ ულტიმატუმი წარუდგინა ლიტვას, რათა 48 საათის განმავლობაში იქნეს დაბრუნებული პოლონელი ჯარის კაცი, რომელიც ვითომც შემთხვევით გადავიდა დემარკაციულ ხაზზე და ლიტვის ხელისუფლებამ დააკავა; დაბრუნებულ უნდა იქნეს აგრეთვე ცხენი და ეტლი, რომელიც ჩამორთმეულ იქნა დემარკაციულ ხაზზე გადასვლის დროს. „თუ ეს მოთხოვნილება არ იქნა შესრულებული აღნიშნულ ვადაზე, პოლონელები შედეგებისათვის პასუხს არ აგებენ"-ო, განაცხადეს პოლონეთის წარმომადგენლებმა.

სრულიად უბრალო შემთხვევა და ასეთი ულტიმატუმი! ეს მოწმობს, რომ პოლონეთი ხელს არ იღებს ლიტვის დაპყრობის ოცნებაზე. როგორც ვიცით, ამ ქვეყნებ შორის დიდი ხანია სწარმოებს დავა ვილნოს საკითხის გარშემო: ლიტვა ვერ ურიგდება ვილნოს ოლქის ოკუპაციას პოლონეთის მიერ, რაც 1920 წ. მოხდა. მას შემდეგ მათ შორის თუმცა ომი არ წარმოებს, მაგრამ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილია.

ამავე დროს ინგლისი ყოველნაირად ცდილობს ამ ქვეყნების „შერიგებას". რათა ამ გზით გაადვილოს პოლონეთის და ბალტიის მხარის სახელმწიფოთა ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა. ამ მიზნით, ლონდონის ინიციატივით ამას წინეთ საიდუმლო კონფერენციაც გაიმართა პოლონეთ-ლიტვას შორის. მაგრამ მათი „შეთანხმება" ნიშნავს პოლონეთის მიერ ლიტვის გადაყლაპვას, რაზედაც უკანასკნელი არ მიდის.

ლიტვის მთავრობამ პოლონეთის ხელისუფლების ნაბიჯის გამო საპროტესტო ნოტით მიმართა მასთან მიყლინებულ უცხოელ წარმომადგენლებს. შეიძლება ეხლა ასე თუ ისე მოაგვარონ საკითხი, მაგრამ ეს ინციდენტი გვიჩვენებს, რომ პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება, პირველის და მისი წამქეზებელ ინგლისის იმპერიალისტურ პოლიტიკის წყალობით, მუდამ ატარებს ხანძრის გაჩაღების საფრთხეს, რომელსაც ცხადია, მარტო ადგილობრივი ხასიათი არ ექნება.

⁂

ლატვიის მთავრობის კოალიციის პარტიების თათბირმა, რომელიც პირველ სექტემბერს გაიმართა, დაადგინა მოკლე ხანში მოიწვიოს სეიმის საგანგებო სესია ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დასამტკიცებლად. ამ ხელშეკრულებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომელნიც ცდილობენ მის გაუქმებას. ესენი არიან ლატვიელი ფაშისტები, რომელნიც ინგლისელ იმპერიალისტებთან არიან დაკავშირებულნი. ხელშეკრულების წინააღმდეგ ილაშქრებენ აგრეთვე სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები, რომელთათვის ის სახიფათო არის.

გარდა ამისა, ინგლისის ძალაუფლება მოქმედობს ესტონეთის საშუალებით. უკანასკნელის მთავრობის პრემიერ მინისტრი აკელი ამას წინედ ეწვია რიგას იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა ლატვია-საბჭოთა დაახლოებისათვის. მან განაცხადა, რომ ხსენებული ხელშეკრულება ხელს შეუშლის ლატვიისათვის მნიშვნელოვან ესტონია-ლატვიის საბაჟო უნიის განხორციელებას. ამავე დროს აკელი გამოდის ერთა ლიგის „დამცველის" როლში: საგარანტიო ხელშეკრულების დადება ლატვია-საბჭოთა კავშირს შორის, რის გარშემო მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს, ღალატი იქნება ერთა ლიგისადმი.

ბოლო დრომდე ფინეთის მთავრობაც კამპანიას აწარმოებდა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ხელშეკრულება იწვევს ესტონეთ-ფინეთ შორის არსებულ სავაჭრო ხელშეკრულების იმ მუხლის უარყოფას, რომელიც ფინეთს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს, ლატვიასთან ვაჭრობის დროს. ხოლო ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების ძალით უპირატესობის მქონე სახელმწიფოდ ითვლება მხოლოდ საბჭოთა კავშირი. ამას გარდა, ფინეთის მთავრობა საერთოდ მტრულ პოლიტიკას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ხელს უშლის მასთან სხვა ქვეყნების დაახლოვებას. მაგრამ უკანასკნელად ფინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის თანახმაა სათანადო ცვლილებები შეიტანოს მის ხელშეკრულებაში ესტონეთთან. ეს თანხმობა იძულებითი ხასიათისაა და გამოწვეულია იმით, რომ ლატვიის მთავრობა დაემუქრა ფინეთს, რომ თუ უკანასკნელი ხსენებულ დათმობაზე არ წავიდოდა, მხარს არ დაუჭერდა მის კანდიდატურას ერთა ლიგაში, ხოლო ფინეთი ცდილობს ლიგის საბჭოში მიიღოს ადგილი, რაც ვერ მოხერხდება, თუ მას ამაში მხარი არ დაუჭირეს ბალტიის სხვა ქვეყნებმა.

ლატვიის მთავრობას, როგორც სჩანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამავე დროს ის სცდილობს ნაბიჯებს გაანთავისუფლოს თავისი ქვეყანა და ბალტიის სხვა ქვეყნები დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოების და პოლონეთის გავლენისაგან. ამ მიზნით ცელენსი ლამობს შეკრას ბალტიის ქვეყნების კავშირი პოლონეთის მონაწილეობის გარეშე. კავშირი, რომელიც არ უნდა იყოს მიმართული საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთი პოლიტიკა, თუ ის მართლა იქნა გატარებული, ლატვიის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის განმტკიცების, მისი აღორძინების და საბჭოთა კავშირთან დაახლოების საწინდარი იქნება.

ბ. კ—ლი.

მშრომელი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მსოფლიო ახალგაზრდობა თავის მე-13 საერთაშორისო დღესთან ერთად უქმობს რევოლიუციონურ ახალგაზრდათა შტუტგარტის კონფერენციის 20 წლის

თავს. საქ. ახ. ლ. კ. კ. შეუსრულდა სახელოვან არსებობის ათი წელი.

ათი წელი

შესრულდა 10 წელი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის სახელო არსებობიდან. დიდი ოქტომბრის რევოლიუციის წინა ხანებში წარმოიშვა ჩვენში, საქართველოში, ის ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს შემცვლელებს დიდი ოქტომბრის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიისათვის.

ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ოქტომბერი, რომელიც მსოფლიო რევოლიუციის წინამორბედია, მოითხოვდა ისეთ ფაქტორების შექმნას, რომელთაც შეეძლოთ ეტვირთად არა მხოლოდ დახმარების გაწევა სოციალიზმის მშენებლობაში, არამედ აგრეთვე მებრძოლთა ახალი რიგების მომზადება მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საქართველოს ახ. კომკავშირმა მენშევიკების დროს გაიარა ფარული, არალეგალური მუშაობის რევოლიუციონური სკოლა; ამ 10 წლის განმავლობაში ის იღებდა მონაწილეობას სამოქალაქო ომის ფრონტებზე და სოციალური აღმშენებლობის სხვადასხვა დარგებში და ბევრი მსხვერპლიც გაიღო. მაგრამ ის კი არ სუსტდებოდა. პირიქით, თანდათან იზრდებოდა და მძლავრდებოდა. ბოლოს, როდესაც საბჭოთა ქვეყნებს მიეცა საშუალება ცოტათი შეესვენათ, როდესაც ჩვენი დიდი კავშირის მშრომელნი ცოტად თუ ბევრად დამშვიდებულნი შეუდგენ მშვიდობიან შრომას და აღმშენებლობას,—ახ. კომკავშირელნი სწავლას დაეწაფენ. მათ კარგად ახსოვდათ და წმინდათ ინახავდენ ლენინის ანდერძს: სწავლა, სწავლა და სწავლა—რადგან ჩამორჩენილ, მცირეკულტურიან ქვეყანას პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში სჭირდება თავისი წითელი სპეცები აღმშენებლობის ყველა დარგში.

როდესაც სხვადასხვა ტიპისა და სახის სკოლებში გზავნიდა თავისი წევრების ახალ-ახალ რაზმებს, ახ. კომკავშირმა გარკვევით განუცხადა კომუნისტურ პარტიას, რომ მათი კავშირი მუშათა კლასის ნაწილია და როდესაც საჭირო იქნება, ახ. კომკავშირელები თავს დასდებენ მუშათა კლასის დროშის ქვეშ, მუშათა კლასის რიგებში.

კომკავშირმა სისხლით შეუერთა თავისი ბედი წითელი არმიის ბედს. მაშინ. როდესაც ა. ლ. კ. კავშირი მხურვალედ დაეწაფა სწავლას,—მან თავის თავზე აიღო მთელი წითელი სამხედრო-საზღვაო ფრონტის შეფობა.

კომკავშირი ყოველგვარ ძალღონეს ხმარობს, რომ წინ გასწიოს ჩვენი ჩამორჩენილი კულტურა და ტეხნიკა. მაგრამ ამავე დროს კომკავშირი მთელი თავისი მოქმედებით, მთელი თავისი არსებით გვეუბნება, რომ ძალიან კარგად ესმის ყველაფერი და იცის, რომ ჯერ კიდევ ბევრი სასტიკი ბრძოლის გადახდა შეგვხვდება, იცის, რომ ის ებრძვის ბარბაროსობას, ებრძვის ჩამორჩენილობას—ებრძვის წიგნით, მაგრამ ამავე დროს ის უფრო და უფრო კარგად სწავლობს, თუ როგორ მოიხმაროს ვინტოვკა, ტყვიისმფრქვეველი, ქიმია და სხვა.

შეუძლებელი იყო, რომ იმ თაობას, რომელიც ოქტომბერმა გამოაფხიზლა, რომელსაც შეგნებული ცხოვრება და ბრძოლა დააწყებინა, არ მოეხდინა თავის წევრთა მობილიზაცია, ვინაიდან ასე იყო საჭირო ლენინის პარტიისათვის, ოქტომბრის პარტიისთვის.

ჩვენს პარტიას არ შეუძლია იმის დავიწყება, რომ 10 წლის განმავლობაში კომკავშირი ყოველთვის მწყობრათ და საჩქაროდ დაირაზმებოდა და ანხორციელებდა პარტიის დირექტივებს, ცხოვრებაში ატარებდა პარტიის ახალ-ახალ ამოცანებს.

თუ რევოლიუციამდე ახალგაზრდობას სჭირდებოდა შექმნა ორგანიზაციების, მოწყობა გაფიცვების, წრეების, ფარული სტამბების და სხვა—ჩვენი რევოლიუციის ახალგაზრდობისათვის საჭიროა ენტუზიაზმით დაეწაფონ აგრონომიას, ელექტრო-ტეხნიკას, მექანიკას და სხვა, ვინაიდან სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭიროა ღრმა ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილნი ძლიერი რაზმები.

ბ. ძნელაძე

საქართვ. კომკავშირის ცეკას მდივანი 1921 წ.—1922 წ. ივლისამდე.

ვ. დარახველიძე

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი 1924 წ.—1926 წ. მარტამდე.

მთელს ჩვენს ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში ჩვენ, ამ ეპოქის მუშაკებმა, უნდა ჩავაქსოვოთ მთელი ჩვენი სული და გული, უნდა ვიმუშავოთ ისე, რომ ჩვენმა მუშაობამ უდიდესი ნაყოფი გამოიღოს, ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენ სერიოზული პოლიტეხნიკური საფუძველი, პოლიტეხნიკური ცოდნა გვქონდეს, ეს კი გვავალებს: **ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ.**

კ. ლიბკნეხტი

ახალ. შტუტგარტის კონფერენციის ხელმძღვანელი.

ჩვენი ახალგაზრდობის ტეხნიკური სწავლება მხოლოდ სპეციალიზაციაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, —ახალგაზრდობა უნდა მოემზადოს ისე, რომ შეეძლოს მონაწილეობის მიღება გეგმიან აღმშენებლობაში, სოციალისტურ ხუროთმოძღვრებაში. სპეციალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტეხნიკურ საფუძველზე,— აი ჩვენი დროის საჭიროება, ჩვენი პარტიის პროგრამის მოთხოვნა.

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობა

ქვედა რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ულენტი, მ. გელაძე, ს. არუთინოვი, მ. აზარაშვილი; მეორე რიგი: ტ. ნესტოროვი, ს. პანკვეტაძე; ზედა რიგი: ს. პერვუშინი, გ. ჯავახიძე, მ. გობეჩია, სილაძე და ბუჯიაშვილი.

შეუძლებელია თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ლენინის ფორმულა: სოციალიზმი—ეს არის საბჭოთა ხელისუფლება+ელექტროფიკაცია. ეს ფორმულა კი მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ ყველაფერი—როგორც **მკვდარი ინვენტარი, ისე ცოცხალი ძალები შევამზადოთ მეცნიერულ საფუძველზე აგებული დიდი ტეხნიკისათვის.**

ჩვენ კავშირს ამ 10 წლის განმავლობაში ახასიათებს არა მარტო ის, რომ კომკავშირელნი მზად არიან თავის დროზე და თავის ადგილზე მოჰკიდონ ხელი წიგნს, ჩაქუჩს, თოხსა და ვინტოვკას, არამედ ისიც, რომ კომკავშირი ამის გარდა დიდ მუშაობას აწარმოებს ოქტომბრის ახალგაზრდა თაობათა კომუნისტური განათლებისა და აღზრდის დარგში. 10 წელია, რაც არსებობს ახ. კომკავშირი და ამ ხნის განმავლობაში ის იბრძოდა კომუნისტური განათლების ფრონტზე. იბრძოდა მუშურ - გლეხური ახალგაზრდობის განათლების ისეთი ფორმების შესაქმნელად, რომელიც უფრო მისაღები, უფრო გამოსადეგი იყო ჩვენი ეპოქის რევოლიუციონური ახალგაზრდობისათვის, რომელიც იყო საჭირო ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის სხვადასხვა დარგისათვის აშენებულთა და მებრძოლთა აღსაზრდელათ. შეუძლებელია, რომ ჩვენ, სოციალისტური კულტურის მუშაკებმა, განსაკუთრებული სიამაყით და მადლობით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სწორედ ჩვენი კომკავშირელები იყვენ საუკეთესო თანაშემწენი და ხშირად კი ინიციატორებიც მუშურ-გლეხურ განათლების საუკეთესო ტიპების შექმნის საქმეში, ორმაგად მართალია ამხ. ბუხარინი, როდესაც ამბობს, რომ განსახკომისარიატის საქმე ნახევრად კომკავშირული საქმეა, ვინაიდან კომკავშირელები ჩვენ ყველა ტიპის სკოლებში შერგავენ თავს და თავისი საქმიანობით, გულდასმით თვალყურის დევნებით ყველგან ამყარებენ კომუნისტურ წესებს.

საუკეთესო სკოლები, როგორიცაა, მაგალითად, საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები და დაბალი პროფტეხნიკური სკოლები—ყველა ესენი მხოლოდ საყვარელ სკოლებს კი არ წარმოადგენს კომკავშირელთათვის, ეს სკოლები, უმთავრესად, კომკავშირის ნაყოფია, მისი შვილებია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ სკოლის აღმშენებლობის დარგშიც კომკავშირი მომხიბლავი ლოზუნგების წამოსროლას კი არ აწარმოებდა, ის განათლების ორგანოებთან ერთად და, რა დასამალავია, ხშირად მის წინააღმდეგაც ჰქმნიდა ამ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამების დამუშავებაშიც, სახელმძღვანელოების შექმნაშიც და, ბოლოს, ახალი სოციალისტური სკოლის აღმშენებლობაში ჩასაბმელად ასობით იძლეოდა მუშაკებს თავისი სახელოვანი მებრძოლი რიგებიდან.

გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა არის არა მხოლოდ ახალი გზა ახალი სოფლისა, არამედ საუკეთესო ფორმაც იმისთვის, რომ სოფლის უღატაკესი ახალგაზრდობა დაირაზმოს კომკავშირისა და პარტიის ირგვლივ.

საქარხნო-საფაბრიკო სკოლა არის არა მხოლოდ საუკეთესო ფორმა თეორიის და პრაქტიკის შეთანხმებისა, არა მხო-



გ. დევდარიანი

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი 1922—1924 წ. ივნისამდე.

მ. გობეჩია

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. ეხლანდელი მდივანი.

ლოდ საუკეთესო გზა, საუკეთესო საშუალება კვალიფიციური სამუშაო ძალის მისაღებად ახალგაზრდობისაგან ჩვენი სოციალისტური მეურნეობისათვის, არამედ ის არის საუკეთესო ფორმაც იმისათვის, რომ კომკავშირისა და კომპარტიის ირგვლივ დაირაზმონ მოზარდი მუშები. მე მგონია, რომ ჩვენ სიამოვნებით შევძახებთ მთელ პროლეტარულ მსოფლიოს: „გაუმარჯოს სახელოვან ლენინურ კომკავშირს!!“

კომკავშირის ისტორია იწერება, ის ყოველმხრივ იქნება გაშუქებული და ვფიქრობ, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიის გვერდით საპატიო რევოლიუციონურ ადგილს დაიჭერს კომკავშირის ისტორია. მაგრამ ისტორიამდე კი საჭიროა, რომ კომკავშირი იზრდებოდეს და მძლავრდებოდეს პროლეტარული რევოლიუციის სასახელოდ და მისი მტრების გულის შესაზარად. ციფრები გვეუბნება, რომ ეს ამოცანაც სრულდება, კომკავშირელთა რიცხვი იზრდება: 1922 წ. იყო 8.958 კაცი, ეხლა არის 70.000. ეს საკითხებიც მშვენივრად გადაჭრა კომკავშირმა. ის იზრდება და მტკიცდება რიცხვობრივ და თვისობრივ, მის რიგებს შეავსებენ თანდათან საუკეთესო ძალები, ვინაიდან კომკავშირმა ენერგიულად თავის დროზე მოჰკიდა ხელი მესამე თაობის, თავისი შემცვლელების, ე. ი. პიონერების კომუნისტური აღზრდის და ბრძოლისათვის მომზადების ორგანიზაციას.

ბავშვთა დიადი კომუნისტური მოძრაობა, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოს [illegible], კომკავშირის ხელმძღვანელობით წარმოიშვა ოქტომბრის ქვეყანაში. საქართველოში ამ 10 წლის განმავლობაში კომკავშირმა შესძლო მუშათა და გლეხთა 75.000 ბავშვის დარაზმვა და ამზადებს მათ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი გამოვიდენ კარგი აღმშენებლები სოციალიზმის პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, არამედ იმისათვისაც, რომ ისინი გახდენ საუკეთესო მებრძოლნი საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

ჩვენ, კომუნისტურ განათლების მუშაკებს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, ის სასიხარულო ფაქტიც, რომ პიონერთა კოლექტივები ამავე დროს არიან სკოლის მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ფაქტორები—მათი არსებობა სკოლებში უკვე ახდენს გავლენას და მუშაობაც იქ სათანადო მიმართულებით მიმდინარეობს.

საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელოვანი 10 წლის იუბილეს გამო ჩვენ გულითად სალამს ვუძღვნით საამაყო კომკავშირს და ვუსურვებთ მას, შეინარჩუნოს რევოლიუციის აღგზნება, მზად იყოს ბრძოლისათვის, მედგრად ეჭიროს რევოლიუციონური პროლეტარიატის წითელი დროშა და ხელი მოჰკიდოს იარაღს, როდესაც ეს საჭირო იქნება საერთაშორისო რევოლიუციისათვის; როგორც აქამდე, მომავალშიც დაეხმაროს იმ ორგანოებს, რომელთაც ჩვენმა პარტიამ დაავალა სოციალისტური კულტურის შექმნა, განაგრძოს მუშაობა ისევე მედგრად, ისეთივე ენტუზიაზმით, ისევე მოხდენილად, როგორც დღემდე, და თავისი მაგალითით ამგვარადვე სამუშაოდ აღატკინოს ყველა ისინი, ვინც კი მუშაობს ამ დარგში.

დეე, იზარდოს და განმტკიცდეს ლენინური კომკავშირი!!

დეე, მან სასიცოცხლო ძალებით ჰკვებოს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია!!

მარიამ ორახელაშვილი.

ა.-ქ. მშრომელ ახალგაზრდობ

საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ამი.-კავკასიის საოლქო კომიტეტი მხურვალედ მიესალმება ამიერ - კავკასიის მშრომელ ახალგაზრდობას და მის ავანგარდს — ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს ყველა ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობის სოლიდარობის დღეს —ახალგაზრდობის მე-13 საერთაშორისო დღეს. განსაკუთრებით მხურვალედ ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტი მიესალმება საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარებს და პროლეტარ ქალებს, გლეხებს და გლეხ - ქალებს, სადაც ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაული უერთდება საქართველოს ახალგაზრდობის სახელოვან ლენინურ კომუნისტურ კავშირის ორგანიზაციის 10 წლის თავს.

ძვირფასო ამხანაგებო!

განუზომლად დიდია და იმდენადვე საპატიო ის ამოცანები, რომლებიც თქვენ დაგაკისრა ისტორიამ. საერთაშორისო ბურჟუაზია ამზადებს ახალ გამოლაშქრებას მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ,

ამიერ - კავკასიის ახალგაზრდა მშრომელნო და მშრომელო ქალებო! განამტკიცეთ კავშირი უცხოეთის [illegible] და დებთან. დაეხმარეთ მათ თქვენი თანაგრძნობით და ხელშეწყობით და პირველ რიგში — საბჭოთა კავშირის (მსოფლიოს მშრომელთა ამ ციხე - სიმაგრის [illegible] და სამეურნეო ძლიერების განმტკიცებით.

მზად იყავით დაიცვათ ოქტომბრის მონ ვარნი, ვინაიდან ისინი გვეკუთვნიან არა მა ჩვენ, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელთაც ნამტკიცეთ ამიერ - კავკასიის მშრომელთა რი კავშირი ურთიერთ შორის და მთელ საბ თა კავშირის მშრომელებთან, ვინაიდან ლოდ ჩვენს ძმურ კავშირშია ხაწინდარი ჩ ერთიანობისა, ჩვენი გამარჯვებ არ შეუშვათ თქვენს რიგ მოღალატეები და გამცემლები, — მენშევ ბის, დაშნაკელების და მუსავატების გამყ ლი პარტიების მოსყიდული აგენტები. უფ შეამჭიდროვეთ რიგები ახალგაზრდობის საკა შირო ლენინურ კომუნისტურ კავშირის და საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) გარშემ და მხოლოდ ამ პარტიის ცენტრალურ კომიტ ტის გამოცდილი ხელმძღვანელობით უზრუნ ველყოფილი იქნება სამედო გზა თქვენი გამარჯ ბისათვის.

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ახალგაზრ მშრომელთ!

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდა მშ მელთ!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის საერთაშორ დღეს!

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ - კავკასიის სა ოლ. კომიტეტი.

კომუნიზმისათვის მებრძოლ ახალ თაობას

10 წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კომკავშირს. პირველი ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კომკავშირთა ორგანიზაციებს მუშაობა უხდებოდა მენშევიკური ბატონობის ხანაში, „დემოკრატიულ“ ტერორის და რეპრესიების პირობებში. მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა, ეკონომიური მდგომარეობის არაჩვეულებრივი გართულებისა და მშრომელთა მდგომარეობის საშინელ გაუარესებისა, როდესაც მენშევიკების „დემოკრატიული“ მთავრობა უახლოვდებოდა აუცილებელ კატასტროფას, საქართველოს კომკავშირმა შესძლო თავისი ორგანიზაციების შენახვა და შემოიკრიბა თავის ირგვლივ პროლეტარული რევოლიუციისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა ასეულები, რომლებიც წარმოადგენდენ საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს.

საქართველოს კომკავშირმა მჭიდრო კავშირი გააბა ამიერ-კავკასიის კომკავშირთა ორგანიზაციებთან და ამით ნიადაგი მოუმზადა ამიერ-კავკასიის კომკავშირთა ორგანიზაციების სოლიდარულ შემოქმედებითი მუშაობას. საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ბრძოლაში კომკავშირი წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის ძლიერ და სამედო თანამებრძოლს, ის მხნე და მტკიცე წინააღმდეგობას უწევდა მენშევიკურ ტერორს.

კიდევ უფრო რთული და მძიმე ამოცანების შესრულება ხვდა წილად კომკავშირს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ბრძოლა მენშევიკების ბატონობის დროს განადგურების უკანასკნელ წერტილამდე მისულ სახალხო მეურნეობის აღსადგენათ, ბრძოლა ქვეყნის კულტურული აყვავებისათვის და მშრომელთა ეკონომიური კეთილდღეობისათვის მოითხოვდა კომკავშირის ორგანიზაციებისაგან კოლოსალურ ენერგიას და განსაკუთრებულ მუყაითობას. ამასთან ერთად კომკავშირს დიდი მუშაობის წარმოება დასჭირდა შავბნელ წარსულის ნაშთების გასანადგურებლად და შოვინისტურ - მენშევიკურ იდეოლოგიის დასაძლევად. ამიტომ კომკავშირს დიდი ენერგია დასჭირდა ახალგაზრდობის დასაპყრობად მის განთავისუფლებლად.

არა კომუნისტურ, ანტისაბჭოთა იდეების გავლენისაგან, და „ახალგაზრდა მარქსისტების“ დასაძლევად, კომკავშირელების კულტურულ-პოლიტიკური დონის ასაწევად, კომკავშირის შიგნით ოპოზიციონურ გავლენასთან საბრძოლველად და ლენინური იდეური გავლენის გასაძლიერებლად. ყველაფერი ეს-კი იმის მაჩვენებელია, რა ენერგიით და თავდადებით მუშაობ საქართველოს კომკავშირთა ორგანიზაციები.

საქართველოს კომკავშირის ათი წლის ისტ ია წარმოადგენს მისი მომავალი განვითარ მაჩვენებელს და იძლევა იმის [illegible] ტიას, რომ მომავალშიაც მტკიცედ [illegible] დაიცავს ლენინურ პოზიციებს და [illegible] ტიის სამედო თანამებრძოლი [illegible] დიადი მშენებლობის საქმეში. ეს განსაკ საგულისხმოა დღეს საქართველოს კომკავ 10 წლის და ახალგაზრდობის საერ დღის 13 წლის თავზე, როდესაც [illegible] პერიალიზმი კვლავ ამზადებს [illegible] ომის და თავდასხმას მსოფლიო [illegible] სიმაგრეზე — შრომის პირველ [illegible] საბჭოთა კავშირზე.

საქართველოს კომ. პ. (ბ) ცეკა [illegible] რწმენას, რომ საქართველოს კომკა [illegible] ლოს რევოლიუციონურ ახალგა [illegible] ერთად თავდადებით დაიცავს საბჭ [illegible]

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირის [illegible] წლის არსებობას!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის საერ [illegible] დღეს!

საქართველოს კომ. პარ [illegible]

ცენტრალური კომიტ

სალამი მედგარ ახალგაზრდა ლენინელებს

ლენინელთა სახელოვან მებრძოლ რაზმს—საქართველოს კომკავშირს მისი არსებობის 10 წლის თავზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი უძღვნის მხურვალე სალამს!

საქართველოს კომკავშირმა ამიერ-კავკასიის მთელ რევოლიუციონურ ახალგაზრდობასთან ერთად გაიარა მშრომელი ახალგაზრდობის თავისუფლებისა, ბრძოლისა და ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა მშრომელ მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა.

მძიმე არალეგალურ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირმა გამობრძმედა თავისი რიგები და კომპარტიასა და პროლეტარიატთან ერთად გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე. ამჟამად საქართველოს კომკავშირი წარმატებით მუშაობას აწარმოებს სოციალისტური მშენებლობასა და ახალგაზრდობის ლენინურად აღზრდის დარგში.

დეე, ნუ განშორდება მას ლენინური სული შემდგომ მუშაობაშიც ჩვენი მეურნეობის განსამტკიცებლად და საბჭოთა კავშირის [illegible] ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს [illegible] უნარის გასაძლიერებლად.

კომკავშირელებო! გახსოვდეთ და [illegible] წყებთ მომავალი ბრძოლების შეს [illegible] ლი მსოფლიო რევოლიუციის შეს [illegible]

განამტკიცეთ კავშირი წითელ [illegible] წითელ ფლოტთან!

შეისწავლეთ სამხედრო ხელოვნება [illegible] მტერთან შესახვედრად!

გაუმარჯოს საქართველოს [illegible] ვშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო პრო [illegible] ლიუციას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას, კუ [illegible] გშირო ა. ლ. კ. კ. ლენინურ მთლია [illegible]

საქართველოს კ. პ. (ბ) [illegible]

ლისის კომ

ბრძოლისა და გამარჯვების 10 წ

საქართველოს ახალგაზრდათა ლენ. კომკავშირის ყველ რებს და მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას

დღეს სრულდება საქართველოს კომკავშირის არსებობის ათი წლის თავი. 1917 წელს, 3 სექტემბერს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ახალგაზრდა მუშა და გლეხთა იმ სახელოვან ორგანიზაციას, რომელიც დღეს უქმობს თავის პირველი ათი წლის თავს.

ეს ათი წელი იყო მენშევიზმთან ბრძოლის პერიოდი, როგორც გასაბჭოებამდე, ისე გასაბჭოების შემდეგ, ეს იყო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დაშლის, ყველა ეროვნების მშრომელ ახალგაზრდობასთან ნამდვილი ინტერნაციონალური კავშირის დამყარების პერიოდი, ეს იყო პერიოდი, როცა მტკიცე მუშაობა სწარმოებდა კომკავშირში შემოსული ახალგაზრდობის კადრების ლენინური პრინციპების მიხედვით აღზრდისათვის.

საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, ამიერ-კავკასიის მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის სახელით პირველი ათი წლის თავზე მხურვალე ახალგაზრდულ სალამს უძღვნის და ულოცავს საქართველოს ყველა კომკავშირელებს და მთელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას.

დე, თქვენი ბრძოლის და მუშაობის სახელოვანი ტრადიციები მეორე 10 წლ. განმავლობაშიაც გახდეს გზის მაჩვენებლად მშრომელი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კადრების მომზადების საქმეში. ნაციონალიზმი საერთო და კერძოთ ამიერ-კავკასიაში იყო და არის ჩვენი პარტიის და ჩვენი [illegible] უბოროტესი და შეურიგებელი [illegible]

საქართველოს ლენინური კო [illegible] პირველ რიგებში იყო აგრეთვ [illegible] ლიღ ნაციონალიზმთან ბრძო [illegible] იბრძოდა და იბრძოლებს ახა [illegible] ბის ინტერნაციონალური აღ [illegible] ვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ [illegible] ქართველოს ლენინური კომკავშირი ყოველთვის მზად იქნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

ვუსურვებთ საქართველოს კომკავშირს კიდევ მეტ წარმატებებს თავისი არსებობის მეორე ათ წელში.

პარტიის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის და საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწიეთ წინ პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისაკენ მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს საქართველოს ახალგ. ლენ. კომკავშირის ათი წლის თავს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის და საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის შეურყეველ მთლიანობას!

გაუმარჯოს კომკავშირის ხელმძღვანელს და ბელადს—საკავშირო კომპარტიას (ბ)!

საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი რახმანოვი.

კომკავშირის საზეიმო სხდომა

გუშინ, საღამოს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და თბ. კომიტეტის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო კომკავშირის და პიონერორგანიზაციის აქტივი.

კრებას მიესალმა ძველი, არალეგალურათ მომუშავე კომკავშირელი ამხ. გაიოზ დევდარიანი, რომელიც მოკლეთ შეეხო საქ. ა. ლ. კ. კ. არსებობის ისტორიას ამ ათი წლის განმავლობაში.

კრების თავმჯდომარე ამხ. გობეჩიამ წაიკითხა საკ. კომ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის მისალმება ა.-კ. მშრომელ ახალგაზრდობისადმი.

საქ. კომპ. ცეკას სახელით კრებას მიესალმა ამხ. მ. კახიანი, რომელმაც თავის სიტყვის დასასრულს კრებას გადასცა დროშა და იმედი გამოსთქვა, რომ საქ. კომკავშირი მაღლა ატარებს ამ დროშას, სანამ არ დაემხობა კაპიტალიზმი.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. გობეჩია, რომელმაც ჩაიბარა დროშა და სთქვა: „საქ. კომკავშირი, როგორც წინათ, ისე მომავალშიც ხელიდან არ გაუშვებს ამ დროშას. საქ. კომკავშირი ყოველთვის იდგომება თავის მოწოდების სიმაღლეზე“.

კრებამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები საკ. კომპ. (ბ) ცეკას, კომ. ახალგაზრდობის ინტერნაციონალს, საკ. კომპ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს, საქ. კომპ. ცეკას, ამხ. ს. ორჯონიკიძეს და მიქოიანს.

კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. რახმანოვი გადასცემს კრებას დროშას, რომელსაც ღებულობს ამხ. ჯავახიძე. ქალაქის საბჭოს სახელით კრებას ესალმება სანდრო ფარნიევი, სომხეთის კომკავშირის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. მარტიროსიანი. კრებას ესალმება კიდევ რამდენიმე ორატორი. პოეტ ალ. მაშაშვილმა წაიკითხა ლექსი: „კომკავშირელის მარში“.

დასასრულ კრება მიესალმა ჯარში [illegible] გასაწვევ კომკავშირელებს.

თბილისი გუშინ

თბილისი გუშინ საღამოდანვე შეუდგა ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულის აღნიშვნას, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო არა მარტო კომკავშირის, არამედ პარტიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებმა და საბჭოთა დაწესებულებებმა. მრავალი სახლების ფასადი გაჩირაღდნებული იყო სხვადასხვა ფერის ელექტრონის სანათურებით. განსაკუთრებით იპყრობდა ყურადღებას თბილისის საბჭოს შენობა და საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკა [illegible] საღამოს დღესასწაულის აღსანიშნავად [illegible] დგა საზეიმო კრებები.

როგორ ჩაისახა და განვითარდა ახ. კომ. ინტერნაციონალი

ახალგაზრდა მუშათა პროლეტარული ინტერნაციონალის მოძრაობა იყოფა სამ ხანათ.

პირველი ხანა—არის ხანა ახალგაზრდათა სოციალისტურ ინტერნაციონალის დაარსების ხანა. ეს იყო ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესზე შტუტგარტში—1907 წელს.

მეორე ხანა იწყება 1915 წელში ბერნის კონფერენციიდან, რომელმაც აღადგინა ომის გამო დარღვეული ინტერნაციონალი.

მესამე ხანა იწყება ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის დამაარსებელ კონგრესით, რომელმაც თავი მოიყარა 23 ნოემბერს 1919 წ. ბერლინში.

ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების ინტერნაციონალის პირველ კონფერენციას ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც ჩაიშალა ცდები ახალგაზრდათა სოციალისტურ ორგანიზაციების კონტაქტის აღდგენისა. თუ შტუტგარდტის კონფერენციამ მოიყარა თავი, ეს მხოლოდ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის ბელადის კარლ ლიბკნეხტის წყალობით მოხდა. ის დაუღალავად მუშაობდა ახალგაზრდათა სოციალისტურ ინტერნაციონალის დაარსებისათვის. 1907 წ. მარტის დასაწყისში თავი მოიყარა დროებითმა ბიურომ, რომელშიც შედიოდა: კარლ ლიბკნეხტი, ლიუდვიგ ფრანკი (გერმანია) და ტემანი (ბელგია), ბიურომ კავშირი დაიჭირა ახალგაზრდათა ყველა სოციალისტურ ორგანიზაციებთან. მისი წინადადება, რათა მოწვეულ ყოფილიყო ახალგაზრდათა სოციალისტების ინტერნაციონალური კონგრესი მიღებულ იქნა ალფრთოვანებით. ამრიგად 1907 წ. 23—24 აგვისტოს შესდგა ახალგაზრდა სოციალისტთა პირველი კონფერენცია შტუტგარტში, რომელზედაც 20 დელეგატი წარმოადგენდა 13 ქვეყანას.

კარლ ლიბკნეხტი კონფერენციის თავმჯდომარე

კონფერენციის უდიდესი მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მან დაარსა ახალგაზრდა პროლეტართა მოძრაობის პირველი გაერთიანებული მოქმედების გეგმა. გარდა დირექტივებისა, აღზრდის მუშაობისა და ახალგაზრდათა ეკონომიურ დახმარებისა კონფერენციამ მიიღო დირექტივები ანტიმილიტარისტულ მუშაობის შესახებ. კარლ ლიბკნეხტი იყო უმთავრესი მომხსენებელი მილიტარიზმის შესახებ. ეს მოხსენება, რომელიც მან განიმეორა ახალგაზრდათა ყრილობაზე შტუტგარტში გერმანიის ბურჟუაზიისათვის საკმაო საბაბი იყო, რომ გადაეწყვიტად მისთვის 1 ნახევ. წ. ციხე. მართალია ინტერნაციონალის მოქმედება, რომელიც შესდგებოდა კარლ ლიბკნეხტიდან და მანიდან, როლანდ ჰოლსტიდან და მიულერიდან კმაყოფილდებოდა იმით, რომ კავშირს აბამდა ორგანიზაციების შორის, მაგრამ ახალგაზრდათა ფედერაციებმა დიდი წარმატება გამოიჩინეს ყველა ქვეყნებში ინტერნაციონალის მაგალითის მიხედვით.

ბერნის კონფერენცია

მეორე ხანა ახალგაზრდა პროლეტარულ მოძრაობისა იწყება მას შემდეგ, რაც მე-2 ინტერნაციონალის პარტიებმა დაივიწყეს ინტერნაციონალურ სოლიდარობის პროტესტები, როდესაც პატრიოტული სიმთვრალით გატაცებულებმა უარჰყვეს კლასიური პოლიტიკა. მხოლოდ რამდენიმე სოციალისტმა გაუწია წინააღმდეგობა ომიანობის საშინელებას და ნაციონალისტურ ქარცეცხლს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდათა მოძრაობა მეტად გაბედული იყო. ინტერნაციონალური ურთიერთობა დაუყოვნებლივ იქნა განახლებული. ახალგაზრდობის რევოლიუციონური ელემენტები შეუდგნენ მუშაობას და 1915 წ. აპრილში ყველა ქვეყნის წარმომადგენლებმა, პირველად ომის შემდეგ, თავი მოიყარეს ახალ ინტერნაციონალში—ახალგაზრდა კომუნისტურ ორგანიზაციებს.

ბერნის კონფერენცია არის ნაბიჯი არა მარტო ახალგაზრდათა მოძრაობაში, არამედ მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში საერთოდ. ლენინი, ზინოვიევი, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი, კლარა ცეტკინი და რადეკი მხარს უჭერდენ ახალგაზრდობას და აქტიურად ეხმარებოდენ მათ. ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა ხელთ იგდო პროლეტარიატის ავანგარდის როლი პოლიტიკურ ბრძოლაში. ეს გარემოება იცვლება, თებერვლის რევოლიუციისა და კომუნისტურ ინტერნაციონალის დაარსების შემდეგ.

პირველი საორგანიზაციო კრება

იმ დროს, როდესაც უმძიმესი უთანხმოებანი ტაქტიკის საკითხში ერთმანეთს აშორებდენ სოციალისტურ პარტიებს, რომელსაც გერმანიის და სხვა ქვეყნების ქუჩებში იშლებოდა ბრძოლა, ბერლინში 1919 წლის 20—23 ნოემბრამდე მიმდინარეობდა სოციალისტურ და კომუნისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციების სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების კონფერენცია. ის მოწვეული იყო ახალგაზრდობის ინტერნაციონალის სამდივნოს მიერ, რომელიც დაარსებულ იქნა ციურიხში ბერნის კონფერენციაზე.

კონფერენციამ მიიღო ინტერნაციონალური პროგრამა და დებულებანი და ამრიგად დაიწყო პროლეტარულ ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილების დარაზმვა გარკვეულ კომუნისტურ პროგრამის გარშემო. პროგრამის პროექტის ავტორი იყო ამხ. ბუხარინი.

როგორ იზრდებოდა ახ. კომ. ინტერნაციონალი

მე-2 საერთაშორისო კონგრესმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვში 1921 წლის აგვისტოში თავი მოუყარა 150 დელეგატს, რომლებიც წარმოადგენდენ 40 ქვეყანას და დაახლოებით 500—600 ათასამდე ახალგაზრდა მუშას. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი იყო ნამდვილად საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სავსებით ჩაება ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის და ბურჟუაზიის დევნის წინააღმდეგ. ჩვენ გვყავდა კომუნისტურ ინტერნაციონალის ფედერაციები, რომლებიც აერთიანებდნენ რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდა მუშების მოწინავე ნაწილს, მაგრამ არ გვყავდა ახალგაზრდა მილიონები ქალაქებში და სოფლებში.

მე-2 კონგრესმა აღნიშნა კომუნისტურ ინტერნაციონალის ფედერაციების როლი და მათი დამოკიდებულება კომუნისტურ პარტიებთან. პოლიტიკური ხელმძღვანელობა, იმ დღეს აქეთ უნდა ყოფილიყო კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელში ინტერნაციონალური მასშტაბით და კომპარტიების ხელში ნაციონალურ ფარგლებში.

მე-2 და მე-4 კონგრესები აღარ შეეხენ ახალგაზრდობის მოძრაობის პრინციპიალურ განხილვას. ისინი ეძებდნენ მეთოდებს და ფორმებს, თუ როგორ მოეხვეჭათ მუშა და გლეხი ახალგაზრდობა.

ამჟამად ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი აერთიანებს 41 ფედერაციას, რომლებშიაც 21 ლეგალურია, 3 ნახევრად ლეგალური და 17 კი არალეგალური, წევრები საერთო რიცხვი 2.550.000 კაცს უდრის. ამ რიცხვს უნდა დაემატოს ნაციონალურ-რევოლიუციონური ორგანიზაციები იაპონიისა, კორეისა, ინდოეთისა, ტანატუვისა, რომლებიც თანაგრძნობით გვიყურებენ ჩვენ. ზოგიერთ მათგანმა აღძრა შუამდგომლობა მათი ინტერნაციონალში მიღების შესახებ.

ახალგაზრდათა სოციალ-მოღალატეების ინტერნაციონალი

20 წლის თავის გამო დღიდან ახალგაზრდათა ინტერნაციონალის კონფერენციისა 1907 წ. შტუტგარტში, ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალი იჩემებს ახალგაზრდათა პირველი ინტერნაციონალის მემკვიდრეობას. ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, რომლებიც ბედავენ ამგვარ პრეტენზიების გაცხადებას სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ახალგაზრდა მუშებს არ მოსწრებიათ, ან მათ დაავიწყდათ სოციალ-მოღალატეთა ამ ღირსეულ მემკვიდრეების მოქმედებანი, ომის დროს გერმანიის პროლეტარული ახალგაზრდობა გულადათ იბრძოდა ომის წინააღმდეგ და შეურიგდა შტუტგარტის გადაწყვეტილებებს.

ამ საცოდავმა გმირებმა, რომლებიც ჩამოშორდნენ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ მოძრაობას 1919 წ. დაარსდა ახალგაზრდობის ახალი ინტერნაციონალი, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციის წინააღმდეგ რევოლიუციის სახელითვე მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციას.

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად-ერთი მემკვიდრე პროლეტარულ ინტერნაციონალურ ახალგაზრდობის მოძრაობისა. და მას დღეს ეძლევა შემთხვევა შტუტგარტის კონფერენციის მე-20 წლის თავის გამო ერთხელ კიდევ მოუხმოს თავის დროშის ქვეშ მთელი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას.

ფრიც რაინჰარდ.

20 წლის მანძილზე

(შტუტგარტის კონფ. მონაწილის მოგონება)

არა ერთხელ იყო აღნიშნული; რომ ახალგაზრდობის ინტერნაციონალი ჩაისახა 1907 წელს არა რეფორმიზმის ნიშნის ქვეშ. არამედ თავისი არსებობა მან დაიწყო როგორც რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ, რომელიც საბოლოოდ უნდა გადაქცეულიყო ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალად. შენახული შტუტგარტის კონფერენციის ოქმი ამას ჩვენ აშკარად გვიჩვენებს. კარლ ლიბკნეხტმა უმთავრესი როლი ითამაშა ამ კონფერენციაზე და შემთხვევითი სრულიადაც არაა ის გარემოება, რომ ლიბკნეხტს გვერდით სხვა მომხსენებელი დღის წესრიგის უმთავრეს საკითხებზე, როგორც მაგალითად როლანდ ჰოლსტი და ამ სტრიქონების დამწერი მივიდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალამდე ციმერვალდის მარცხენა ფრთის გავლით.

ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციები გაჩნდნენ შედარებით გვიან, რომ განაგები ყოფილიყო მათი დაარსების აუცილებლობის მთელი მნიშვნელობა; საჭირო იყო დაწყებულიყო რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში, ახალი თავი, ესე იგი რუსეთის 1905 წლის რევოლიუცია, იმ დღემდე ჩვენ ვებრძოდით რეფორმისტებს, მომავალში ამის მიუხედავად ჩვენ კიდევ ნათელი წარმოდგენა არ გვქონდა ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლის ზომებზე. მხოლოდ რუსეთის 1905 წლის რევოლიუციამ დაგვანახვა და გვასწავლა, რომ საყოველთაო გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება წარმოადგენენ უმთავრეს საშუალებებს რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლაში.

კარლ ლიბკნეხტმა უკვე 1904 წელს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კონგრესზე, ბრემში დაგვანახვა აგრეთვე მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. ამის შემდეგ მას არ დაუკარგავს მხედველობიდან ეს აუცილებლობა. დღიდან რუსეთის რევოლიუციის დაწყებისა მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პროლეტარულ ახალგაზრდობას, ახალგაზრდობის ორგანიზაციამ მიჰყო ხელი თავის უმთავრეს მუშაობას. ის მჭიდროთ დაუკავშირდა ჩრდილოეთ გერმანიის ახალგაზრდობის პროლეტარულ ორგანიზაციებს, რომლებიც დაარსდნენ 1904— 1905 წლებში. მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის ახალგაზრდა მუშების ფედერაციის დაარსებაში 1906 წ. მანჰეიმში, უკვე ამ დროს ლიბკნეხტმა მოითხოვა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კონფერენციის მოწვევა. იგი შეიქნა ინტერნაციონალური ბიუროს ხელმძღვანელი წევრი, რომელმაც მოამზადა ინტერნაციონალური კონფერენცია. 1907 წ. ლიბკნეხტმა გამოსცა წიგნი მილიტარიზმის და ანტიმილიტარიზმის შესახებ, რომელშიაც მან გამოაცხადა, როგორც ნამდვილმა რევოლიუციონერმა სოციალ-დემოკრატმა, რომ სოციალ-დემოკრატიის საკითხი არის სამხედრო საკითხი. ამ წიგნში პირველად ცნობილ იქნა ახალგაზრდობის მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალის დამაარსებელ კონფერენციაზე ლიბკნეხტი გამოვიდა როგორც ბელადი.

მისი მოხსენება ანტიმილიტარიზმის შესახებ გაგრძელდა ოთხი საათი. იგი გაყოფილ უნდა იქნეს ორ ნაწილად. ოქმი, რომელიც ჩვენ შეგვრჩა; არ წარმოადგენს ამ მოხსენების სტენოგრაფიულ ანგარიშს, ის შედგენილია გაზეთების ანგარიშების მიხედვით. ოქმი იძლევა მხოლოდ ლიბკნეხტის მოხსენების ჩონჩხს.

კონფერენცია დახურული იყო ხელისუფლებას არ ჰყავდა მასზე „მეთვალყურეები“. მოხსენება, რომელიც მომზადებული იყო იმ მოსაზრებით, რომ იგი გამოქვეყნდებოდა პრესაში, შემოკლებულ იქნა, ვინაიდან უკვე იჩინა თავი საშინელმა ლალატმა ლიბკნეხტის მიმართ. მან ილაპარაკა მეტად დაწვრილებით რუსეთის რევოლიუციაზე და თავის დამოკიდებულებაზე, ოპოზიციასთან, რაც თითქმის არ არის აღნიშნული ანგარიშში, ამჟამად შეუძლებელია მისი მოხსენების დაწვრილებით მოგონება. მაგრამ მე მახსოვს დამახასიათებელი განცხადება, რომელიც აღნიშნული არაა ანგარიშში. როდესაც ლიბკნეხტმა გაათავა თავისი მოხსენება რუსეთის ამხანაგების გმირულ ბრძოლის შესახებ, რასაც მოჰყვა კონფერენციის ხანგრძლივი ტაში, მან დაიძახა „მე ვამაყობ, რომ მყავს ასე დიდი რიცხვი რუს მეგობრებისა!“.

ამხანაგი როლანდ ჰოლსტი, რომელიც სარგებლობდა დიდი პატივისცემით ცენტრალურ ევროპაში, როგორც საყოველთაო გაფიცვის მებრძოლი (მისი წიგნი საყოველთაო გაფიცვის შესახებ გამოქვეყნდა 1904 წ.) გამოვიდა მოხსენებით პროლეტარული აღზრდის შესახებ. კონფერენციამ მისი დებულებები თითქმის ერთხმად მიიღო.

მოხსენება ახალგაზრდობის ეკონომიურ ბრძოლის შესახებ უნდა გაეკეთებია რობერტ დანნებერგს, ვენიდან, მაგრამ მან უარი განაცხადა ამაზე კონფერენციის რამდენიმე კვირის წინად. ინტერნაციონალური კავშირის ბიურომ, რომელმაც მოამზადა კონფერენცია თხოვა მე გამეკეთებინა მოხსენება და მეტვირთა რეზოლიუციის რედაქცია. მე დავთანხმდი იმ პირობით, რომ დავეჭირდი პოზიციას დანებერგის რეფორმისტულ თვალსაზრისის წინააღმდეგ. ლიბკნეხტის თანხმობა ადვილი იყო. საჭირო იყო დამეყოლიებინა აგრეთვე ნეიმანი კავშირის ბიუროს მდივანი. მხოლოდ ამის შემდეგ მე შევუდექი მუშაობას.

რამდენჯერმე ვეკამათე ჩემი მოხსენების შესახებ ლიბკნეხტს, ის მეთანხმებოდა, რომ ჩვენ მხედველობაში უნდა გვყავდეს უმთავრესად დიდი ფაბრიკა ქარხნების ახალგაზრდობა, ის დაეთანხმა ჩემს მოთხოვნილებებს; რომლებიც მოთავსებული იყო რეზოლიუციაში. კერძოთ ჩემი რეზოლიუციის თეორიტიულ ნაწილში მან სცნო რომ ზოგიერთი ფორმულებს აკლია მოქნილობა.

რაც შეეხება ეკონომიურ პროგრამას აქ არ იყო არავითარი უთანხმოება. მხოლოდ ერთი საკითხის გარშემო გაჩნდა მხურვალე კამათი—ეს იყო საკითხი სახელმწიფო სახელოსნოების შესახებ.

დანებერგმა დასწერა ბროშიურა, რომელშიაც მოითხოვდა, როგორც პანაცეას ექსპლოატაციის წინააღმდეგ სახელმწიფო სამოსწავლო სახელოსნოების გახსნას. იგი აღნიშნავდა, რომ ეს მოთხოვნილება შეტანილია სოციალ-დემოკრატების პროგრამა-მინიმუმში და, რომ ისინი აწყობენ კამპანიებს ამ მოთხოვნილების განსახორციელებლათ. ავსტრიის დელეგაცია, რომელსაც მხარს უჭერდა შვეიცარიის და ჩეხების დელეგაცია, გამოდიოდა სახელმწიფოს სამოსწავლო სახელოსნოების დაარსების სასარგებლოთ. ისინი მოითხოვდენ ამ პუნქტის შეტანას ჩვენს ეკონომიურ პროგრამაში. მე ვეწინააღმდეგებოდი ამ წინადადებას. მოწაფეები წარმოადგენდნენ ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ ახალგაზრდობის მხოლოდ უმცირესობას, თუ კაპიტალისტური ქვეყანა შეჰქმნიდა აღნიშნულ სპეციალურ სახელოსნოებს, ეს გამოიწვევდა მუშების გაყოფას. სახელოსნოები შეჰქმნიდნენ არისტოკრატებს ახალგაზრდა მუშების შორის, რომლებიც შესაძლებელია გამოეყენებიათ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. არ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, რომ მოწაფეების ექსპლოატაცია მოელება ბოლო კაპიტალისტურ წესყობილების ხანაში.

ჩვენი მოთხოვნილება უნდა იყვეს: დაცვა მოწაფეებისა, და კაპიტალიზმის დამხობა ექსპლოატაციის საბოლოო განადგურების მიზნით.

დაბოლოს ჩემმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. გადაწყვეტილ იქნა ერთხმათ არ შევიტანოთ ჩვენს ეკონომიურ პროგრამაში საკითხი სახელმწიფო სამოსწავლო სახელოსნოების შესახებ.

შტუტგარტის კონფერენციამ განახორციელა მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა. ერთი წლის წინად ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, თუ რას აკეთებდნენ ახალგაზრდათა ორგანიზაციები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობდენ. ჩვენ გავიგეთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს სამი უმთავრესი ტიპი ახალგაზრდათა ორგანიზაციებისა: ანტიმილიტარისტული ორგანიზაციები (ბელგია და ნაწილობრივ სკანდინავია), აღმზრდელი საზოგადოებები (ჰოლანდია, შვეიცარია) მოწაფეთა დაცვის ორგანიზაციები (ავსტრო-უნგრეთი). დღიდან ამ კონფერენციისა დაარსდა ინტერნაციონალი, რომელმაც გამოიმუშავა რევოლიუციონურ მუშაობის გეგმა ყველა ორგანიზაციებისათვის. ამრიგად განხორციელდა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროლეტარულ ახალგაზრდობის შესაერთებლათ შეგნებულ ბრძოლისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რამდენიმე სიტყვა კიდევ იმათ შესახებ, ვინც დაესწრო კონფერენციას. მათი სახელები არ იყო აღნიშნული ოქმში. მე აღარ შევხვედრივარ ამ ამხანაგებს. მე ვეკამათე დიდხანს ერთ დელეგატს. ამ კამათიდან მე გამოვიტანე შთაბეჭდილება, რომ იგი იყო ბუნდისტი.

კონფერენციის მდივანი ბალაბანოვა წარმოადგენდა იტალიის ახალგაზრდობას. შვეციის დელეგატი გუსტავ მოლლერი მკაცრად შეება ლიბკნეხტს. რამდენიმე ხნის შემდეგ ის შეიქნა „მის დიდებულების“ მინისტრი შვეციაში; შლუნდმა მიამბო; რომ მოლლერმა ომის შემდეგ აშკარად განაცხადა: „თუ მე უნდა ავირჩიო ლიბკნეხტსა და ნოსკეს შორის, მე უპირატესობას მივცემ ნოსკე“-ს. დემანმა გაიარა მეტად საინტერესო ევოლიუცია. ლიბკნეხტის შემდეგ იგი იყო პირველი პირი, რომელმაც სუყველაზე მეტი იმუშავა კონფერენციის ნაყოფიერად დასამთავრებლად. იგი მხურვალე მარქსისტი იყო და გაცოფებული მოწინააღმდეგე ვანდერველდესი. შემდეგ მოხალისეთ წავიდა ომში. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ის ჩავიდა რუსეთში ვანდერველდესთან ერთად კერენსკის დასახმარებლად. ომის წინად ჩვენ მჭიდროდ ვიყავით დაკავშირებული. ომის დროს მე მოველოდი; რომ ის საბოლოოდ ჩვენთან გადმოვიდოდა, მე მეტად ვწუხდი მის დაკარგვას.

მე მას შევხვდი უკანასკნელად 1922 წ. მე-3 და მე-2 ინტერნაციონალის გამაერთიანებელ კონფერენციაზე—ბერლინში, სადაც იგი მუშაობდა, როგორც მე-2 ინტერნაც. თარჯიმანი. სრულდებოდა მე-12 წელიწადი, რაც ერთმანეთი არ გვენახა. დემანმა მაშინათვე მიცნო მე და მომიახლოვდა.

— „ბუნებრივია, რომ თქვენ მე-3 ინტერ. ხართ“! მითხრა მან.

— „ბუნებრივია“, ვუპასუხე მე.

იულიუს ალპარი.

[illegible]ოთა კავშირის თავდაცვისათვის

[illegible]ომავალი ომის სახე

I

[illegible]მ უდიდეს კაპიტალისტურ სახელ[illegible]ერენციის ჩაშლამ საბოლოოდ [illegible]ციფიზმის ილიუზიები და აშკა[illegible]უჯანას, რომ კაპიტალიზმი ახლო [illegible]ში და გაფაციცებით ემზადება [illegible] ყველასათვის ცხადია, რომ [illegible], მაგრამ ყოველ შემთხვევაში ახ [illegible] მთელი მსოფლიოთ გაეხვევა ხა[illegible]ეცხლში.

[illegible]ლი მზადება, რომელიც ამჟამად [illegible]პიტალისტურ ქვეყნებში, მასშტა[illegible]ობა ნათლად მოწმობენ, რომ მო[illegible]ავისი რაოდენობით, საბრძოლო [illegible] და მთელი მსოფლიოს ცხოვრე[illegible]თ, მართლადაც საშინელებას უწ[illegible]ენდეს.

[illegible]ემდეგ ამზადებენ კაპიტალისტე[illegible]

[illegible] ცხოვრების ბოლო ხანების [illegible]ველასათვის ცნობილი ფაქტები [illegible]ტკიცებენ, რომ კაპიტალისტების მიერ ომი[illegible]ვის სამზადისი მიმართულია პირველ ყოვლი[illegible] საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მომავალი [illegible]იქნება ომი ორი განსაზღვრული ბანაკის შო[illegible] კაპიტალიზმი და საბჭოთა ქვეყანა, რეაქცია [illegible]ევოლუცია. ამიტომ მომავალ ომს ეძლევა [illegible]ობრივი ხასიათი.

[illegible]ლია ომის დასაწყისში ყველა კაპი[illegible] სახელმწიფო არ ჩაერიოს ბრძო[illegible]არალური დარჩეს, მაგრამ ეს ნეი[illegible]ეხათუოდ შეიარაღებული ნეიტ[illegible]ება და მასთან მტრულად განწყო [illegible]იტეტი საბჭოთა კავშირის მი[illegible]ეთი ნეიტრალიტეტიც არ იქნე[illegible] და სულ მოკლე ხანში დაირღ[illegible]ლი ჩაითრევს ნეიტრალურ ხა[illegible]ხელმწიფოებსაც. მით უმეტეს რომ ერთა ლიგის დებულებს მე-16 მუხლი პირდაპირ აიძულებს მათ ამას.

მოსალოდნელია რომ ამ ომში არც საბჭოთა კავშირი დარჩება განმარტოებული და მას მიეკედლებიან კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნები. ეს გარემოება რა თქმა უნდა არ შესცვლის მომავალი ომის არსებითი ხასიათს, წმინდა კლასობრივ სახეს. მოპირდაპი[illegible]ეთა შესაძლებლობის შეფასებაში ახეთი სახე [illegible]ომავალ ომს განსაზღვრულ ელფერს აძლევს [illegible]ი მხრით კაპიტალიზმი მდიდარი მრავალ[illegible] სამხედრო ტექნიკურ საშუალებებით, გან[illegible]არებული და კარგად მოწყობილი ყოველ [illegible] ტრანსპორტით, ე. ი. ჯარის სწრაფი გა[illegible]ვან - გადმოყვანის საშუალებით და სამაგი[illegible] ცოცხალი ძალის, ე. ი. ადამიანთა მარა[illegible] ნაკლებობით. მეორის მხრით საბჭოთა ქვე[illegible] თითქმის უსაზღვრო ტერიტორიით და უამ[illegible] ცოცხალი ძალის მარაგით, შედარებით [illegible] ტექნიკით და ტრანსპორტით. რასაკვირ[illegible] თვისუფლი მოპირდაპირე შეეცდება თა[illegible]იერი მხარეების უფრო განმტკიცებას და [illegible]ით გამოყენებას. და ჩვენ ვხედავთ, რომ [illegible]ისტური ქვეყნები არაფერს ზოგავენ [illegible]ფრის უკიდებიან თავის სამხედრო ტექ[illegible] საშუალებათა გაძლიერებაში და ახალის [illegible]ებაში, ამიტომაც არის რომ მომავალ [illegible]ისად ტექნიკის ომს უწოდებენ.

ამ ხვეროში პირდაპირ ფანტასტიურ პერსპექტივებს ხატავენ. ზოგს მთელი დედა მიწის ზურგი ელანდება უამრავი აეროპლანების ესკადრილიებით და ურიცხვი ტანკებით მოფენილი, რომელნიც ყუმბარების ნიაღვრით და მომწამლელ გაზების ქარიშხალით როგორც კალია, ისე ხშრენ უზარმაზარ ტერიტორიაზე სიცოცხლის ყველა ნიშანს. ეს რასაკვირველია ფანტასტიკაა. მაგრამ რომ მომავალ ომში მებრძოლი ქვეყნები მეტად ფართოდ გამოიყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, ეს ცხადია. და რომ საომარი მოქმედების ასე ვთქვათ მექანიზაცია მეტად დიდ გავლენას იქონიებს და ბევრს ცვლილებებს შეიტანს ჯარების სტრატეგია - ტაქტიკაში. ესეც აშკარაა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც გინდა განვითარებული იყოს სამხედრო ტექნიკა, მაინც სამხედრო ოპერაციებში მთავარი მომქმედი რჩება ადამიანი. უსულო მანქანების ამმოძრავებელი და მომხმარებელი იგივე ადამიანია, რომელსაც წინანდებურად მოპირდაპირის მხრით მოელის სიკვდილის შიში. ცხადია რაც უნდა კარგი და სრულყოფილი იარაღი მისცე ხელში ადამიანს, თუ კი უკანასკნელი ბრძოლისათვის არაა სრულებით მოწადინებული, ან ეშინის მტრისა, ანდა არა აქვს შეგნებული ბრძოლის მიზანი და საჭიროება, იგი ამ საუკეთესო იარაღს ვერ მოიხმარს და ვერ გამოიყენებს და ტექნიკური უპირატესობა სრულიად ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

იგივე ტექნიკური საშუალებანი [illegible]მდენად ზრდიან მომქმედ ადამიანთა [illegible]არაღს და ადიდებენ სიკვდილის [illegible] საშიშროებას, რომ ჯარის კაცისაგან მოითხოვენ განსაკუთრებულ სიმტკიცეს, ნდობას და ომის მიზნით და იდეით გატაცებას.

იგივე ტექნიკური საშუალებანი, როგორც ვსთქვით ერთსა და იმავე დროს განმავლობაში ბევრით უფრო მეტს მსხვერპლს მიაყენებენ ჯარს, ვიდრე ეს წინანდელ ომებში ხდებოდა და ამიტომ ჯარის ხშირ - ხშირი შევსება და ამისათვის ცოცხალი ძალის საკმაო მარაგის ყოლა აუცილებელი ხდება. მაშასადამე საბოლოო ანგარიშით მებრძოლ მხარის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, საიდანაც უნდა ამოიკრიბოს მომქმედი სამხედრო ძალა, თავისი მნიშვნელობა არ ეკარგება, მხოლოდ ღირსებით ეს ძალა უფრო სანდო უნდა იყოს ვიდრე წინანდელ ომებში.

ამ მხრით კაპიტალისტურ ქვეყნების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდულია. მოსახლეობის საერთო რიცხვი შედარებით მოპირდაპირესთან მეტად ნაკლებია, მაგრამ უფრო ბევრით ნაკლებია ამ მოსახლეობაში ყოვლად სანდო და კაპიტალისტებისათვის ომში გამოსადეგი ელემენტები. და აი კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობენ ეს ნაკლი ტექნიკის განვითარებით შეივსონ, მაგრამ როგორც ვხედავთ ტექნიკური უპირატესობა, ბოლოს და ბოლოს სათუო და პირობითი უპირატესობაა ისევე როგორც თვით კაპიტალიზმის აწინდელი სტაბილიზაცია არის სათუო და პირობითი მოვლენა.

ი. გიდევანიშვილი.

ავიაცია მომავალ ომში

[illegible]ტექნიკის ზღაპრული სისწრაფით [illegible]ტების მეტად შეუწყო ხელი [illegible]ს იმპერიალისტურმა ომმა და [illegible]ვითმფრინავს სრული უფლებით შე[illegible]ქვოდოს ჰაერის „მფლობელი“. [illegible]ისათვის ეხლა არ არსებობს თითქმის [illegible]რი დაბრკოლება. მთა-გრეხილები, უდ[illegible], ზღვები, რომლის წყალობით კარგად [illegible] დაცულნი ზოგიერთი სახელმწიფოები [illegible] თავდასხმისაგან. აღარ წარმოადგენენ [illegible]მიდო დარაჯს, როგორც წინათ. ისეთ [illegible], როგორიც არიან გერმანია და სა[illegible]ი, არ მოიპოვებათ არც ერთი საჰაერო [illegible]ტისთვის მიუწდომელი კუთხე. ეს ქვეყნე[illegible]ს მეტად მჭიდროთ არიან დასახლებულ [illegible] საჰაერო ფლოტის ცეცხლით შეიძლე[illegible]ა „დაცხრილულ“ იქნენ. ევროპის ტე[illegible] მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიდამო [illegible] დაცულნი მტრის საჰაერო იერიშე[illegible]

[illegible]ავისი დანიშნულების მიხედვით. [illegible]ჯგუფად: მზვერავი, გამანადგურე[illegible]ომბის მტყორცნელი.

მზვერავი ავიაცია

[illegible]აცია ჩვეულებრივად არის კორ[illegible]იებში და უმაღლეს შენაერთე[illegible](ფრონტი). მზვერავი ავიაციის [illegible]ა: ცნობების შეკრება ად[illegible]რის ანაგებათა, ბანაკების [illegible] შესახებ, მტრის გზების [illegible] სახე, არტილერიის სროლის [illegible] შესწორების და შედგე[illegible] სიმაგრეების ფოტოგრაფიულ [illegible]ღება და საკუთარ ჯარის მოქ[illegible]გაეწევა.

[illegible] აპარატის მიზანია მტრის [illegible] მანძილზე) დაზვერვა. [illegible]ა ჯარისა და სარდლობის შო[illegible]ხის არტილერიის სროლის შე[illegible]ბი

[illegible] ავიაციის მიზნებია [illegible]ის დაზვერვა (30 კილომ. მანძი[illegible]), მტრის ზურგის და არმიის ღრმად დაზვერვა, შესწავლა მტრის ჯარების მოძრაობის, [illegible] და მოსავლელ გზების და სხვა. საერთოდ, კორპუსის მზვერავ ავიაციის მუშაობა სწვდება 150—200 კილომეტრს.

მზვერავ ავიაციას მოქმედების დროს იცავს გამანადგურებელი ავიაცია. მზვერავი ავიაციის აპარატების სისწრაფე უდრის 190—250 კილომ. საათში, საწვავი მასალა ჰყოფნის 4—6 საათში. აპარატები შეიარაღებული არიან 3—4 ტყვიამფრქვევით და თან აქვთ ფოტოაპარატები და რადიო-მოწყობილობა.

გამანადგურებელი ავიაცია

გამანადგურებელი ავიაციის მთავარი დანიშნულებაა ბრძოლა მტრის საჰაერო ძალებთან. რადგან მხოლოდ უმაღლეს სარდლობას შეუძლიან გარკვევა იმის, თუ სად და რა მომენტში შეიძლება მტრის ავიაციასთან შეტაკება, ამიტომ გამანადგურებელი ავიაცია წარმოადგენს უმაღლეს შტაბების კუთვნილებას.

არსებობს გამანადგურებელთა სამი სახე: 1) ერთადგილიანი აპარატი მტრის თვითმფრინავებსა და ჰაეროპლანებზე თავდასასხმელად, 2) ორადგილიანი აპარატი—საკუთარ თვითმფრინავების დასაცავად და 3) მრავალადგილიანი აპარატი—მტრის ჯარზე თავდასასხმელად. გამანადგურებელი ავიაცია აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს: 1) თავდასხმა მტრის თვითმფრინავებზე განურჩევლად სიმაღლისა მათი განადგურებისა და უკუქცევის მიზნით. მათი მოქმედებისათვის ხელის შეშლა და თავდასხმა მტრის მზვერავ ჰაეროპლანებზე; 2) მტრის თვითმფრინავებისათვის ჩვენი საზღვრის გადმოლახვის აკრძალვა; 3) იერიშების მიტანა მტერზე და იმ ადგილების სწრაფად დაზვერვა, რომლებიც ვერ იქნენ დაზვერილნი მზვერავ აპარატების მიერ. გამანადგურებლები მოქმედებენ ჯგუფურად (პარტიული) 3-6 ათამდე ერთად. მათი სისწრაფე უდრის 250—350 კილომეტრს საათში. შეიარაღებულ არიან ტყვიამფრქვევებით; მრავალადგილიან გამანადგურებლებზე არის 30 ტყვიამფრქვევი, ან რვა ტყვიამფრქვევი და სწრაფმსროლი—მცირე კალიბრის ზარბაზანი. აპარატის ნაწილები დაცულია ფოლადის ჯავშნით.

ბომბის მტყორცნავი ავიაცია

ამ სახის ავიაციის დანიშნულებაა თავდასხმა მნიშვნელოვან პუნქტებზე, რომელთა განადგურება დაასუსტებს მტრის ძალებს (იერიშები მაშველ ჯარზედ არტილერიაზე, აეროდრომებზე და სხვა). მისი მიზანია აგრეთვე თავდასხმა დასახელებულ პუნქტებზე, რკინის გზის სადგურებზე, საწყობებზე, პოლიტიკურ და მრეწველობის ცენტრებზე. ავიაციის ეს სახე წარმოადგენს იმავე არტილერიას, მხოლოდ მოქმედს ვერტიკალური ხაზით, ზოგ შემთხვევაში ბომბის მტყორცნავ ავიაციას აქვს უპირატესობა არტილერიასთან, რადგან მისი მოქმედების რაიონი უფრო ვრცელია და ბომბები წონით 2000 კ. გ. აღწევენ.

ავიაციის ამ სახის ნაკლი არის შედარებით მიზანში სუსტი მოხვედრა და დამოკიდებულება ამინდისაგან. მოქმედების დროს ბომბის მტყორცნელებს იცავენ გამანადგურებლები. მათი სისწრაფე უდრის საათში 155 კილომეტრს. საწვავი მასალა ჰყოფნის 7 საათს. ბომბების წონა, რომელიც თან აქვს აპარატს სხვადასხვანაირია—3 კ. გ.—2000 კ. გ-მდე.

ყუმბარების მოქმედების შედეგები ამერიკაში შემდეგია: გერმანიის კრეისერი „ფრანკფურტი“ დაიძირა 270 კილოგრამიან ყუმბარის მოხვედრის შემდეგ. დრედნოუტი „ოსტფრისლანდი“ დაიძირა 900 კილოგრამიანი ყუმბარით, ამერიკის ჯავშნოსანი „ალაბამა“ დაიძირა 30 წუთში 900 კილოგრამიან ყუმბარის მოხვედრის შემდეგ.

ხსენებულ თვითმფრინავების გარდა, არის კიდევ სხვა ტიპის თვითმფრინავებიც, რომელნიც ომის დროს გამოიყენებიან დაჭრილთა და ავადმყოფთა გადასაზიდავად, ჯარის გადასაყვანად, ტვირთის საზიდავად. არის თვითმფრინავი-სახელოსნოები აპარატებისათვის საჭირო ინსტრუმენტებით, სათადარიგო ნაწილებით.

მაგრამ, ავიაცია ემსახურება არ მარტო სამხედრო მიზნებს, იგი ფართოდ არის გამოყენებული კულტურული მიზნებისათვისაც. მგზავრების გადაყვანა, ფოსტის და ტვირთების გადაზიდვა, რუკების და გეგმების შედგენა მიწათ მოწყობის დროს, ბრძოლა ხანძართან და მოსავლის მავნებლებთან, მეტეოროლოგიური გამოკვლევები და მრავალი სხვა, აი რისთვის არის გამოყენებული სამოქალაქო ავიაცია. ყველა ამ ამოცანების შესასრულებლად არსებობენ ისევე როგორც ჯარში, სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები. ავიაციის გამოყენების განვითარებასთან ერთად, სწარმოებს მისი ტექნიკის განვითარებაც. ეს განვითარება მისწრაფვის ფრენის თვისებების, ფორმის, კონსტრუქციის და სისტემის გაუმჯობესებისაკენ და საწვავი მასალის მომჭირნეობის მისაღწევად.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ სამხედრო საქმის არც ერთი დარგი არ სარგებლობს ისეთი ყურადღებით, როგორც ავიაცია, იგი ძლიერი ფაქტორია და მასზედ დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის გამარჯვება ან დამარცხება. ამისათვის კი საჭიროა, რომ მშრომელთა ფართო მასები დაწვრილებით გაეცნონ საჰაერო ფლოტის მნიშვნელობას, რათა იცოდნენ, თუ რა პირობებში რის მიღწევა შეუძლიან საჰაერო ფლოტს. ამით მშრომელებს ეძლევათ შესაძლებლობა უზრუნველჰყონ თავისი თავი უსაფუძვლო შიშისაგან.

გ. თუხარელი.

სამსახურის ვადა ტერნაწილებში

სამხედრო სამსახური მუშურ - გლეხურ წითელ ჯარში იმით განსხვავდება სამსახურიდან ძველ ჯარში და სხვა სახელმწიფოთა არმიებში, რომ წითელი ჯარი ანიჭებს გასაწვევ მოქალაქეებს დიდ შეღავათებს და უადვილებს მშრომელებს სამხედრო სამსახურის მოხდას.

მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის ვადა წითელ ჯარში შემცირებულია შედარებით ძველ დროსთან, ამითი არ ფერხდება მებრძოლთა მომზადება, რადგან გასაწვევი ახალგაზრდობა გაწვევამდე რამოდენიმე წლით ადრე, იწყებს წვევამდე მზადების გავლას.

გასაწვევი ახალგაზრდობა წითელ ჯარში მიდის უკვე მომზადებული და ყაზარმაში იგი ითვისებს უფრო რთულ საგნებს.

ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლით საბჭოთა მშრომელებს მიეცათ სამხედრო სამსახურის ადვილათ გავლის შესაძლებლობა. ტერიტორიალურ ნაწილის წითელი არმიელი (ცვალებადელი) იმ ხნის განმავლობაში, სანამ ირიცხება ნაწილში, არ არის მოწყვეტილი თავის მეურნეობას, რადგან სამხედრო სამსახურის გავლის დროს მხოლოდ ძლიერ მოკლე ხნით მიდის წითელ ყაზარმაში.

როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირის კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ ანიჭებს დიდ შეღავათებს მოქალაქეებს ოჯახურ - ქონებრივ მდგომარეობის და სწავლის მიხედვით. მხოლოდ, შეღავათიანები სავსებით არ თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისაგან, არამედ ირიცხებიან ტერიტორიალურ ნაწილში. მიმდინარე წლის შემოდგომის გაწვევაზე შეღავათის მქონე ახალგაზრდობაც ჩაირიცხება ტერიტორიალურ ნაწილში ცვალებად წითელ არმიელებათ.

სამსახურის ვადა ტერიტორიალურ ნაწილებში დაწესებულია ხუთი წელი.

პირველი წლის განმავლობაში ცვალებადი წითელი არმიელი გაიწვევა ტერიტორიალურ ნაწილში სამი თვით. დანარჩენი 9 თვე ცვალებადელი არმიელი იმყოფება შვებულებაში. მაშასადამე, პირველი წლის განმავლობაში ცვალებადი არმიელები შორდებიან მეურნეობას და წარმოებას მხოლოდ სამი თვით, რომლის განმავლობაშიაც ისინი იძენენ საჭირო ცოდნას სამხედრო და პოლიტდარგში.

დანარჩენ ოთხი წლის განმავლობაში ცვალებადელნი გადიან სამხედრო სამსახურს შემდეგი წესით:

ა) ცვალებადენლი, რომელნიც ირიცხებიან მსროლელ და საარტილერიო ნაწილებში და აგრეთვე დივიზიების დაწესებულებებში გაიწვევიან სამოსწავლო შეკრებაზე ოთხი წლის განმავლობაში ვადით არა უმეტეს ხუთი თვისა, ხოლო თვითეულ წლის განმავლობაში არა უმეტეს ორი თვისა;

ბ) ცხენოსან ნაწილების ცვალებადელნი გაიწვევიან შეკრებაზე ვადით არა უმეტეს 8 თვისა, თითო წელში კი — არა უმეტეს ორი თვისა. გ) სპეციალურ ნაწილების (მეხანგრეები, საკავშიროელნი) ცვალებადელნი გაიწვევიან შეკრებაზე ვადით არა უმეტეს ექვსი თვის, თითო წელში კი — არა უმეტეს ორი თვისა.

როგორც ვხედავთ ტერიტორიალურ ნაწილებში სამსახური ძალიან უადვილებს მშრომელებს სამხედრო ბეგარის მოხდას.

რათა ცვალებად წითელ არმიელებს ჰქონდეთ შეძლება, რომ შეკრებაზე მიღებული ცოდნა განავითარონ შვებულებაში ყოფნის დროს, არ დაივიწყონ მებრძოლისათვის საჭირო საგნები, ამისათვის დაარსებულია სოფლად და ქალაქად, ქოხ - სამკითხველოებში, კლუბებთან, ფაბრიკა - ქარხნებში და სხვა საწარმოო დაწესებულებებში სამხედრო კუთხეები, რომლებიც ეხმარებიან ცვალებად წითელ არმიელებს ცოდნის განმტკიცების საქმეში.

თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოებაში

მოწაფეთა გასამხედროება

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებულია საშუალო სასწავლებლების მოწაფეების გასამხედროების გეგმა.

მომავალ სამოსწავლო წლიდან აღნიშნულ სასწავლებლებში განზრახულია შემოღება სამხედრო ცოდნათა საათის. მიღებულ იქნება ზომები თვით სამეცადინო პროგრამის გასამხედროებისათვის.

ცალკე საერთო საგანმანათლებლო საგნებში შეტანილ იქნება სამხედრო საქმის ელემენტები, მაგ. ქიმიაში—მოწამლულ გაზების თვისებების და მოქმედების შესწავლა და მათგან თავდაცვის საშუალების გაცნობა, ფიზიკაში—ავიაციის თეორია, სამხედრო საქმის ორგანიზაცია, ელექტრონის, აკუსტიკის და ოპტიკის ტექნიკის გამოყენება სამხედრო საქმეში.

გადასინჯულ იქნება არითმეტიკის სახელმძღვანელოები და ამოცანათა კრებულები, მათში სამხედრო ელემენტების შეტანის მიზნით, რათა ამით მაქსიმალურად მიღწეულ იქნეს სამხედრო ტექნიკის ცნების შთანერგვა მოსწავლე ახალგაზრდობის შორის.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სათანადო სექციებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ აღნიშნულ მუშაობისათვის საჭირო მასალის დამზადებას.

თავდაცვა-ავიაქიმის წევრები სამხედრო სწავლებაზე

თავდაცვა-ავიაქიმის წევრების დასაახლოვებლად სამხედრო ნაწილებთან, რათა მიეცეთ მათ საშუალება ახლო გაიცნონ წითელ არმიელთა სწავლება, მოეწყობა ჯარის ბანაკების დათვალიერება თავდაცვა-ავიაქიმის წევრების მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში თავდაცვა-ავიაქიმის წევრებს ეძლევათ ნება მიიღონ მონაწილეობა ტაქტიკურ მეცადინეობაში და მანევრებში. ჯარის ბანაკების დათვალიერების ნება ეძლევათ აგრეთვე თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის პროფკავშირებს, კომპარტიის და კომკავშირის წევრებს.

სამხედრო ქრონიკა

მეთაურთა კრება

აგვისტოს ბოლო რიცხ. შესდგა მე-5 ქართულ მსროლელ ლეგიონის კადრის და ცვალებად მეთაურების საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებულ იქნა მოხსენების ირგვლივ, მეთაურნი ზიზღს უცხადებდნენ ქართველ მენშევიკებს და ამბობენ, რომ „მეხუთე ქართულ ლეგიონის მეთაურები ყოველთვის მტკიცედ იდგებიან ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე“.

კურსები შვებულთათვის

გრძელვადიან შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთათვის ყაზარმაში ჩამოყალიბებულ იქნება შემდეგი კურსები: საბჭოთა აღმშენებლობას, კოოპერატიული, ტყის მცველების, ქოხ-სამკითხველოების და სამხედრო კუთხეების გამგეების.

სსრკ ცაკის პრეზიდიუმმა მიმართა საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებს წერილით, რათა მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები აღნიშნულ კურსების დროზე მოსაწყობად და მუშაობის შეუფერხებლად ჩასატარებლად.

შეღავათები საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულებს

ის მოქალაქეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები (მუშფაკები, მეორე საფეხურის სკოლები და სხვა) ისარგებლებენ გაწვევის დროს შეღავათებით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. საერთო წესის მიხედვით. (სსრკ-ს ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება ა. წ. 25 აგვისტოდან).

ის მოქალაქენი, რომლებმაც გაიარეს უმაღლესი წვევამდე მზადება, შეღავათებით ოჯახურ ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით არ სარგებლობენ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყველის დამამზადებელი ქარხნის საძირკვლის ჩაყრა

ახალქალაქი, 2 სექტემბერი. ახალქალაქის ბაზარში სოფ. ბეშანაში საძირკველი ჩაეყარა ყველის ქარხანას. ქარხანა შენდება საქართველოს უმაღლეს საბჭოს საშუალებებით; ის ყოველწლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ ყველს. ქარხნის საძირკველის ჩაყრას დაესწრო ამ. ფილიპე მახარაძე.

საავადმყოფოს შეკეთება

ახალქალაქი, 2 სექტემბერი. ქალაქის საავადმყოფოს შესაკეთებლად სამაზრო აღმასკომმა გადასდო 8.000 მან.

გლეხთა სახლი

ახალქალაქი, 2 სექტემბერი. გლეხთა სახლთან ქალაქში ეწყობა ბაკი, რომელიც დაიტევს 200 ცხენს. ბაკის მოსაწყობად გადადებულია 120.000 მან. (ადს).

ცხვრის ფარა ბარში ჩამოჰყავთ

თელავი, 1 სექტემბერი. მწყემსები უკვე შეუდგნენ ცხვრის ფარის ბარში ჩამოყვანას საზაფხულო საძოვრებიდან. ცხვარს მიერეკებიან შირაქის ველისაკენ ზამთრის საძოვრებზე. (ადს)

თავდაცვა -ავიაქიმი

ახალსენაკი, 2 სექტემბერი. დაიხურა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების სამაზრო კონფერენცია. კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა საზოგადოების უჯრედების მუშაობის გამოცოცხლება, თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობი საზოგადოების წევრთა რიცხვი კონფერენციის დროს ავიდა 1.100 კაცამდე. კონფერენციამ აირჩია 15 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი (ადს).

ნათესების დაღუპვა

ახალსენაკი, 2 სექტემბერი. სამაზრო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში მიღებულ ცნობებით მაზრაში დაიღუპა 2.600 დეს. ნათესი (ადს).

აფხაზეთი

ყაჩაღები ულელტეხილზე

სოხუმი, 3 სექტემბერი. კლუხორის ულელტეხილზე, საიდანაც ყოველ დღიურად სოხუმში მოდის 1000 ექსკურსანტი, გამოჩნდნენ შეიარაღებული ყაჩაღები და თავს დაესხნენ ექსკურსანტებს. ამ დღეებში გაძარცვეს ექსკურსანტების ორი პარტია; მილიციამ მიიღო შესაფერი ზომები (ადს)

ტყვარჩელის ქვანახშირი

სოხუმი, 3 სექტემბერი. ტყვარჩელის რაიონში ქვანახშირის გამოკვლევა, რომელსაც „იუგოსტალი“ აწარმოებს, მთავრდება ამჟამად მუშაობა სწარმოებს ქვანახშირის ამოსაღებად. ნიაღვრებისაგან მთების ჩამორეცხვის გამო, ქვანახშირის გადაზიდვა ოჩემჩირეში დროებით სწარმოებს [illegible]. ამავე დროს მუშაობა სწარმოებს საურმე გზის გასაკეთებლად, რომლის დამთავრების შემდეგ გაადვილებული იქნება ქვანახშირის გადაზიდვა ოჩემჩირემდე (ადს).

წერილები

სამტრედია, მესამე ილორის უბანი

ვაშენებთ სამკითხველოს შენობას

ჩვენი უბნის სამკითხველოზე საზოგადოება მუდამ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, რაც სამართლიანი იყო. სამკითხველო არსებობდა მხოლოდ სახელით, ის მოთავსებული იყო ერთ პატარა დანგრეულ ფიცრულში და შიგაც არაფერი იყო.

ბოლოს, როგორც იქნა ახალგაზრდობის ინიციატივით და საზოგადოების დახმარებით სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართა საღამო, რომელმაც დასტოვა მოგება 219 მან. 55 კ. საზოგადო კრებამ ეს თანხა ჩააბარა ექვსი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელთაც დაევალა ზრუნვა სამკითხველოს ასაშენებელ მასალის შესაძენად. განზრახულია სამკითხველოსთვის ორ ოთახიანი აგურის შენობის აგება. ერთი ოთახი თვით სამკითხველოსათვის და მეორე დარბაზი საზოგადო კრებებისათვის. იმედია კომისია პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

სევ. გრიგოლია.

ხუნევ - ბორითის თემები, შორაპნის მაზრა

სექციების მუშაობა მოისუსტებს

მიმდინარე თვეში ჩატარდა ხუნევის და ბორითის თემების გამოკვლევა. რამაც გვიჩვენა შემდეგი: ხუნევის თემში მიმდინარეობს აღმასკომის, კოოპერატივის და სამკითხველოს შენობების შეკეთება, სხვადასხვა სოფლების სკოლების აგება. ბორითის თემში კეთდება ბონდი მდ. ძირულაზე და აგრეთვე სკოლების აგება. მუშაობები სრულდება თვითდაბეგვრის საშუალებით. შეკეთებულია სოფლებში უბრალო გზები. შრომითი ბეგარის გამოყენება სუსტად მიმდინარეობს.

სექციების მუშაობა სუსტია და ხუნევის თემში სრულებით არ მიმდინარეობს.

ბორითის თემში ადგილი აქვს ყოფილ მემამულეების მიერ მაწების სალაღოდ გაცემას გლეხებზე.

თ. გველესიანი.

ბაღდათის თემი, ქუთ. მაზრა

(საკურორტო სამმართველოს საყურადღებოთ)

ყურადღება აგარაკ საირმეს

ბაღდათიდან 20 ვერსის მანძილზე სამხრეთის მიმართულებით ფიჭვ - ნაძვნარში მდებარეობს დიდ ღირსებიანი საუკეთესო მჟავე წყლის წყარო. მისთვის ჯერ არავინ ზრუნავს და უყურადღებოდ არის მიტოვებული. ეს მჟავე წყალი კურნავს ნაწლავების ქრონიკულ კატარს, არის საბანო ნევრასტენიკებისთვის და სხვ. მართალია წარსულთან შედარებით გაუმჯობესებულია გზებიც და ბინებიც, მაგრამ ჩვენის აზრით ამ პირობებში ამ კურორტის დატოვება შეუძლებელია. აგარაკი საირმე როგორც მდებარეობით, ისე თავისი სამკურნალო წყლებით საუკეთესო კურორტს წარმოადგენს. დღესაც მიუხედავათ მოუწყობლობისა აუარება ხალხი ეტანება საირმეს. საკურორტო სამმართველომ საირმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

აქ. შავგულიძე.

სართიჭალა, თბილ. მ.

მოუმატეთ თანამშრომელი

(მთავარ ფოსტის გამგეობის საყურადღებოდ)

სართიჭალის ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილებას მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, რადგანაც დაწესებულებაში აუარებელ საქმეებს წესიერად ვერ უძლევა მხოლოდ ორი თანამშრომელი:

სართიჭალის თემში და ნაწილობრივ მის გარეშე მყოფი დაწესებულებები და კერძო მოქალაქეებიც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ სართიჭალის ფოსტისადმი, რადგანაც უკანასკნელი უამრავი სამუშაოს გამო თავის დროზე ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულთ საფოსტო საქმეების მოთხოვნილებებით. საჭიროა ამ მდგომარეობას სათანადო ანგარიში გაუწიოს მთავარ ფოსტის გამგეობამ და სართიჭალის ფ.-ტ. განყოფილებას მოუმატოს ერთი თანამშრომელი.

შ. გარე-კახელი.

საგარეჯო, თბილისის მაზრა

ნათლიმამობის ერთი ნიმუში

საგარეჯოში სცხოვრობს ვინმე ანტონ ქურთიშვილი, რომელსაც მთელ საგარეჯოს მცხოვრებლები იცნობენ, როგორც უპატიოსნო ელემენტს. მან ამას წინად მოჰკლა კაცი. ის დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ რამოდენიმე ხნით. შემდეგ თავდებს ქვეშ გაანთავისუფლეს, მაგრამ განთავისუფლების თანავე მოათავსეს შინაურულად კოოპერატივში. ამის შემდეგ ის ვერ დამშვიდდა და ბევრი „საგმირო“ საქმეები ჩაიდინა. ბევრჯერ დაიწერა პრესაში მის შესახებ, რაც პროკურატურამ მიიღო მხედველობაში და ის ერთი წლის ვადით იქნა დაპატიმრებული. რამოდენიმე თვის შემდეგ მოიხადა ციხე და დაბრუნდა საგარეჯოში.

დღეს რას ვხედავთ? ეს „გმირი“ ნათლიმამობით მილიციაში მიუღიათ. ამგვარად ნათლიმამის კალთა დღემდე ფარავს ბატონ ქურთიშვილს.

წარუკა.

ოქტომბ[illegible]ს 10 წლის თავისათვის

ოქტომბრის საიუბილეო გამოფენები უცხოეთში

[illegible] საკავშირო საზოგადოებამ მიმართა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების დაინტერესებულ ორგანოებს მონაწილეობა მიიღოს გამოფენებში; რომელთა მოწყობა განზრახულია უცხოეთის ზოგიერთ ქვეყნებში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე. გამოფენები გაიმართება გერმანიაში; საფრანგეთში, ჩრდ. ამერ. შეერ. შტატებში, ავსტრიაში და არგენტინაში.

გამოფენებს აწყობს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოება აღნიშნული ქვეყნების სატახტო ქალაქებში, საიდანაც შემდეგ ეს გამოფენები გადატანილი იქნება სხვა ქალაქებშიაც. გამოფენებს აქვს უმთავრესად საჩვენებელი ხასიათი; გამოფენებზე დამახასიათებელი იქნება საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციიდან დღემდე.

თვითეული გამოფენა გაგრძელდება ექვსი თვე, ყველა ქალაქებში გამოფენები გაიხსნება შვიდ ნოემბერს. ბერლინში გახსნილი გამოფენა რამოდენიმე ხნის შემდეგ გადატანილი იქნება კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში და ოსლოში. პარიზის გამოფენა—ბრიუსელში; რომში და სტამბოლში. შეერთებულ შტატებში გამოფენა გაიხსნება პირველად ნიუ-იორკში (ვაშინგტონის მაგივრად). ნიუ-იორკიდან გამოფენას გადაიტანენ ჩიკაგოში, შემდეგ არგენტინაში (ქ. ბუენოს-აირესი), არგენტინიდან მექსიკაში და ბოლოს იაპონიაში. ვენიდან გამოფენას გადიტანენ პრაღაში (ჩეხო-სლოვაკია) და შემდეგ სპარსეთში.

გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატები შესრულებული უნდა იქნეს მხატვრულად. ექსპონატებში დახასიათებული უნდა იქნეს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგები (ფოტოგრაფიები, დიაგრამები; მაკეტები). გარდა ამისა, სასურველადაა ცნობილი, რომ გაიგზავნოს აგრეთვე შინამრეწველობის ზოგიერთი დამახასიათებელი პროდუქტები, წიგნები ეროვნულ ენებზე, პლაკატები და ფოტო-სურათები ხალხის ცხოვრებიდან.

საქართველოდან აღნიშნულ გამოფენებზე მონაწილეობის მისაღებად და ქართული სექციების მოსაწყობად მისაწვევი ბარათი მოუვიდა ს. მ. უ. საბჭოს.

ყოველგვარი ექსპონატები უცხოეთთან კულტ კავშირის საზოგადოების სახელზე გაგზავნილი უნდა იქნეს პირველ ოქტომბრამდე.

პლაკატების შეძენა

ცაკთან არსებულმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის იუბილეს ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ შეიძინა 4.000 ცალი პლაკატი რევოლიუციონურ მხატვართა ასოციაციისაგან.

მასალების დამზადება

თბილისის აღმასკომმა დაამზადა დიდძალი მასალები თბილისში და მის მაზრაში სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის მიღწევების შესახებ საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე.

მასალები გადაეცა ამხ. ფ. მახარაძეს, რომელმას გამოიყენებს თავისი წიგნისათვის „საბჭოები საქართველოში“.

დღესასწაულის ჩატარება კოოპერატივებში

ამიერ - კავკასიის კოოპერატივთა კავშირთან მოეწყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გამოიმუშაოს ზომები ოქტომბრის რევოლიუციის საიუბილეო ზეიმის ჩასატარებლად კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

ოქტომბრის დღესასწაულისათვის

ოქტომბრის 10 წლის თავისათვის ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი გამოსცემს დიდ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება მასალები კოოპერატიულ დარგში მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ.

შინამრეწველობის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო ამჟამად აწარმოებს წვრილი მრეწველობის და შინამრეწველობის გამოკვლევას. ამ გამოკვლევის მიზანია წვრილი და შინამრეწველობის სტრუქტურის შესწავლა და პროდუქციის რაოდენობის გამორკვევა. გამოკვლევას აქვს ორი მხარე:

1 ბუდობრივი გამოკვლევა—შეეხება [illegible] ისეთ დარგებს, რომლებიც საერთოდ გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში და კომპაქტური სახით არის წარმოდგენილი ასეთი დარგებია: შალის წარმოება, აგურ-კრამიტის თიხის ჭურჭლის; აბრეშუმის დამუშავება; ხის დეულ საგნების წარმოება, ხილის ხმობა და სხვა

2 გაფანტულ მრეწველობის გამოკვლევა-შეეხება მრეწველობის ისეთ დარგებს, რომლებიც გაფანტული არიან მთელს რესპუბლიკაში თანაბრათ, მაგალითად: სამჭედლოები, სადურგლოები, სახარაზოები; პურის საცხობები; მკერავები, წისქვილები და სხვა სულ 28 დარგი

სოფლად ბუდეებში გამოკვლეული იქნება—2.000 მეურნე, ხოლო გაფანტულ მრეწველობაში—800 ერთეული.

ქალაქებში გამოსაკვლევ ობიექტთა რიცხვი უდრის 700-ს

გამოკვლევა დამთავრდება 1 ოქტომბრისათვის

მუშათა ცხოვრება

ექსკურსია კავკავში

14 აგვისტოს მოეწყო თბილისის საყუდის და მთავარ სახელოსნოების მუშების ექსკურსია კავკავში 64 მუშა გავემგზავრეთ 3 ავტობუსით. ექსკურსიას ზეიმის ხასიათი ჰქონდა.

ქართულ სამხედრო გზამ და განსაკუთრებით დარიალის ხეობამ აღტაცებაში მოიყვანა მუშები. მუშები ამბობდენ — ვინ ვეღირსებოდა ჩვენ ასეთი ექსკურსიით წასვლას ვლადიკავკაში, რომ არ ყოფილიყო მუშათა ხელისუფლებათ

ვლადიკავკავმა თავისი სიფართოვით და მდებარეობით მუშების ყურადღება მიიპყრო. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობა და ეკლესიების სიმრავლემ და ჩვეულებრივმა წირვა-ლოცვებმა გააკვირვა მუშები. მუშებს აინტერესებდათ დაეთვალიერებიათ წარმოება-დაწესებულებანი, მაგრამ უქმეების გამო ეს არ მოხერხდა. ასეთი სასარგებლო ექსკურსიით ისარგებლა მხოლოდ პატარა ნაწილმა თბილისის დეპოს და მთავარ სახელოსნოს მუშებისამ. სასურველია, რომ ერთხელ მაინც კიდევ მოეწყოს მიმდინარე ზაფხულში ასეთი ექსკურსია. მოწყობილ ექსკურსიისათვის კი მადლობის ღირსი არიან როგორც ინიციატორები, ისე სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც მოგვცა ავტობუსებით მგზავრობის საშუალება.

ბერიტიშვილი.

სადგ. ქარელის უფროსის თავხედობა

27 აგვისტოს მატარებელი № 4-ს ბათომისაკენ მიმავალი მემანქანე ბახტაძემ მიმართა სად. ქარელის უფროს ციტაიშვილს. თუ ორთქლმავლისათვის მიეცა წყალი. რადგანაც გორში ვერ აიღო საკმაოდ წყალი. მიუხედავად იმისა, რომ ქარელის სადგურს წყალი ჰქონდა საკმაოდ რეზერვუარში, იმან მაინც უარი განაცხადა მემანქანე ბახტაძე მაინც მოითხოვდა წყალს. ეს იუკადრისა ციტაიშვილმა და დაუღრიალა უხეში სიტყვებით: „გაეთრიე აქედან, მე შენ წყალს არ გაძლევ“-ო. ვეკითხებით ციტაიშვილს—ვისთვის თხოულობდა ბახტაძე წყალს თავისთვის, თუ ორთქლმავლისთვის. და რისთვის შეაჩერა სახალხო მატარებელი № 4 5—10 წამის დაგვიანებით. ასეთი სადგურის უფროსი, უნდა იქნეს მოჰკვიანებული, თორემ ის ზიანს მოუტანს ტრანსპორტს, ვიდრე სარგებლობას.

მუშკორი ძია-ლევან.

ბორჯომის საკასრე ქარხანა

ბორჯომში შავი მდინარის ნაპირზე მოთავსებულია საქართველოს სატყეო ტრესტის საკასრე ქარხანა.

წლიური ნაყოფიერება ამ ქარხნის გათვალისწინებულია 600.000 კომპლექტი საკასრეთ. საკასრეები მზადდება თეთრი წიფელიდან. კასრები იგზავნება ციმბირში საექსპორტო ერბო და კარაქისთვის. დღიდან ქარხნის გახსნისა ე. ი. 1927 წ. 25 თებერვლიდან დღემდე ციმბირში გაგზავნილია 25.000 კომპლექტი კასრი. გარდა ამისა უკვე მზადაა გასაგზავნად კიდევ 50.000 კომპლექტი.

თავის ღირსებით ეს კასრები არ ჩამოუვარდება დანიის კასრებს, რომელიც უწინ შემოჰქონდათ საბჭოთა კავშირში.

ტეხნიკურად ქარხანა მოწყობილია საუკეთესოდ. დადგმულია მანქანები. ლოკომობილს მოჰყავს მოქმედებაში ელექტრო-სადგური, რომელიც ასაზრდოებს ენერგიით 48 მოტორს. სპეციალური საზიდვები ეზიდებიან ცილინდრულ დაზგებიდან ნახერხს და საკასრე მასალას საშრობ განყოფილებაში. მტვრის ამკრეფნი მიიზიდავენ, მკრეფენ სხვადასხვა დაზგებიდან ნახერხს.

დაზგებიდან საკასრე იგზავნება ეზოში სადაც 8—10 დღის განმავლობაში შრება. მაგრამ სპეციალური ფარდულის უქონლობის გამო ბევრი მათგანი ფუჭდება.

ქარხანაში მუშაობს 280 კაცი—მუშა-მოსამსახურენი. ყველანი წევრებია ხეზე-მომუშავეთა კავშირის. საშუალო ხელფასი 45—47 მან.

სპეცტანსაცმელი მიცემული აქვთ მხოლოდ 80 თანამშრომელ ქალს, რომელნიც მუშაობენ კასრების განხარისხებაზე და დაწყობაზე.

სპეცტანსაცმელის მიუცემლობას ადმინისტრაცია ხსნის უსახსრობით.

საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფილია მხოლოდ 10 პროც. მუშებისა, ქარხანა კი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა. მიუხედავად იმისა, რომ გაღებულია 80.000 მან. სახლის ასაგებად, ეს საქმე ჯერ არავის მიერ არ არის წამოწყებული.

დიდი ზედნადები ხარჯებად აწვება წარმოებას ზოგიერთი ცრუ სპეცების შენახვა. მაგ. ექსპედიტორათ ქარხანაში მსახურობს ყოფ. ღვდელი, რომელსაც ამ საქმის არ გაეგება რა. ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიც არის კასრების განხარისხება, მსახურობს ვილაცვა დოხინიდი, რომელიც ხშირად კაი ხარისხის და ღირსების საკასრეს ურევს ნაწუნში.

ა. ხტრიშკი.

რკინის გზის საავადმყოფოს ადმინისტრაციის საყურადღებოდ

ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდება რკინის გზის საავადმყოფოს შესახებ და ექიმების გულგრილობაზე, მაგრამ ყოველივე ეს რჩება „ხმათა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“; ადმინისტრაცია ყურსაც არ იბერტყავს.

საქმე შემდეგშია: თბილისის საყუდის მომუშავე მექოსე ზალდასტანოვი გახდა ავათ. მან მიმართა საავადმყოფოს. ექიმების გასინჯვის შემდეგ იგი იქნა განთავისუფლებული წარმოებიდან და უნდა მოეთავსებინათ საავადმყოფოში ექიმი სწერს საავადმყოფოს, რომ ზალდასტანოვი დააწვინეთ შინაგან განყოფილებაში. ზალდასტანოვს სჭირდება დაწოლა, მაგრამ ოთხდება ამ დღეს. ელაპარაკებიან ზალდასტანოვს, რომ ადგილი არ არისო. მოდის მეორე დღეს, კიდევ არ არის ადგილი. მოდის მესამე დღეს, იმავე პასუხს იღებს. და ასე გრძელდება. ავადმყოფი ზალდასტანოვი იძულებული იყო გამოსულიყო სამუშაოდ.

მეორე მაგალითი: 17 აგვისტოს ავად გახდა მექოსე მახარაძე. მან მოიწვია 27—28—29 აგვისტოს ექიმი. ექიმი კი გამოცხადდა 30-ში როდესაც ექიმს შეეკითხნენ, რატომ შაბათს. კვირას ან ორშაბათს არ მოხვედითო, ექიმმა უპასუხა: კვირა-ორშაბათი დასვენების დღე იყო და ჩვენც ვისვენებდითო.

საყუდის ადმინისტრაცია კი ამ ხალხს თხოულობს წარმოებაზე, რას იტყვის საავადმყოფოს ადმინისტრაცია როდის გახდენ მექოსეები ავად.

მუშკორი შავსოფლელი.

მადლობა ფრთხილ მუშაკებს

28 აგვ., ღამის 11 ს., სად. ნავთლუღი ღებულობდა სად. სოგანლუღიდან ორთქლმავალს № 4407, მაგრამ თანაშემწემ არ. უბრიევმა ცხადად შეამჩნია არაკეთილი მგზავრობა და წინადადება მისცა მის უფროს მემანქანეს მიელო ზომები მარცხის თავიდან ასაცილებლად. რაც იქნა შესრულებული, ბოლოს აღმოჩნდა, რომ მართლაც გზა ყოფილა დაკავებული სხვა მატარებლით. ფხიზელ მუშაკმა გადაარჩინა უბედურებისგან როგორც ორთქლმავალი, აგრეთვე იქვე მდგომი მატარებელი. აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ ხსენებული ორთქლმავალის გუნდი მუშაობდა დაუსვენებლად 24 საათი

მუშკორი ძია—ლევან.

[illegible]ეცნიერება და ტეხნიკა

[illegible]გრაფის გამოგონების 50 წ. თავი

შესრულდა 50 წელი, რაც სახე[illegible]კელმა გამომგონებელმა ედისონმა ფონოგრაფი გამოიგონა. ამის გამო იგი ხნათა შორის ინახულა ფრანგული გაზეთის „მატენის“ კორესპონდენტმა, რომელიც სწერს:

„მე გავემგზავრე ნიუ-ჯერსიში, ქალ. ორანჯში, სადაც მოთავსებულია ედისონის უზარმაზარი ლაბორატორიები და სახელოსნოები. მაშინვე შემიყვანეს დიდებული მეცნიერის სამუშაო კაბინეტში: ის იჯდა უბრალო მაგიდასთან, რომელზედაც მიკროსკოპი იდვა. გარშემო ბოთლებისა და ქილების რაზმები იყო ჩამწკრივებული.

— დიდათ მიხარია, რომ უდიდესი მსოფლიო გაზეთის წარმომადგენელს ვდებულობ, მითხრა ედისონმა… მკითხეთ რაც გნებავთ, სიამოვნებით გიპასუხებთ მაგრამ წერილობით შემეკითხეთ, მიტომ, რომ სამწუხაროდ იმდენად დაყრუებული ვარ, რო სრულიად აღარ მესმის ადამიანის ხმა. მე დავიხარე, ქაღალდის ნაჭრები ავიღე და თვითეულზე თითო კითხვა დავსწერე. ედისონმა ფანქრით წერილობითი პასუხი მომცა.

— ხომ მართალია, რომ ორმოცდაათი წელიწადია მას შემდეგ, რაც პირველი ფონოგრაფი გააკეთეთ?

— დიახ, ეს იყო 12 აგვისტოს 1877 წელს. ერთ ერთ ჩემს მოსამსახურეს დავავალე აპარატი გაეკეთებინა. მან დავალება შეასრულა 30 საათში. თავიდანვე ეს ფონოგრაფი ისეთი კარგი გამოდგა, რომ მისი ძირითადი ელემენტები დღემდე უცვლელნი რჩებიან.

— რით ხსნით ფრანგი ფიზიკოსის შარლ კროს პრეტენზიას, რომ ფონოგრაფის პირველი აღმომჩენი მე ვარო?

— მე შემიძლია მხოლოდ შემდეგი გითხრათ: ფონოგრაფის იდეა 1877 წლის ივლისში ჩამესახა; პირველი აპარატი კი, როგორც მოგახსენეთ, იმავე წლის 12 აგვისტოს გავაკეთებინე; თავის მხრით შარლ კრომ 1877 წლის 30 აპრილს წარუდგინა სამეცნიერო აკადემიას დაბეჭდილი კონვერტი; მაგრამ ეს კონვერტი შარლ კროს მოთხოვნით მხოლოდ იმავე წლის 3 დეკემბერს გახსნეს და მხოლოდ მაშინ გაიგეს მისი შინაარსი. ის ეხებოდა ისეთი მანქანის პროექტს, რომელსაც ადამიანის ხმის გადმოცემა და შენარჩუნება შეეძლო. აქედან სჩანს, რომ ჩემი ფონოგრაფი პრაქტიკულათ განხორციელდა, სანამ შარლ კროს თეორეტიულ ქაღალდს სამეცნიერო აკადემიაში წაიკითხავდნენ. იმავე სამეცნიერო აკადემიაში გრაფმა დიუმონსელმა 1878 წლის 11 მარტს წარადგინა და აღწერა ჩემი აპარატი, მაგრამ მხოლოდ დიდი გაკვირვება და ერთ[illegible]ა სკეპტიციზმიც გამოიწვია.

— გწამთ თუ არა მოლაპარაკე სინემატოგრაფის მომავალი?

— არა. მე თვითონ მოვიგონე ისეთი აპარატი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ხმისა და პერსონაჟების მოძრაობის კომბინაციას მოვახდინოთ ეკრანზე. 30.000 დოლარად მივყიდე იაპონელებს, რომელთაც მილიონები მოიგეს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ვერ შეეჩვევა მოლაპარაკე სინემატოგრაფს.



ტომას ედისონი

— გწამთ თუ არა. რომ კიდევ შეიძლება ფონოგრაფის გაუმჯობესება? რა მომავალი აქვს მას?.

— ვფიქრობ, რომ ფონოგრაფის გაუმჯობესება შეიძლებოდეს. მისი მომავალი კი, ჩემი აზრით, ისევე დიდი იქნება, როგორც რადიოფონიისა.

— რას ფიქრობთ მეცნიერული ჟურნალისტის შესახებ?

— მე ის საუკეთესო მოვლენათ მიმაჩნია დედამიწაზე, მხოლოდ წერილები რაც შეიძლება გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი, ისე, რომ ტექნიკური გამოთქმებს არ გამოვუდგეთ. საჭიროა, რომ ჩვეულებრივმა მკითხველმა ლექსიკონით გაიგოს წერილები.

საუბრის გათავებისთანავე ედისონმა წამოდგა და თავისი ბიბლიოთეკა მაჩვენა, რომელიც ელინების და მეცნიერების საგნეპას სალაროს წარმოადგენს. განსაკუთრებით ბევრია პორტრეტები და ავტოგრაფები.

მეცნიერი-რევოლიუციონერი



ლევ იაკობის ძე შტერნბერგი

14 აგვისტოს გარდაიცვალა ეტნოგრაფიის პროფესორი, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი - კორესპონდენტი **ლევ იაკობის ძე შტერნბერგი.**

ლ. ი. შტერნბერგი იყო გამოჩენილი ნაროდოვოლეცი, „ნაროდნაია ვოლია“-ს უკანასკნელი ყრილობის (1885 წ.) ორგანიზატორი და მონაწილე.

დიდი ხნის განმავლობაში იჯდა ციხეში, რის შემდეგ გადაასახლეს კუნძულ სახალინზე, სადაც შეუდგა ეტნოგრაფიულ გამოკვლევებს გილიაკებსა და აინებს შორის.

გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ შტერნბერგი მუშაობდა სამეცნიერო აკადემიასთან. იგი არის ერთ - ერთი შემქმნელი საკავშირო სამეცნიერო აკადემიასთან არსებულ ეტნოგრაფიისა და ანტროპოლოგიის მუზეუმის.

ვიტამინები და ქვები ორგანიზმში

იაპონელმა მეცნიერმა **ფუიიმაკიმ** მოახდინა ფართო დაკვირვებები ცხოველებზე, რათა გამოერკვია კავშირი ვიტამინებით მდიდარ ან ღარიბ საჭმელით კვებასა და ქვების გაჩენას შორის თირკმელებში და საშარდე ბუშტში. დაკვირვებების შედეგები მეტად საგულისხმოა. საჭმელის ნორმალური შემადგენლობის პირობებში (როცა საჭმელში მოიპოვება ვიტამინები), ქვები არ წარმოიშობა. ასევე შენიშნეს იმ შემთხვევებშიც, როცა საჭმელში არ მოიპოვებოდა B და C ჯგუფის ვიტამინები (ერთად ან ცალკ-ცალკე). როცა საჭმელში არ მოიპოვებოდა A ჯგუფის ვიტამინები, ქვების წარმოშობა არ იქნა შენიშნული მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში, თუ ასეთი ვიტამინ A-ს მოკლებული საჭმელით კვება დიდხანს გრძელდებოდა, ყოველთვის ჩნდებოდა ქვები ჯერ თირკმელებში, შემდეგ კი საშარდე ბუშტში. დაემყარა რა თავის დაკვირვებათა ამ შედეგებს, იაპონელმა მეცნიერმა მოახერხა უკვე გაჩენილი ქვების მოსპობა ცხოველებისათვის A ჯგუფის ვიტამინებით მდიდარი საჭმელის მიცემით. ამ აღმოჩენას, სათანადოდ შემოწმების შედეგ. უდიდესი კლინიკური მნიშვნელობა ექნება.

სამი მოსავალი წელიწადში

ცნობილმა ფრანგმა ბიოლოგმა პროფ. მუნერატიმ, მცენარეთა ზრდის დაჩქარებაზე მუშაობის დროს, მიაღწია პირდაპირ ზღაპრულ შედეგებს. გაძლიერებული განათების გამოყენებით პროფ. მუნერატიმ შესძლო ერთი ზაფხულის განმავლობაში ჭარხლის სამი მოსავლის მოყვანა. რამდენად მიზანშეწონილია პროფ. მუნერატის ცდები, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად გაძლიერებული განათების ღირებულება სჭარბობს მიწის ნაყოფიერების გადიდებით მიღებულ შემოსავალს. ამიტომ მცენარეთა განვითარების დაჩქარება ჯერ-ჯერობით მატერიალურად არახელსაყრელია.

სიკვდილის ხმები

ჰოპკინსის (ნიუ-იორკშია) უნივერსიტეტის პროფესორებმა **ვუდმა** და **ლუმისმა** აცნობეს შეერთებული შტატების სამეცნიერო აკადემიას თავისი შესანიშნავი აღმოჩენის შესახებ. სხეულების ვიბრაციის, განსაკუთრებით იმ რყევების შესწავლის დროს, რომლებიც არ ისმიან მათი სიმაღლის გამო, ვუდმა და ლუმისტმა შესძლეს განსაკუთრებით ხშირი რყევების მიღება, მაგალითად, მათ მიაღწიეს იმას, რომ კვარცის ფირფიტა ირყეოდა 500.000-ჯერ წამში.

ასეთი ფირფიტით წარმოშობილი რყევა ბევრათ სცილდება ამ ხმების მოსმენის შესაძლებლობის ფარგლებს და ხასიათდება მთელ რიგ განსაკუთრებულ ფიზიკური თვისებებით.

ასე მაგალითად, ასეთი, რყევითი მდგომარეობაში მყოფი ფირფიტის ახლო მოთავსებული ყინული თვალის დახამხამებაში იშლება უმცირეს კრისტალებათ, ასაფეთქებელი ნივთიერებები—ფეთქდება, ცხიმი, პარაფინი, და სინდიყი, მოთავსებული წყალში, ფირფიტის რყევის ზეგავლენით, იშლება პატარა ნაწილაკებათ, რომელთა დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება, უფრო მეტი, როცა ფირფიტა რყევითი მდგომარეობაში მოიყვანეს წყალში, რომელშიც რამოდენიმე თევზი იყო მოთავსებული, უკანასკნელები ჩქარა დაიხოცენ. ის გარემოება, რომ ფირფიტის რყევამ გამოიწვია თევზების დახოცვა, აიხსნება იმით, რომ რყევის დროს ორგანიზმში იშლება წითელი ბურთულები და ქსოვილები. აშკარაა, რომ ამერიკელ მეცნიერების აღმოჩენის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უდიდეს მოვლენასთან. რომლის [illegible] მნიშვნელობის გათვალისწინება ჯერ კიდევ ძნელია.

ახალი თუჯი

ლითონის მრეწველობის ტეხნიკა უკვე დიდი ხანია ეძებს საშუალებას თუჯისათვის რაც შეიძლება მეტი სიმაგრის მისაცემად. ეს გარემოება, რომ ჩვეულებრივი თუჯი არ არის მაგარი, აიხსნება იმით, რომ მასში არის ნახშირბადის ერთგვარი რაოდენობა, რომელიც გამდნარი თუჯის გაცივების პროცესში გრაფიტის სახით გამოიყოფა. ამჟამად გერმანიაში ამზადებენ ახალ, უფრო მაგარ თუჯს, რომელსაც უწოდებენ თუჯი.

სამუელ კრომპტონი



ასი წლის წინათ ქ. ბოლტონში კუმბერლენდის საგრაფოში (ინგლისი) სამუელ კრომპტონმა გამოიგონა პირველი სართავი მანქანა.

გაზის საწინააღმდეგო ნიღბები ამერიკაში

ზემო რიგში მარცხნიდან: მღებავები, რომლებიც ნიღაბებს ხმარობენ საღებავების მავნე გავლენის თავიდან ასაცილებლად (განსაკუთრებით საღებავების პულვერიზაციის დროს); **მარჯვნივ** — ახალი სისტემის გაზის ნიღაბი, შემოღებული შეერთებული შტატების არმიაში.

შუაში მარცხნივ: ახალი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი, შემოღებული ამერიკის არმიაში მზვერავ ნაწილებისათვის. ნიღაბი ისეა მოწყობილი, რომ ხელს არ უშლის ტელეფონით ლაპარაკს.

ქვევით მარცხნივ: გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.

ახალი ტიპის ჰიდრო-ელექტრო-დადგმულობანი

ჰიდრო-ელექტრონულ დადგმულობებში ხმარობენ წყლის ტურბინებს, რომლებიც ღრმად არიან მოთავსებული წყალში, რომ გამოიყენონ წყლის დაწოლა. ეს გარემოება საჭიროდ ხდის, რომ წყლის ტურბინების ვერტიკალური ღერძი გრძელი იყოს, რათა ტურბინის მუშაობა გადაეცეს ელექტრონის გენერატორს. ეს უკანასკნელი გარემოება კი თავის მხრივ იწვევს მთელ რიგ უხერხულობას. საჭირო ხდება ღერძის ხშირ ხშირად დათვალიერება და დაშლა. ამიტომ ჰენერატორულ სადგურების შენობებს მაღალს აკეთებენ, რაც აძვირებს შენობის აგებას.

პრაქტიკული ამერიკელები ამ უხერხულობას თავს აღწევენ იმით, რომ გენერატორს ტურბინის დონეზე ათავსებენ, გარეთ გამოჰყავთ კი მხოლოდ ელექტრონის მავთულები.

მაგრამ ამ წესსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. მათ შორის მთავარია—გენერატორისა და ტურბინებისათვის საჭირო მიწის ქვეშ შენობის გაფართოება. ამიტომ ზოგიერთმა ინჟინრებმა შეიმუშავეს მეორე წესი: ჰიდრო-ელექტრონული სადგურის შენობას დაბალს აკეთებენ, მაგრამ სამაგიეროთ სახურავი მოსახსნელია (მოქრაობს პატარა ბორბლებზე). ასეა მოწყობილი ამერიკის ზოგიერთი ჰიდრო-ელექტრო-სადგურები (კოვები—მდ. პირზე, იდაჰოს შტატი; მიტჩელის სადგური—კოსსა რივერზე და სხვ).

ბრძოლა ჩრჩილთან

ზარალი, რომელსაც შალეულის მრეწველობას ყოველწლიურათ აყენებს ჩრჩილი—რამოდენიმე ათეულ მილიონ მანეთით განისაზღვრება. შეერთებულ შტატებში ეს მავნებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდება. საინტენდანტო საწყობები კეფენსონვილში (ამერიკა), რომლებიც ასეულ მილიონ მანეთად ღირებულ შალის საქონელს (არმიის კუთვნილს) შეიცავენ, იმდენათ მოდებული აღმოჩნდა ჩრჩილით, რომ საწყობის მთელს ქონებას დაღუპვა მოელოდა. სამხედრო სამინისტრომ წინადადება მისცა არმიის სამხედრო-ქიმიურ განყოფილებას მიეღო ენერგიული ზომები ამ მავნებლის წინააღმდეგ. სპეციალურმა ქიმიურმა კომისიამ მთელ რიგ ცდების შემდეგ აღიარა, რომ საუკეთესო საშუალებას ჩრჩილის მოსასპობად წარმოადგენს ქლოროციანი, რომლითაც გაჟღენთეს საწყობის ყველა შენობები. გაჟღენთვა გრძელდებოდა ერთი დღე-ღამე. ჩრჩილი და მისი ჩანასახები მოსპობილ იქნა სრული ასი პროცენტით. გაჟღენთვამ სრულიად არ ავნო საწყობებში შენახულ ნივთეულობისათვის.

ვოლტას ხსოვნისათვის

11 სექტემბერს, იტალიაში შესდგება ფიზიკოსების საერთაშორისო კონგრესი ალექსანდრე ვოლტას ხსოვნის აღსანიშნავად გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო. კრილობა შესდგება ქ. კომოში, სადაც იგი მეცნიერი დაიბადა და გარდაიცვალა. კომოს ტბის პირას დადგმულია ძეგლი წარწერით: „ვოლტა—ესოდენ დიდი სახელისათვის ქება მეტია“.

გამოკიდებული რკინის გზა

გერმანიის გამომგონებელმა ინჟ. კრუბენბერგმა შეიმუშავა გამოკიდებული რკინისგზის ახალი პროექტი. რელსებს ამ გზისათვის ჰკიდებენ რკინა-ბეტონის ბოძებზე, რომლებიც დადგმული იქნება განსაზღვრულ მანძილზე ერთმანეთისაგან. ამ გამოკიდებული რკინის გზის ვაგონებს ექნებათ სიგარის მსგავსი ფორმა და იმოძრავებენ პროპელერის საშუალებით. მატარებლის სისწრაფე იქნება 200 კილომეტრი საათში. პროექტის ავტორმა გამოიანგარიშა, რომ მისი გზა იქნება არა მარტო მიმოსვლის უსწრაფესი საშუალება, არამედ აგრეთვე ყველაზე იაფიც.

ლითონების შედარებითი სიმაგრე

როგორც უკანასკნელი გამოკვლევები ამტკიცებენ, ირიდიუმი, რომელიც პლატინის ჯგუფს ეკუთვნის, ყველაზე მაგარია ლითონებს შორის. მოლიბდენს სიმაგრით უჭირავს მეორე ადგილი, ვოლფრამს კი მესამე. ფართოდ გავრცელებულ ლითონებიდან ყველაზე მაგარია ნიკელი, რომელსაც მეხუთე ადგილი უჭირავს. რკინას უჭირავს მეათე ადგილი, სპილენძს—მეთერთმეტე, ვერცხლს—მეთოთხმეტე, ოქროს—მეთვრამეტე, ყველაზე რბილი ლითონია ტყვია, რომელსაც უჭირავს მეოცდაოთხე ადგილი და, დაბოლოს, ლითონი ფალიუმი (ალიუმინის ჯგუფიდან), რომელიც თავისი ფიზიკური თვისებები წააგავს ტყვიას.

ახალი პარაშუტი

პარაშიუტების არსებული სისტემების მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ისინი ხშირად, საჭირო მომენტში, არ იხსნებიან, რასაც შედეგად მოსდევს მფრინავის დაღუპვა.

ინგლისში შემუშავებულია პარაშიუტის ახალი კონსტრუქცია, სრულიად თავისუფალი ამ ნაკლისაგან. მთელი პარაშიუტი, რომელიც დამზადებულია რეზინის მატერიიდან, იდება ლითონის ცილინდრში, რომელიც მოთავსებულია აეროპლანზე. პარაშიუტი მიმაგრებულია სპეციალურ ქამარზე, რომელიც წელზე არტყია მფრინავს, აეროპლანის დაზიანების დროს, მფრინავი ხტება თავის საკანიდან ამ დროს პარაშიუტი თავისუფლდება ცილინდრიდან. განსაკუთრებული მოწყობილობის საშუალებით პარაშიუტი აუცილებლად იხსნება და მფრინავი უვნებლად ეშვება მიწაზე.

ხელოვნური აბრეშუმი

წიწვიანი ხეების კანიდან

შეერთებულ შტატებში აღმოაჩინეს სეკვოიას (უზარმაზარი წიწვიანი ხეები, რომელიც ხშირ ტყეებათ ფარავს შეერთ. შტ. დასავლეთ შტატებს) კანის ხელოვნურ აბრეშუმად გადამუშავების წესი. ამ აღმოჩენის წყალობით, შესაძლებელი ხდება სახერხ ქარხნებში დარჩენილ ყველა უვარგის ხე-ტყის ნარჩენის გამოყენება. ახალი პროდუქტი სავსებით გამოსადეგია ხელოვნური აბრეშუმის დასამზადებლად.

ცეცხლისმქრობელი გემი



ამერიკაში ააგეს სპეციალური გემი ნავთსადგურებში და სანაპირო ქალაქებში ცეცხლის საქრობათ

სურათზე — პირველი თბომავალი ცეცხლის მქრობელი გემი ჰაუსტონის ნავთსადგურში (ამერიკა).

თბილისის პროლეტარიატი

შემომაქვს სადგ. ჭიათურის მოსამსახურეებს შორის სურვილისამებრ შეკრებილი 58 მან. 60 კაპ. „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად.

ჭიათურის სადგ. უფროსი **მიხ. ნიკოლაიშვილი.**

* * *

ამხ. არტაშ ონგოლუთიანის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად **ხუთი მანეთი** და ვიწვევ სვირიდან შემდეგ ამხანაგებს: **სახ. მოსამართლეს გიორგი შარაშიძეს, ისიდორე ლვანიძეს, ამბერკი ჯულელს, ნიკოლოზ კაკაურიძეს და მიშა ჩიტორელიძეს.**

გიორგი კაპანაძე.

* * *

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით შემომაქვს **სამი მან.** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად.

მარო ნანეიშვილი.

* * *

შემომაქვს სადგ. ოზურგეთის რკ. გზ. კომუჯრედის სახელით ოცდა ერთი მანეთი (21 მან.) და ვიწვევთ შემდეგ კომუჯრედებს: ქალ. ოზურგეთის ქარხნის კომუჯრედს, ლაშეს კომუჯრედს, სამაზრო მილიციის და ბოხვაურის კომუჯრედებს (გურია).

კომუჯრედის მდივ. **ალფესი ბურჭულაძე.**

* * *

ექ. იოსებ ჭიჭინაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად ხუთი მან. (5 მან.) და ვიწვევ ჩხარის სახ. მოსამართლეს დანიელ კუპატაძეს და მოქ. ვასილ სიმ. აბესაძეს.

გრ. იმნელი.

* * *

შემომაქვს ავჭალის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეების სახელით თავდაცვის კვირეულის სასარგებლოდ დამატებით (წინეთ შეტანილი იყო 71 მან. 25 კაპ.) **8 მანეთი 75 კაპ.**

ავჭალის წყალ. ადგილკომის თავმჯდომარე **ი. ბრამიძე.**

* * *

ასურეთის თემის მშრომელ გლეხობას ადგ. მუშა - მოსამსახურეებთან ერთად თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოაქვს **205 მანეთი და 29 კაპ.**

თემ-აღმასკომის თავმჯდომარე **სევერიანე კეკელიძე.**

* * *

ექიმ ი. ჭიჭინაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **ხუთი მანეთი** და ვიწვევ ექიმებს: **ნიკოლოზ ყიფშიძეს, სილოვან ნიკურაძეს და თადეოს მამალაძეს.**

ექ. ი. მჭედლიშვილი.

* * *

ამხ. შალიკო მოდებაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდში შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან: **არსენ გოგეშვილს და კაპიტონ აბესაძეს;** სოფ. ბანოჯიდან: **ირადიონ ბალანჩივაძეს,** ლეჩხუმიდან: **პარმენ ფრუიძეს და დათიკო ლიპარტელიანს,** თბილ. **მიშა ბახტაძეს, გრამიტონ სვანიძეს, ბესარიონ ულენტს, ქეთუშა ულენტს, ბიქტორ ცაგურიას, სერგო მაჩიტაძეს, იოსებ ბერიშვილს;** ექიმებს: **დამიან სვანიძეს, პანტელეიმონ ოდიშარიას, დათიკო წიწვიძეს და კირილე პერანიძეს.**

აპალონ გოგსაძე.

* * *

დღეს შემოვიდა 308—64
სულ შემოვიდა 7.407—76 და ერთი მაჯის ოქროს საათი.

მანუფაქტურის ბაზარზე

მდგომარეობა მანუფაქტურის ბაზარზე. — საფეიქრო სინდიკატი და კოოპერაცია. — ბამბის, შალისა და სელის ქსოვილები. — ტრიკოტაჟი. — როგორ იზრდება მანუფაქტურის შემოზიდვა. — ზედნადები ხარჯები მცირდება. — შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივა გადამეტებითი შესრულდა.

მანუფაქტურის შემოტანა ამიერ-კავკასიაში მატულობს, მაგრამ ამასთანავე თანდათანობით იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილებაც მანუფაქტურაზე. ამჟამად მოთხოვნილებამ გადააჭარბა ომის წინადროის ნორმებსაც. ეს იმას მოწმობს, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა განაგრძობს ზრდას. ისმება კითხვა: რომელი გაუსწრებს — შემოტანის ზრდა, თუ მოხმარების ზრდა.

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამ.-კავკასიის კანტორის გამგე ამხ. ზადოშევმა განაცხადა, რომ სწორედ ეს შეჯიბრება შემოტანისა და მოთხოვნილების შორის განსაზღვრავს მდგომარეობას მანუფაქტურის ბაზარზე.

საკავშირო საფეიქრო სინდიკატის მუშაობას ამიერ-კავკასიაში რამდენადმე ამსუბუქებს, ის, რომ კოოპერაცია ეხლა სინდიკატის დაუხმარებლად ღებულობს მანუფაქტურას ცენტრიდან. კოოპერაციის მიერ საქონლის შემოტანა მიმდინარე წლის პირველ კვარტალიდან დაწყებული თანდათანობით იზრდება, განსაკუთრებით გაიზარდა ე. წ. დეფიციტიანი საქონლის შემოტანა.

საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის კანტორა ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ ახალი სამეურნეო წლის პირველი კვარტალისათვის გააძლიეროს საფეიქრო საქონლის შემოტანა. აუცილებელია სოფლის მომარაგება საფეიქრო ნაწარმოებით, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც სახ.-სამეურნეო პროდუქტების დამზადება სწარმოებს. მებამბეობის რაიონები ცალკე უნდა გამოიყოს და მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ კერძო დამმზადებელი გაბატონდება. გარდა ამისა, საჭიროა წინასწარ გამოირკვეს საბიუჯეტო ორგანიზაციების — განათლების სახ. კომისარიატის, ჯანსახკომის, მილიციისა და სხვა საჭიროება, რომ მათმა მოთხოვნილებამ არ დაარღვიოს წონასწორობა საფეიქრო ბაზარზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებით რამდენიმეთ შევანელებთ ბაზარზე შექმნილ მდგომარეობის სიმწვავეს.

ჯერ კიდევ ბევრია პესიმისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ამიერ-კავკასიაში ცოტა საქონელი შემოაქვთ“, რომ „ა.-კავკასიას ივიწყებენ“. მაგრამ ციფრები სულ სხვას გვეუბნებიან: თუ 1923—24 წ. საქონლის შემოტანას მივიღებთ 100 ვაგონათ, მაშინ 1924—25 წ. იქნება 214,4; 1925—26 წელში—294 და 1926—27 წლის სამი კვარტალისათვის—264 ვაგონი. ამ ციფრების პროცენტებზე გადატანით მივიღებთ, რომ 1923—24 წ. 100 პროცენტის მაგიერ ეხლა გვაქვს 350 პროც. საქონლის შემოტანა ამიერ-კავკასიაში შეუჩერებლივ იზრდება.

დაბოლოს — უკანასკნელი საკითხი ფასების დაკლების შესახებ. ჩვენ არ შევჩერებულვართ მოპოვებულ მიღწევებზე და განვაგრძობთ ჩვენი სავაჭრო და ზედნადები ხარჯების შემცირებას. ბამბის ქსოვილებზე ზედნადები ხარჯები 10,8 პროცენტიდან დაუკლით 9,18 პროცენტამდე. მიუხედავად იმისა, რომ ფართლის ღირებულება 6-დან 6,46 პროცენტამდე გაიზარდა. შალის ქსოვილებზე ზედნადები ხარჯები შევამცირეთ 7,75 პროცენტიდან 6,82 პროცენტამდე, სელის ქსოვილებზე 7,50 პროცენტიდან 6,62 პროცენტამდე.

ამით ჩვენ არ დავკმაყოფილდებით. უნდა ითქვას, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოთხოვნილება ზედნადებ და სავაჭრო ხარჯებში 15 პროც. დაკლების შესახებ, ჩვენ მიერ უკვე გადამეტებულადაა შესრულებული.

ბევრი რამეს გაკეთება შეიძლება თბილისის აპარატის რაციონალიზაციის დარგში. თუ 1923—24 წ. ზედნადები ხარჯები (ტრანსპორტის გამოკლებით) ბრუნვის 2,15 პრ. უდრიდა, ეხლა მესამე კვარტალში ეს ხარჯები 0,62 პროც. უდრის.

ბიტუმის მადნები

პროფ. სახაროვის დასკვნა

ნატანების ბიტუმის შესახებ

თბილისში ნატანებიდან დაბრუნდა პროფ. პ. სახაროვი, რომელიც მოწვეულია ლენინგრადიდან ბიტუმის მადნების გამოსაკვლევად. პროფ. სახაროვი ამ ერთი კვირის წინად გაემგზავრა ნატანების რაიონში, სადაც მოიპოვება ბიტუმის საუკეთესო ხარისხის მადნები.

ნატანებიდან დაბრუნების შემდეგ პროფ სახაროვმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ ნატანების რაიონში ჩატარებულმა მუშაობამ სავსებით დაადასტურა მის მიერ გაზ. „კომუნისტი“-ს ფურცლებზე ნატანების ბატუმის შესახებ გამოთქმული აზრი.

პროფ. სახაროვს დაუთვალიერებია ბიტუმების ყველა საბუდოები და დარწმუნებულა, რომ ნატანების ბიტუმები წარმოადგენენ მეტად იშვიათ სიმდიდრეს მთელი საბჭოთა კავშირისათვის და მათი დაუყოვნებლივ დამუშავება სავსებით მიზანშეწონილია.

თათბირი ს. მ. უ. ს.-ში

გუშინ საღამოს ს. მ. უ. საბჭოში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელმაც მოისმინა პროფ. სახაროვის ცნობა ნატანების რაიონში ბიტუმის მადნების გამოკვლევის შედეგების შესახებ.

თათბირმა დაადგინა, რომ ბიტუმის საქარხნო წესით დამუშავება დაწყებულ იქნეს ნატანების ახლო, როგორც უფრო ხელსაყრელ ადგილას.

ამასთანავე საჭიროთ იქნა ცნობილი, რომ დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული ნატანების მადნებიდან ბიტუმის საცდელი გადამუშავება სხვა და სხვა წესით, რათა საბოლოოდ გამოირკვეს თუ რა მიზნებისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება ნატანების ბიტუმის გამოყენება.

ცენზიანი მრეწველობა

ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 219 ცენზიანი სამრეწველო ერთეული, რომლებშიაც ჩაბმულია 12.441 მუშა-ხელი. აქედან 25 წარმოება არის კერძო, დანარჩენი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების გამგებლობაშია. წინა საანგარიშო წელთან შედარებით მუშების რიცხვი გაიზარდა 19 პროცენტით ხოლო სამრეწველო დაწესებულებები 8 პროცენტით, რამაც დიდი გავლენა იქონია უმუშევრობის შემცირებაზე. ა.-კავკასიის ფედერაციაში საქართველოს ცენზიან მრეწველობას მუშების რაოდენობის და პროდუქციის ნაყოფიერების მხრივ უჭირავს მეორე ადგილი, პირველი ადგილი უჭირავს აზერბეიჯანს.

განზრახულია, მომავალ წელში ცენზიან მრეწველობის გაფართოება ახალ ქარხნების გახსნით, რაც თითქმის ბოლოს მოუღებს უმუშევრობას პროდუქციის დამზადების საქმეში. ამ მიზნით თბილისში უკვე შენდება მაუდის ფაბრიკა, ხის დამამუშავებელი ქარხანა, შუშის ქარხანა, დასავლეთ საქართველოში ქაღალდის ქარხანა, მუშაობაა დაწყებული ნავთიან ადგილების ექსპლოატაციისათვის და სხ.

ჯიშიანი ცხვრები

მეცხვარეობის საქმის გასაუმჯობესებლად შემდგარმა საუწყებათაშორისო კომისიამ გადასწყვიტა საქართველოში დაარსებული იქნას ცხვრის ჯიშის გამაუმჯობესებელი და მომშენებელი სადგური.

ერთი სადგური იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ხოლო დანარჩენი ორი ადგილობრივი მნიშვნელობის. ცხვრის მომშენებელი სადგურებისათვის ადგილების ამორჩევა მინდობილი აქვს ცალკე კომისიას. ახლო ხანში მიღებული იქნება ინგლისური ჯიშის ცხვრები აღნიშნული სადგურებისათვის.

ახალი სესხი

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის სავალიუტო განყოფილების კონსულტანტი ამხ. **აბრამსონი,** რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს საქართველოში ახალი საინდუსტრიალიზაციო სესხის ობლიგაციების საქმე.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ამხ. აბრამსონმა ამ ახალი სესხის მნიშვნელობის შესახებ გადასცა შემდეგი: ამ სესხის მიზანია საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებისათვის ხელისშეწყობა. ამ სესხიდან შეკრებილი თანხა სავსებით მოხმარდება ახალ ინდუსტრიალურ წარმოებების მოწყობას. ამ სესხის ობლიგაციები სულ გამოშვებული იქნება 200 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ობლიგაციების შემძენთათვის დაწესებულია შემდეგი შეღავათები: კოლექტიურათ ხელისმომწერს ობლიგაციები მიეცემათ 7 თვის ვადით, ინდივიდუალური ხელისმომწერლებს კი 4 თვით.

ამ სესხის ობლიგაციების რეალიზაცია განსაზღვრული იყო 1 ოქტომბრიდან, მაგრამ ვინაიდან მთელი კავშირში დიდი ინტერესი გამოიჩინა მოსახლეობამ სესხისადმი, გადაწყვეტილია რეალიზაცია დავიწყოთ 5 სექტემბერში. აღსანიშნავია, რომ იმ პირებს, რომლებიც ობლიგაციებს შეიძენენ სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე, მიეცემათ პროცენტიული შეღავათი. დარწმუნებული ვართ — განაცხადა დაბოლოს ამხ. აბრამსონმა, რომ თბილისის მშრომელი მოსახლეობა, რომელსაც აქვს ინდუსტრიალიზაციის ერთი თვალსაჩინო მიღწევა — ზაჰესი, შეიძენს ობლიგაციებს და ამით საშუალებას მისცემს ხელისუფლებას ააგოს ახალი ზაჰესები.

საქართველოს კრეოზოტი

კრეოზოტის (საშუალება ტუბერკულოზის წინააღმდეგ) მთელ იმ რაოდენობას, რაც საჭირო იყო საბჭოთა კავშირისათვის, დღემდე იწერდენ საზღვარგარეთიდან.

ამჟამად საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი, საბჭ. კავშირის მთავარ ქიმიურ კომიტეტის, ა.-კ. საგეგმო კომისიის და სხვ. გადაწყვეტილების თანახმად, იწყებს ბორჯომში ხის ხმელად გამომხდელ ქარხნის აგებას. ამ ქარხნის განსაკუთრებით ძვირფასი ნაწარმოები იქნება კრეოზოტი.

ამ საქმის შესახებ საქ. სატყეო ტრესტის ინჟენერმა-ქიმიკოსმა, ბორჯომის ქარხნის მომავალმა მშენებელმა **ტუროვეცმა** ა.-კ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა შემდეგი:

„ისეთი ქარხნის აგებას, რომელიც, პირველად საბჭოთა კავშირში, დაამზადებს კრეოზოტს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ საბჭოთა კავშირისათვის, რომლისთვისაც წლიურად საჭიროა 200.000 კილოგრამი კრეოზოტი.

ბორჯომის ქარხანა შესძლებს დააკმაყოფილოს ამ მოთხოვნილების მხოლოდ მეოთხედი. საწარმოო პროგრამის მიხედვით ის დაამზადებს 50.000 კილოგრამ კრეოზოტს წლიურად.

როგორც კი ამუშავდება ბორჯომის ქარხანა, დაუყოვნებლივ დაიწყება კიდევ ორი ასეთი ქარხნის აგება ბორჯომში და კახეთში. ეს ქარხნები ორჯერ უფრო დიდი იქნებიან ბორჯომის ქარხანაზე და დააკმაყოფილებენ მთელ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას კრეოზოტზე. ბორჯომი და კახეთი მიტომ არიან არჩეული ქარხნების ასაგებად, რომ მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ აქ არის რცხილის დიდი ტყეები. კრეოზოტის მრეწველობისათვის კი საჭიროა სწორედ რცხილა.

კრეოზოტის გარდა ბორჯომის ქარხანა დაამზადებს მთელი რიგ სხვა ქიმიურ პროდუქტებსაც.

ქარხნის მთელი მოწყობილობა საქ. სატყეო ტრესტის მიერ შეკვეთილია საზღვარგარეთ და მალე მიღებული იქნება თბილისში. მოწყობილობის შეძენა დაჯდა 300.000 მანეთი, ქარხნის აგება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაჯდება 700.000 მანეთი. პირველ წელს ქარხანა დაფარავს მთელ საამშენებლო ხარჯებს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მომავალ წლიდან ქარხანა დაიწყებს მუშაობას.

სახკომსაბჭოში

სამთო ზედამხედველობა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახკომისარიატის კოლეგიის დადგენილება—სამთო სამუშაოთა უშიშროების ზედამხედველობის შრომის სახკომისარიატის ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ.

5.000 მან. ხურებ-ჩოხატაურის გზატკეცილისთვის

სახკომსაბჭოს დადგენილებით, წინადადება მიეცა საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს გაიღოს თავის სახსრებიდან ხურებ-ჩოხატა გზატკეცილის საჭიროებისათვის 5.000 მან. აღნიშნული თანხა გადაეცემა ხურებ-ჩოხატაურის გზატკეცილის საამშენებლო კომიტეტს.

სესხის ჩამოწერა

სახკომსაბჭოს დადგენილებით, ჩამოეწერა საქართველოს სახელმწიფო მამულების ტრესტს მისთვის ფილოქსერასთან ბრძოლისათვის 1924 წელში სესხის სახით მიცემული 31.500 მან.

ვადის გაგრძელება

ქუთაისის მაუდის ქარხნის დასამთავრებლად „საპონ ზეთის“ ტრესტის მიერ 1926 წელში სესხის სახით მიღებულ 50.000 მან. გადახდის ვადა, სახკომსაბჭოს დადგენილებით ტრესტს გაუგრძელდა ერთი წლით.

საიმპორტო გეგმა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ვაჭრობის სახკომისარიატს—საჩქაროდ წარუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება საქართველოს 1927 წლის საიმპორტო გეგმის შედგენის წესის და მსვლელობის შესახებ და აგრეთვე 1926—27 წლის საიმპორტო გეგმის შესრულების შესახებ.

წყალსადენი და კანალიზაცია აბასთუმანში

სახკომსაბჭოს დადგენილებით, აბასთუმანში წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობის საკითხის შესწავლა დაევალა სპეციალურ კომისიას ამხ. მამალაძის (თავმჯდომარე), ალშიბაიას და ყამარაულის შემადგენლობით.

აჭარისტანის სახკომსაბჭოში

აჭარისტანის სახკომსაბჭოს დადგენილებით, აჭარისტანის მაზრებში და შორეულ სოფლებში აწყობენ რადიო - მიმღებ აპარატებს. ამ საქმის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატს მიეცა წინადადება გაიღოს სათანადო თანხა.

ერთ - დროული გადასახადი კურორტებზე

აჭარისტანის სახკომსაბჭომ დაადგინა — აჭარისტანის კურორტებზე ჩამოსულ მოქალაქეებზე შემოღებულ იქნეს ერთდროული გადასახადი შემდეგი განაკვეთით: მუშა - მოსამსახურეთათვის: ერთ სულზე — 50 კაპ., სამ სულზე მეტზე 2 მან. კერძო პირთათვის: ერთ სულზე — 1 მან., სამ სულზე მეტზე — 4 მან.

სასაკლაო ქობულეთში

აჭარისტანის სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო ქობულეთში სასაკლაოს აგება, რა მიზნითაც ქობულეთის აღმასკომს გადაეცა 1.570 მან. ადგილი სასაკლაოს ასაგებათ არჩეული იქნება ქობულეთის აღმასკომის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის შეთანხმებით.

გლეხთა ექსკურსია

თბილისში ჩამოვიდა ექსკურსანტ-გლეხების 3 ჯგუფი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან. ჯგუფებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენელნი და აგრონომები. მათი ჩამოსვლის მიზანია გაეცნონ მიწადმოქმედების კომისარიატის თბილისში არსებულ საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებებს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს. ამ ჯგუფებს მიწსახკომის სპეციალისტები წაუკითხავენ მათთვის საინტერესო თემაზე ლექცია-მოხსენებებს და მისცემენ ახსნა-განმარტებებს სასოფლო - მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

შრომის სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენცია

(მე-2 და მე-3 სხდომები)

კონფერენციამ ჯერ კიდევ პირველ სხდომაზე საჭიროდ სცნო დამახასიათებელ მაზრების ინსტრუქტორთა მოხსენებების მოსმენა.

ასეთ მაზრებათ ცნობილ იქნენ, სენაკის, ოზურგეთის და თელავის მაზრები, ამას გარდა, კონფერენციამ დაადგინა ცალკე მოხსენების მოსმენა თბილისიდან.

გუშინ დილისა და საღამოს სხდომებზე მოსმენილ იქნა სენაკის მაზრის ინსტრუქტორის—ბეს წიფურიას, ოზურგეთის მაზრის ინსტრუქტორის—**სტ. ნიკოლაიშვილის** და თელავის მაზრის იესტრუქტორის **დავ. ჩხეიძის** მოხსენებები.

მომხსენებლები შეეხენ მაზრებში სწავლა-მეცადინეობის და ბავშთა აღზრდის ყველა მხარეებს და საზოგადოებრივ-საჩვენებელ მუშაობას.

ყურადღებას, ეს არის მოწაფე ახალგაზრდობის უმთავრესი, რაც ამ მოხსენებებში იქცევს უაღრესი ინიციატივა საზოგადოებრივ - საჩვენებელ მუშაობაში. ამასთანავე აღსანიშნავია ადგილობრივი ხელისუფლების და გლეხობის დაინტერესება ამ მუშაობით და მისდამი გამოხმაურება.

მომხსენებლები აღნიშნავდენ, რომ მოწაფე ახალგაზრდობა მონაწილეობას იღებს ტყეების დაცვის და გაშენების, ბოსტნების და ბაღებს გაშენება-მოვლის საქმეში, სანიტარულ მუშაობაში, მხარეთა შესწავლაში და სხვა. ყოველივე ამას უდიდესი ნაყოფი დასარგებლობა მოაქვს.

სკოლებში სწავლების საკითხის გაშუქების დროს აღნიშნულ იქნა, რომ ამ მხრივ მრავალ დეფექტებს აქვს ადგილი ადგილებზე და ეს აიხსნება უმეტესად მასწავლებლების გამოუცდელობით და უხეიხხნ ხხძ —ხხხრხოჟხ ლობით და უხეირო სახელმძღვანელოებით.

მომხსენებლებს მიეცათ მთელი რიგი შეკითხვები. მესამე სხდომაზე დასრულდა ამ მაზრების ინსტრუქტორთა მოხსენებები.

მოხსენება თბილისიდან მოსმენილ იქნება დღეს დილის სხდომაზე.

ქუთაისი

საავადმყოფოს გაფართოება

აღმასკომმა გადასწყვიტა გაუკეთოს საფუძვლიანი რემონტი და გააფართოოს ქალაქის პირველი საავადმყოფო.

საძოვრები

ქუთაისის აღმასკომის პრეზიდიუმმა სახკომსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის მაზრაში არსებულ საძოვრების ქუთ. აღმასკომის განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

მუშათა ბინების აგება

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი რიონჰესის ყველა მთავარ სამუშაო ადგილებზე აგებს მუშების საცხოვრებელ ბინებს.

ტრაქტორი

მაღლაკის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს შეიძინონ ტრაქტორი.

კეთილმოწყობა

ქუთ. აღმასკომმა გადასწყვიტა განაპირა უბნებში მოკირწყლოს ქუჩები.

სახელგამის გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში—სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი:

ბანევიჩი და ფადდეევი—სავალდებულო სამხედრო სამსახური (სამხედრო ბიბლიოთეკა) გვ. 24, ფ. 20 კ., **ს. იაშვილი**—მსოფლიო გეოგრაფია მეორე ნაწილი. (ევროპა; აზია; აფრიკა და ავსტრალია) გვ. 248+8 რუკა, ფ. 1 მ. 50 კ., **ს. გორგაძე**—ჩვენი ძველი მწერლობა პარალელებით ქართული, ხალხური პოეზიიდან. (სახელმძღვანელო) გვ. 336, ფ. 2 მ. 50 კ.; **პროფ. ტარასოვის** საზოგადოებათმეცნიერება ტ. 1. ნ. 2. (ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპასა, რუსეთსა და საქართველოში) დამხმარე წიგნი 8 და 9 ჯგ. გვ. 162, ფ. 1 მ. 20 კ., სოციალურ აღზრდის მთავარსამმართველოს სალიტერ. სამხატვრო სექციის რედაქციით გამოვიდა შემდეგი საბავშვო წიგნები: 1) თურდოსპირელის მოთხრობები: „ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე“—30 კ., 2) ელ. პოლუმორდვინოვის „სიცოცხლე ცეცხლში“—60 კ., 3) კონ. ლორთქიფანიძის „ახალი ცხოვრებისაკენ“—ფ. 30 კ.,

ამხ. სტალინი

ვოლოგდის გუბერნ. გადასახლების დროს

ვოლოგდის სახ. არქივის მიერ აღმოჩენილი ახალი დოკუმენტების მიხედვით

ამ რამდენიმე ხნის წინად ვოლოგდის საგუბერნიო არხივმა უოფ. ჟანდარმთა სამმართველოს ქაღალდებში აღმოაჩინა ახალი საქმეები ამხ. სტალინის ვოლოგდაში ყოფნის შესახებ. ეს მასალები ფრიად საინტერესოა; დოკუმენტების მთელი დასტა თვალსაჩინოდ ნათელყოფს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც ადგილობრივი ოხრანკა იჩენდა ამხ. სტალინის მიერ გადადგმულ თითეულ ნაბიჯისადმი და იმ შიშს, რომელსაც გრძნობდენ ჟანდარმერიის ზედამხედველები რევოლიუციონური მოძრაობის ზრდის წინაშე, იმ ს. - დ. ჯგუფების წინაშე, რომლებსაც აწყობდა ამხ. სტალინი.

აშკარა შიში გამოსჭვივის ჟანდარმთა პოლკოვნიკის მოხსენებაში ამხ. სტალინ - ჯუღაშვილის პიროვნების შესახებ. აი ის სტრიქონები, რომლებითაც თავდება ეს მოხსენება:

„...ჩემს განკარგულებაშია ცნობები, რომ ჯუღაშვილი არის ფრიად სერიოზული პარტიული მუშაკი და ორგანიზატორი, რომელიც მიზნათ ისახავს ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებას ს.-დ. პლატფორმის თანამგრძნობი ყველა პირების“.

1905 წ. ამხ. სტალინი დაპატიმრებულ იქნა ბათომში. მან იქვე მოახერხა ციხიდან გაქცევა. 1906 - 1907 წ. არალეგალურად ცხოვრობდა ბათომში. დააპატიმრეს და 2 წლით გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში (1908 წ. 28 სექტემბერს). გადასახლების ადგილად დანიშნულ იქნა სოლვიჩეგოდსკი, საიდანაც 1909 წ. სტალინი გაიპარა. 1910 წ. 24 მარტს სტალინი დააპატიმრეს ბაქოში და უკანვე გაგზავნეს სოლვიჩეგოდსკში. 1911 წ. 7 ივლისს გადასახლების ვადა გათავდა და ამხ. სტალინი დაბრუნდა ვოლოგდაში, სადაც მას ნება დართეს ეცხოვრა 2 თვე.

მოსკოვის ოხრანკა, რომელმაც დამოუკიდებლად მიიღო ცნობა ვოლოგდაში ს.-დ. პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის, „კობას“ ფსევდონიმით ცნობილ პირის ჩასვლის შესახებ, ისწრაფვის გამოარკვიოს მისი ვინაობა და შემდეგ წერილით მიმართავს ვოლოგდის ოხრანკას:

1911 წ. 17 აგვისტო. № 260990. სრულიად საიდუმლოთ.

პირადი.

თანახმად ჩემდამი რწმუნებულ განყოფილებაში საიდუმლო აგენტურისაგან მიღებულ და სარწმუნო ცნობებისა, ქ. ვოლოგდაში ამჟამად ცხოვრობს რუსეთის სოციალ დემოკრატიული **პარტიის აქტიური და ფრიად სერიოზული მოღვაწე, რომელიც ატარებს „კობას“ ფსევდონიმს და იხდის თუ უკვე მოიხადა ადმინისტრატიული გადასახლების ვადა:**

ხსენებულმა „კობამ“ უშუალო კავშირი დაამყარა საზღვარგარეთის პარტიულ ცენტრთან და ამჟამად უკვე მიიღო წინადადება ჩავიდეს უცხოეთში შესაფერ ინსტრუქციების მისაღებად და ც. კ. მოგზაურ აგენტის მოვალეობის შესასრულებლად.

ხსენებულ „კობასთან“ კავშირისათვის არსებობს შემდეგი მისამართი: ქალ. ვოლოგდა, იშმეტიატოვის მაღაზია, პეტრე ალექსის ძე ჩიჟიკოვს, ამავე მისამართით შეიძლება გადაგზავნილ იქნეს „კობას“ საგზაო ხარჯებისათვის საჭირო ფულადი საშუალებები.

ერთი და იგივე პირია თუ **არა** „კობა“ და „ჩიჟიკოვი“, ამის გამორკვევა შეუძლებელი შეიქნა.

მოვახსენებ რა ზემოაღნიშნულს თქვენს მაღალკეთილშობილებას ცნობისათვის, „კობას“ პიროვნების გამორკვევის შემთხვევაში გთხოვთ ყველა მასალები, **რომლებიც** მის შესახებ მოიპოვება თქვენს განკარგულებაში, და თუ მოხერხდება — ფოტოგრაფიაც, გადმოგვიგზავნოთ.

ალიშნული ცნობები, მიღებულნი ნაწილობრივ არალეგალურ მიწერ - მოწერასთან ახლო მდგომ საიდუმლო აგენტურისაგან, ნაწილობრივ კი — „ფრიად საიდუმლო წყაროდან“, გამოყენებული უნდა იქნან უდიდესი სიფრთხილით და არავითარ შემთხვევაში გავრცელებული არ უნდა იქნან.

პოლკოვნიკი (ხელმოწერილია)

მაგრამ ვოლოგდის ოხრანკა უკვე ადევნებდა თვალყურს ამხ. სტალინს და პასუხი დაუყონებლივ იგზავნება დეპეშით:

„№ 260990-ზე „კობა“ ყოფ. გადასახლებული, იოსებ ბესარიონისძე ჯუღაშვილი, ეს ლეკი, სახელწოდება კავკასიელი. კავშირი აქვს ნოქარ ჩიჟიკოვთან — სახელი კუზნეც. გამგზავრების დროს ჯუღაშვილს თვალყურს ადევნებენ. დაწვრილებით ფოსტით 458 ცნობას ხელს წერს.

პოლკოვნიკი **კონინსკი.**

სწორია: როტმისტრი **პოპელი.**“

ადგილობრივი ოხრანკა ფილერებს ავალებს თვალყური ადევნონ ამხ. სტალინის თვითეულ ნაბიჯს. მოხსენებებიდან ამ თვალყურის დევნების შესახებ შემდეგში შედგენილი იქნა სქელი საქმე. ამაში გამოიხატა მეფის შპიკების მთელი „თავდადება“. მათ არ გამოპარვიათ არც ერთი წუთი ამხ. სტალინის ორი თვის ცხოვრებიდან ვოლოგდაში. აი შპიკების ზოგიერთი „მოხსენებები“*):

1911 წ. 25 ივლისი.

ცნობები.

„კავკასიელი ცხოვრობს ნოვოჟილოვის სახლში, კალაშნის ქუჩაზე.

დილის 9 საათ. 30 წ. საღ. 9 ს. 45 წუთამდე დილის 11 საათზე და 45 წუთზე „კავკასიელი“ გამოვიდა თავისი ბინიდან და წავიდა ქალაქის ლომბარდში, სადაც დაჰყო 35 წუთი, გამოვიდა და იყიდა გაზეთი, წავიდა ალექსანდრეს ბაღში, სადაც იჯდა 1 საათი 15 წუთი და წაყვანილ იქნა ბელიაევის სახლში № 13 მცირე ეკატერინეს ქუჩაზე (შესავლიდან მარჯვნივ), საიდანაც 10 წუთის შემდეგ გამოვიდა და წავიდა ალექსანდრეს ბაღში, სადაც იჯდა 14 წუთი და წავიდა სოკოლოვის დუქანში. იყიდა რაღაცა და წავიდა თავის ბინაზე. მისი გამოსვლა მეტი შენიშნული არ ყოფილა.

შიბალოვი და მუხინი“.

მაგრამ უცებ სტალინს მოესურვა პეტერბურგში გამგზავრება. ფიცხლავ მთელი ოხრანკა ფეხზე იქნა დაყენებული. ერთბაშად მოსკოვსა და პეტერბურგში იგზავნება შემდეგი დეპეშები:

1911 წ. 6 სექტემბერი.

პეტერბურგი. დაცვის განყოფილების გამგეს. 461 მატარებელ სამით გამოემგზავრა ჯუღაშვილი ფილერ ილჩუკოვის მეთვალყურეობით. გთხოვთ მიიღოთ (ცნობათ, **ნ. ს.**) დაწვრილებით ფოსტით 507.

მოსკოვი. დაცვის განყოფილების გამგეს, 248935 6 სექტემბერს ჯუღაშვილი გამოემგზავრა პეტერბურგში ფილერის მეთვალყურეობით. ნომერი 508“.

ოხრანკას ჰქონდა თავისი „ეტიკეტი“ და „თავაზიანობის“ წესები: პეტერბურგის სადგურზე ფილერი ასრულებს თავის უკანასკნელ მოხსენებას ვოლოგდაში და თვალყურის დევნებას გადასცემს პეტერბურგის „ოხრანკას“.

„... 7 სექტემბერს, სადგურზე, „კავკასიელი“ და უცნობი თვალყურის სადევნებლად გადავეცი ადგილობრივ დაცვის განყოფ. ფილერს პოლუდეტკინს. უცნობის ნიშნები აღწერილია 7 სექტემბრის დღიურში და გადაცემულია ს.-პეტერბურგის დაცვის განყოფილებაში. ილჩუკოვი“.

ასევე ახასიათებს ჯაშუშობის მუშაობის ფორმალურ მხარეებს ის გარემოებაც, რომ პეტერბურგელი ფილერი, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო მეტი შთაბეჭდილების მოსახდენათ თავის თავს უწოდებს „მეთვალყურეობის გამგეს“, ასეთ ხელწერილს აძლევს ილჩუკოვს:

7 სექტემბერს მატარებელ სამით, ს.პეტერბურგში ჩამოსული სახელწოდებით „კავკასიელი“, სამეთვალყუროდ მიღებულია.

მეთვალ. გამგე **(ხელმოწერილია)**

პეტერბურგის „ოხრანკის“ „თავაზიან“ შეკითხვაზე — „ხომ არ აქვთ რაიმე ხაწინააღმდეგო ჯუღაშვილის დაპატიმრების“, — ვოლოგდელი ჟანდარმები ითხოვენ მოიცადონ, რათა უფრო მეტი ცნობები იქნეს მის შესახებ შეკრებილი. მაგრამ პეტერბურგის პოლიციის აგენტებს მოთმინება ღალატობს და იმას, რაც მოხდა ორი დღის შემდეგ გვატყობინებს შემდეგი დეპეშის ტექსტი:

„მოვიდა 9 ოქტომბერს 1911 წ. № 264 ჯუღაშვილი ცხოვრობდა არალეგარულად დღეს დაპატიმრებულ იქნა № 883.

პოლკოვნიკი კოტტენი.“

პეტერბურგიდან და მოსკოვიდან მიღებული დირექტივების თანახმად ვოლოგდის ოხრანკა დაუყოვნებლივ შეუდგა ყველა იმათ „ლიკვიდაციას“, ვისთანაც კავშირი ჰქონდა ამხ. სტალინს: დაიწყო ჩხრეკა და დაპატიმრება.

მაგრამ ჟანდარმების „შესვენება“ ხანმოკლე იყო. ჩქარა ვოლოგდაში მათ გაუჩნდა „საზრუნავი“. იქ კვლავ გამოჩნდა „კავკასიელი — ჯუღაშვილი.“

სტალინის „საქმეზე“ ნაპოვნი უკანასკნელი დოკუმენტი ძლიერ მცირეა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ვოლოგდელ ჟანდარმებს ბევრი მწარე წუთები აგემა.

„ცნობები

1912 წ. 3 მარტი.

„კავკასიელი“ ცხოვრობს გორილოვის სახლში ლეონტიევის ქუჩაზე, დილის 9 საათიდან საღამოს 8 ს. 35 წუთამდე. მთელი დღის განმავლობაში „კავკასიელის“ გამოსვლა არ ყოფილა შენიშნული.

ვიზივინი და ზიბალოვი.

და აი, საქმის ამ უკანასკნელ ქაღალდზე გაკეთებული პატარა მინაწერი არღვევს ფილერების „შემოქმედების“ თავისებურ რიტმს“.

„ჯუღაშვილი საცხოვრებელი ბინიდან გაიპარა“.

ასე მოულოდნელად გაუსხლტა ხელიდან ამხ. სტალინი ვოლოგდის ჯაშუშებს და ჟანდარმებს.

ნ. სოფრონოვი.

---

*) ოხრანკის სტილი თარგმნის დროს დაცულია შეძლებისდაგვარად.

ქრონიკა

მელიორაცია

საკავშირო მთავრობამ ამიერ - კავკასიაში მელიორაციის საქმის განსავითარებლად ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკს გადასცა 470.000 მანეთი.

მესაქონლეობის და მერძეობის კურსები

წელს მესაქონლეობის და მერძეობის კურსები, რომელიც მიწსახკომის მიერ იყო გახსნილი ქვემო სვანეთში, დაამთავრა 17-მა ადგილობრივმა გლეხმა. მათ შორის იყო სამი ქალი. კურსებზე სწარმოებდა პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობა. კურსებზე მსმენელებს ასწავლიდენ საქონლის გაძლიერებულ კვების მნიშვნელობას და რძის ნაწარმოების დამზადებას. კურსებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდენ სვანი გლეხები.

გადასახლების საქმეთა კომიტეტი

საქ. სახ. კომ. საბჭომ საჭიროდ სცნო მიწადმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ გადასახლების საქმეთა კომიტეტში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის შეყვანა. სამხრ-ოსეთის ცაკს წინადადება მიეცა აირჩიოს კანდიდატი.

ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები

თბილისის ქუჩებში და ბაღებში ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატების მოსაწყობათ უკვე დასრულდა წინასწარი მუშაობა. აპარატები მოეწყობა პირველ რიგში: საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ბაღში, თვითმშრომელთა ბაღში, ყოფ. ზემელის აფთიაქის პირდაპირ მდებარე პატარა ბაღში, წითელარმიისა და ფლოტის ბაღში, მუშათა ცენტრალურ კლუბში, მუშათა ახალ კლუბში და სხვ. შემდეგ ნავთლუღის ერთ-ერთ მოზრდილ მოედანზე, სასაკლაოზე, ვერაზე, დიდუბეში, ვაკეზე, საბურთალოში, ორთა - ჭალაში, კახეთის მოედანზე და სხვ.

თავდაცვის ფონდში

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმში მიღებული ცნობით, ბორჩალოს სამაზრო თავდაცვა-ავიაქიმს თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად ჯერ - ჯერობით შეუკრებია 3.500 მანეთი.

სპარსეთის ვიცე-კონსულის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა სპარსეთის კავკაველი ვიცე-კონსული **ბ. მირზა ჰასან ხან ფავზანი.**

ამხ. ჩერნინი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მოლდავიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. **ჩერნინი.**

იაპონელი მასწავლებლის ჩამოსვლა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა იაპონელი სტუდენტი, ტოკიოს ერთ-ერთ სასწავლებლის მასწავლებელი **იქედა ხისეო.**

მისი ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაცნობა.

თბილისის აღმასკომში

◆ **საზამთრო ბაზარი.** კეთილმოწყობის განყოფილება კომუნალურ ქუჩაზე შეუდგა საზამთრო ბაზრის მოწყობას.

◆ **გოგილოს აბანოს გაფართოება** დასრულდება ამ დღეებში. აბანოს შეკეთება - გაფართოება დაჯდა 30.000 მანეთი.

◆ **ქუნთრუშით დაავადებულთათვის** ქალ. პირველ საავადმყოფოსთან ეწყობა 24 საწოლი.

◆ **ახალი ბაღი.** გოგილოს აბანოს ახლოს გაშენებულია ახალი ბაღი.

◆ **ახალი მასწავლებლები.** მიღებულ ახალ მასწავლებლების სიას განათლების განყოფილება გამოაკრავს 5 სექტემბერს.

შრომის კომისარიატში

◆ **კალატოზების სიმცირის გამო** შრომის კომისარიატმა დაადგინა კალატოზებს სამუშაო დრო გაუდიდდეთ 2 საათით ზედმეტი ჯილდოს მიცემით.

◆ **გამოფენა.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში გაიხსნა უმუშევარ ქალთა შრომის კოლექტივის (ქრა - კერვის სახელოსნო) ნაწარმოებთა გამოფენა.

მიწადმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **წიგნი მევენახეობაზე.** მიწსახკომის სასოფლო - მეურნეობის სამმართველომ გამოსცა აგრონომ ვ. ბიბილაშვილის წიგნი „მევენახეობა“, წიგნი აგროპუნქტების საშუალებით დაურიგდებათ გლეხებს.

◆ **ფილოქსერის წინააღმდეგ** ზომების მისაღებად მიწსახკომმა დასავლეთ საქართველოში გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვლევს მდ. რიონის ნაპირების ახლო გაშენებულ ვენახებს.

განათლების კომისარიატში

◆ **ახალი ფაკულტეტი.** განსახკომის ცნობით, სახ. უნივერსიტეტთან იხსნება სატრანსპორტო სარეალიზაციო ფაკულტეტი.

◆ **სახელმძღვანელოები.** ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ სომხეთის, აზერბეიჯანის და უკრაინის განსახკომებს მიმართა თხოვნით სახელმძღვანელოების გადმოგზავნის შესახებ საქართველოში არსებულ მცირე ეროვნებათა სკოლებისათვის.

◆ **ერთი ფაკულტეტის დამთავრების** შემდეგ სტუდენტს ეკრძალება მეორე ფაკულტეტზე გადასვლა.

◆ **გამოცდები რუსულ ენაში.** სახ. უნივერსიტეტში შესვლის მსურველებმა საკონკურსო გამოცდა უნდა ჩააბარონ რუსულ ენაშიაც.

◆ **უნივერსიტეტში მყოფი** ყველა სტუდენტები უნივერსიტეტის დამთავრებამდე თავისუფალნი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

◆ **საექსკურსიო ბაზების გაუქმება.** 1 სექტემბრიდან მთელ საქართველოში გაუქმდა საექსკურსიო ბაზები.

◆ **მოზრდილთა ახალი ტიპის** სკოლისათვის მიღებული იქნა 9 წლედების პროგრამა.

ჯანსახკომში

◆ **ახალი ამბულატორია.** მცხეთის ხე-ტყის ქარხანასთან ამბულატორიის მოსაწყობად გაიდო 25.000 მანეთი.

◆ **ბრძოლა ექიმბაშობასთან.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ექიმბაშობის წინააღმდეგ გამოსცეს პოპულიარული ბროშიურები და პლაკატები გლეხებში უფასოდ დასარიგებლად.

◆ **კონსულტაცია.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა თემებში არსებულ საავადმყოფოებსა და საექიმო პუნქტებთან მოაწყოს კომისია, რომელიც უფასო რჩევა - დარიგებას მისცემს გლეხის ქალებს ბავშვების აღზრდის საქმეში.

◆ **საწოლები.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ყველა საექიმო პუნქტებთან მოაწყოს 3—5 საწოლი მძიმე ავადმყოფთათვის.

კურორტებზე

◆ **ბორჯომში** სააგარაკო სეზონი დასრულდება 1-ლ ოქტომბერს.

◆ **ახტალა.** საკურორტო სამმართველომ ახტალის კეთილმოსაწყობათ მომავალ წლისათვის გადასდო 494.000 მანეთი.

◆ **აბასთუმანში** საზაფხულო საავარაკო სეზონი დასრულდება 1 ნოემბერს.

◆ **ლებარდე.** საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა თავის განკარგულებაში აიღოს სენაკის მაზრაში მდებარე აგარაკი ლებარდე.

◆ **სანატორიუმი.** საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა მომავალ წელში წყალტუბოში ააგოს სანატორიუმი.

◆ **ცემსა და წაღვერში** საზაფხულო საავარაკო სეზონი დასრულდება 15 სექტემბერს.

◆ **ქობულეთში** საშემოდგომო სეზონის დადგომის გამო ოთახები აღარ იშოვება.

მუშკოოპში

◆ **ფურნეები.** მუშკოოპს თბილისის აღმასკომმა გადასცა 17 ფურნე.

◆ **ფასები რძეზე.** შინავაჭრობის კომისარიატის მუშკოოპის გამგეობამ მიმართა თხოვნით შეიმუშაოს მტკიცე ფასები რძეზე.

◆ **ნაძალადევში** მუშკოოპმა გახსნა 5 ახალი სავაჭრო.

„სოფლის კავშირში“

◆ **თხილის დამზადება.** „სოფლის კავშირი“ წელს ქუთაისის მაზრაში დაამზადებს 25.000 ფ. თხილს

◆ **თამბაქო.** თამბაქოს ტრესტისათვის „სოფლის კავშირი“ ამზადებს 42.000 ფ. თამბაქოს.

◆ **ხილი.** „სოფლის კავშირი“ შეუდგა ზამთრისათვის ხილის დამზადებას გორის მაზრაში. სულ დამზადებული იქნება 50.000 ფუთი ხმელი ხილი

სხვა და სხვა

◆ **ახალი სახლი.** დღეს მატრინოვის და მლეთის ქუჩების კუთხეში მოხდება ფ.-ტელეგრაფის მუშაკთა ახალი სახლის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა.

◆ **გამოკვლევა.** ახლო ხანში შეუდგებიან შინა-მრეწველობის საქმის გამოკვლევას მთელ საქართველოში.

◆ **ცენტრალურ პარტიულ სკოლაში** (გაერთიანებული — ამხ. ორჯონიკიძის სახელობის თბ. სახ. პარტსკოლა და ცენტ. პარტსკოლა) მისაღები გამოცდები დაიწყება 20 სექტემბრიდან, ხოლო მეცადინეობა 1 ოქტომბრიდან.

რკინისგზებზე

ვაგონების განტვირთვისათვის

უკანასკნელ ხანებში თბილისიდან მიმავალი მატარებლები ზედმეტად სავსეა მგზავრებით. ამას განსაკუთრებით ადგილი აქვს შორს მიმავალ მატარებლებში.

ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ ხშირად ბილეთების სალაროები ყიდიან ბილეთებს უკვე დაკავებულ ადგილებზე, და აგრეთვე მგზავრების უსისტემოდ ჩასხდომა ვაგონებში, როდესაც შორს მიმავალ ვაგონებში სხდებიან ახლოს მიმავალი მგზავრები და წინააღმდეგ.

ასეთ არევ-დარევას ხელს უწყობენ უფროსი კონდუქტორებიც, რომლებიც არ იჩენენ მზრუნველობას მგზავრებისადმი და აძლევენ სადგურებს ცნობებს ისეთ ადგილების შესახებ, რომლებიც დაკავებულია.

ასეთ მოვლენის თავიდან ასაცილებლად, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გატარებული იქნება ცხოვრებაში ახლო მომავალში.

გზის მუშაობა

ა.-კ. რკ. გზის მუშაობა უკანასკნელ ხანებში სისტემატიურად ძლიერდება. ამჟამად დღე და ღამის განმავლობაში მოძრაობაშია 1.526 ვაგონი.

მეწყერი

გუშინ ახალდაბა - ბორჯომის შუა რკინისგზაზე ჩამოწვა მიწის ზვავი.

მთებიდან დაქანებულმა მიწის მასამ დაჰფარა ხაზი 100 საჟენის მანძილზე.

მიღებულ ზომებით ხაზი გაწმენდილ იქნება სამი საათის განმავლობაში.

საქ. ცხენების გამარჯვება

2 სექტემბერს მოსკოვში გამართულ ცხენთა გამოცდაზე პირველი ჯილდოები მიიღეს საქართველოს შემდეგმა ცხენებმა: — **ბერგენმა, ჯამბოდ და დარეჯანმა.**

ამ გამოცდაზე უფრო ადრე მოსკოვში გამართულ შეჯიბრზე აგრეთვე პირველი ჯილდოები მიიღეს საქ. ცხენთაშენის ცხენებმა — **დარდიბანდმა, დარდინმა, დაირამ და ეთერმა.** აღსანიშნავია, რომ ეს ცხენები ნახევარჯიშიანი ცხენები და აღზრდილი და გაწრთვნილნი არიან საქ. ცხენთსაშენში. მიუხედავათ მათი ნახევარჯიშიანობისა, ისინი ზედიზედ იმარჯვებენ წმინდა ჯიშის ცხენების გამართულ შეჯიბრზე, რაც უნდა მიეწეროს მათ კარგად აღზრდის და გაწვრთნას.

ხელოვნება

მსახიობ ე. პანკრატოვას ავადმყოფობა

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ მსახიობ ქალს ე. პანკრატოვას, რომელიც ორი სეზონის განმავლობაში დიდის წარმატებით მღეროდა თბილისის სახელმწიფო ოპერაში, ტრაღიკული ბედი ეწვია.

ეს ზაფხული ე. პანკრატოვამ ტუაპსეში გაატარა. ზღვაში გლეხები აბანავებდენ ცხენებს, რომელთაგან მსახიობ ქალს გადაიდო საპა. ეს სენი საშინელ და სრულიად განუკურნებელ ავადმყოფობად ითვლება.

— **დიდი კონცერტი.** მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი. მონაწილეობენ: იუდინა, ქუმსიაშვილი, ქარცივაძე და სხვ.

— **მსახიობ დავიდოვსკის გასტროლი.** ორშაბათს, 5 სექტემბერს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართება დავიდოვსკის პირველი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: „კონსტანტინ ტერიოხინ“.

— **„სიმღერათა კრებული“.** გამოვიდა ნ. შარაბიძის მიერ შედგენილი საბავშო სიმღერათა კრებული.

— **სიმფონიური კონცერტი.** დღეს მედსანშრომის კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი.

— **ეოზეფ სიგეტტი თბილისში.** ახლო ხანში თბილისში კონცერტების გასამართავად ჩამოვა ცნობილი სკრიპკაზე დამკვრელი ეოზეფ სიგეტტი.

— **საბავშვო მოთხრობები.** გამოვიდა კონ. ლორთქიფანიძის საბავშვო მოთხრობები „ახალი ქვეყნისაკენ“.

— **გემო - კვების მუშაკთა კავშირში** დღეს გაიმართება დიდი საღამო - კონცერტი ქუმსიაშვილის, ვენაძის, ქარცივაძის და სხვ. მონაწილეობით.

— **როდჩენკოს მოწვევა.** სახელმწიფო კინო მრეწველობამ მოიწვია ცნობილი კონსტრუქტორი როდჩენკო. უკანასკნელი 15 სექტემბრისათვის ჩამოვა თბილისში.

— **ელისო.** რეჟ. ნ. შენგელაია ახლო ხანში დაასრულებს კინო სურათს „ელისოს“ გადაღებას.

— **სანაპირო.** ახალგაზრდა ბელეტრისტმა სტეფანე კასრაძემ დაწერა პიესა „სანაპირო“, პიესა გასარჩევად გადაეცა ხელოვნების განყოფილებასთან არსებულ სარეპერტუარო კომისიას.

ქ. თბილისის ბანკები და შემნახვ. სალაროები

აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 24 აგვისტოს დადგენილების თანახმად, 5 სექტემბრიდან მათთან იღება ხელისმოწერა

ინდუსტრიალიზაციის სახელმწიფო 6 % შინაურ მომგებიან სესხზე

სესხის მიზანი და ამოცანა: ამ სესხის რეალიზაციით აღებული მთელი თანხა ხმარდება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

სესხის პირობები! საინდუსტრიალიზაციის სესხი გამოშვებულია 200 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაწილობრივი და მთლიანი ობლიგაციებით, თვითეული 25 მანეთის ღირებულებისა. ყოველი ნაწილობრივი ობლიგაცია შესდგება 5-5 თანასწორ ნაწილიდან, თვითეული 5 მანეთის ღირებულებით.

საინდუსტრიალიზაციო სესხი გამოშვებულია 10 წლით 1927 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1937 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

სესხის წინასწარი რეალიზაცია ნაწილობრივი გადახდით დაიწყება თბილისში 5 სექტემბრიდან განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებით და გაგრძელდება 25 სექტემბრამდე; თვითეული ობლიგაციის ღირებულება 5 — 15 სექტემბრამდე იქნება 23 მან. 50 კაპ. ხოლო 15 — 25 სექტემბრამდე 23 მან. 75 კაპ.

1-ლ ოქტომბრიდან ობლიგაციის გამოშვებითი ფასი იქნება 24 მან.

იმ პროცენტებს გარდა, რომლებიც გაცემული იქნება კუპონების მიხედვით წელიწადში ორჯერ, ყოველ წლის 1 აპრილს და 1-ლ ოქტომბერს, სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოხდება მოგებათა 38 ტირაჟი.

პირველი ტირაჟი მოხდება მიმდინარე წლის 28 დეკემბერს; გათამაშებულ იქნება 23.300 მოგება, სულ 3 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ინდივიდიუალურ ხელის მომწერთათვის დაწესებულია 4 თვიური ნაწილობრივ გადახდა, ხოლო კოლექტიურ ხელის მომწერთათვის 7-თვიური.

საინდუსტრიალიზაციო სესხს იგივე შეღავათები აქვს, რაც დანარჩენ სესხებსაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება სესხის პირობების შესახებ შეიძლება ყველა ბანკებსა და შემნახველ სალაროებში.

სასამართლო

„ქურთ-თამარა“ და „არაბუშა“

თამარა საფაროვა მეტ სახელათ „ქურთ-თამარა“ განთქმულ ქურდ-რეციდივისტათ ითვლებოდა და ხელმძღვანელობდა თბილისში ქურდთა და ჯიბგირთა ორგანიზაციებს.

„ქურთ-თამარა“ სახელი ქუხდა ჯიბგირებში, რომლებიც მის ბრძანებებს მტკიცედ ასრულებდნენ.

მანვე შეადგინა როსკიპ ქალების ჯგუფი და ამრიგათ გაიჩინა მუდმივი შემოსავლის წყარო.

გასულ წელს „ქურთ-თამარა“ დაიჭირეს და მოათავსეს გამასწორებელ სახლში. აქ მან გაიგო, რომ მისი ხელქვეითი ცნობილი ქურდი-რეციდივისტი „როსტომ“—გიორგი ქათამაძე მეტ სახელად „არაბუშა“ ღალატობს ქურდებს და ცდილობს საფაროვას წინააღმდეგ აამხედროს როსკიპი ქალები.

ციხეში „ქურთ-თამარა“ გაიძახოდა:

— ქალი არ ვიქნები, თუ ქათამაძეს სიცოცხლე არ მოუსპეო.

„ქურთ-თამარა“ ეძებდა მოხერხებულ დროს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

სასჯელის მოხდის შემდეგ „ქურთ-თამარა“ მიხვდა თავის მეგობარ ეკატერინე გალუსტიანს უკანასკნელს ძლიერ გაუხარდა „თამარ--რისხვას (ასე უწოდებდენ „ქურთ-თამარას“ როსკიპები) ნახვა და ეტლით წაიყვანა იგი სადგურისაკენ.

„ქურთ-თამარას“ განთავისუფლების ამბავი სწრაფად მოედო თბილისის ნაძირალებსა და ჯიბგირებს

იმ ღამეს იქეიფეს და დიდი ზეიმი გადაიხადეს.

ლხინში მონაწილეობა მიიღეს: გრიგოლ ივანესძე ნიჟარაძემ, (იგივე ჭინჭარაძემ), სევერიან გერასიმესძე ნინუამ და როსტომ ქათამაძემ (ყველანი ქურდებია).

„ქურთ-თამარამ“ ქათამაძის მოკვლის განზრახვა გაუზიარა თავის ხელქვეითებს. ისინი დათანხმდნენ. მთვრალი ქათამაძე დაამწყვდიეს სადგურის ვაგონში. იმავე ღამეს „ქურთ-თამარამ“ ნიჟარაძის და ნინუას დახმარებით ყელი გამოსჭრა ქათამაძეს—„არაბუშას“ და შემდეგ კი მუცელი გამოალადრა.

გვამი გადააგდეს ბნელ ადგილას.

არ გასულა დიდ ხანი, რომ სამივე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

საქმის გარჩევა შვიდ სექტემბერს დაიწყება აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

პ.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ ამხ. ი. ალანიას თავმჯდომარეობით ამირ-ალი-ოღლის მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამირ-ოღლის ბრალდებოდა დებოშის მოხდენა და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლის გ. თუხარელის ფიზიკურათ შეურაცყოფა.

გამფლანგველი პაიჭაძე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურაში შემოვიდა დიმიტრი პაიჭაძის საქმე.

პაიჭაძე ირიცხებოდა საძოვარ ადგილების ზედამხედველად მთელს საქართველოში.

მის მოვალეობას შეადგენდა საიჯარო გადასახადების შეკრება. პაიჭაძე გლეხებიდან მიღებული ფულების ნაწილს სისტემატიურად ითვისებდა. მან მითვისებული აქვს 800 მანეთამდე.

პაიჭაძე პასუხისგებაშია მიცემული.

შემთხვევები

იშვიათი თვითმკვლელობა

გუშინ, გამომძიებელმა დ. მიქელაძემ ჩვენს თანამშრომელს ინჟინერ მაქროპულოს თვითმკვლელობის შესახებ დამატებით შემდეგი აცნობა:

კვლევა-ძიებიდან ირკვევა, რომ ინჟ. მაქროპულომ (42 წლისა) თვითონ მოიკლა თავი. —გვამის განკვეთით მაქროპულოს კისერზე აღმოაჩნდა რამოდენიმე ჭრილობა.

როგორც გამოირკვა, მან სამართებელი დანით ჯერ გამოიჭრა კისრის უკანა ნაწილი.

მან გამოიჩინა იმდენი ნებისყოფა, რომ გაუძლო საშინელ ტკივილებს და შემდეგ ბებუთით გამოიჭრა ყელი. ამის შემდეგ მას ძალა გამოელია, მაგრამ კიდევ ცოცხალი იყო.

ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მაქროპულომ 12-ჯერ დაირტყა ბებუთი გულმკერდში. საექიმო შემოწმებით უკანასკნელი ჭრილობები ძლიერ მსუბუქი აღმოჩნდნენ.

გამოირკვა, რომ ბოლო ხანებში მაქროპულოს ემჩნეოდა სულით ავადმყოფობის ნიშნები.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ამგვარი თვითმკვლელობა იშვიათია სისხლის სამართლის პრაქტიკაში.

მკვლელობა ზუგდიდში

გუშინ, საღამოს, 7 საათზე, ქ. ზუგდიდში შოფერმა პაპიაშვილმა რომანიულ ნიადაგზე მოჰკლა თავისი ცოლის და კ. შარაშიძე.

ცოლის დაჭრა

2 სექტემბერს ეკატერინე ოგანეზის ასული ნანუშიანცის ბინაში (მცხოვრები ლაზარევის ქ. 15) ართამ ნიკოლოზის ძე მელიქ - შახნაზაროვმა ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მაკრატლით დასჭრა თავის ცოლი ანნა, რომელიც სასწრაფოთ გადაიგზავნა საავადმყოფოში. ბრალდებული მელიქ - შახნაზაროვი შეიპყრეს.

◆ **მიწადმოქ. სახ. კომისარიატის ადგილკომიდან მოიპარეს 70 მანეთი სახაზინო ფული.**

◆ **შეპყრობა.** 2 სექტემ. ქურდობისათვის დააპატიმრეს მეეზოვე ვართან ადაბეგიანცი.

◆ **საკერავი მანქანა.** 2 სექტემბ. გორჩაკის ქ. 50 დარია სარქისიანცს მოპარეს ხელით საკერავი მანქანა

◆ **ცენტრალურ ბაზარში** 2 სექტემბ. ალექსი აივაზოვს ამოაცალეს 53 მანეთი.

◆ **ქურდობა.** 2 სექტემბ. პლეხანოვის გამზირზე № 108, გაქურდეს კორნილი მელაძის ბინა.

◆ ამავე დღეს ამავე პროსპექტზე № 115 მარია ლორთქიფანიძის ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

მცირეწლოვ. დამნაშავენი

გასული თვის განმავლობაში განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში შემოვიდა 29 ახალი საქმე, რომლითაც ბრალი ედება 33 ბავშს, მათ შორის ორი ქალია. აქედან ქურდობისათვის ბრალი ედებათ 14 ბავშს, მკვლელობის განზრახვისათვის—4 ბავშს, ცუდი ზნეობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის 2 ბავშს.

ეროვნების მიხედვით მათ შორის 6 ქართველია, 7 რუსი, 17 სომეხი, 3 მაჰმადიანი. მცირეწლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველმა კომისიამ აღნიშნულ ბავშების ნაწილი, რომლებიც სავსებით უპატრონონი აღმოჩნდენ, უკვე დაანაწილა და დაბინავა საბავშო სახლებსა და მზრუნველობის ხელწერილის ქვეშ, რომ ისინი ბავშებს გაუწევენ სათანადო მფარველობას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 5 სექტემბერს საღამოს ექვს საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება **რაიკომის გაფართოებული პლენუმი** არსრაიკომის უჯრედების ბიუროს წევრებთან ერთად.

დღის წესრიგშია: 1) მოხსენება უჯრედების ბიუროს საანგარიშო კამპანიის ჩაატრების შესახებ. (მომხს. მზარეულაშვილი), 2) მუშკოოპის გამგეობის ფრაქციის მოხსენება (ერისთავი)

უჯრედების ბიუროს წევრები და რაიკომის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას აგიტ-პროპ განყოფილება აცხადებს, სამხრეთ-ოსეთისა და სხვა მაზრების საყურადღებოთ, რომ თუ მათ სასწავლებლებში ადგილი დათმობილი არა აქვთ—მოსწავლეებს ნუ გამოგზავნიან.

წინააღმდეგ შემთხვევაში ხარჯები დაეკისრება გამომგზავნელს.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიურო კოლექტივი ავალებს თავის წევრებსა და კანდიდატებს გამოცხადდენ დღეს კვირას, 4 აგვისტოს, დღის სამ საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, კომკავშირის ათი წლის თავზე დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპ განყოფილებაში სამშაბათს, 6 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან: ბოლქვაძე. გოგებაშვილი, იჩედაძე, დუგლაძე და კ. მახარაძე—ამხ. ვსთხოვთ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპ-განყოფილებაში ორშაბათს, ხუთ სექტემბერს დღის პირველ საათზე მოწვეულია თათბირი, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: **კ. მახარაძე, შ. პ. ორახელაშვილი, ლომთათიძე, იჩედაძე, ტატულოვი და ვ. ჯაფარიძე**—ამხანაგებს ვთხოვთ გაუგვიანებლად გამოცხადდენ.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ორშაბათს ხუთ სექტემბერს, თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან.

კლემენტი ცომაია, შალვა იაკობაშვილი, ნიკოლოზ მიხეილისძე სმირნიცკი, დავით (დარჩო) დოგბაშევი, ივანე ჩებოტარევი, მირონ პეტრესძე ბაუნველდი, მიხეილ ვასილისძე გაივოროვსკი, ივანე ივანესძე ფადეევი, იოსებ მიხეილისძე ნაუმიჩევი, ა. ვიშკოვეცკი, ნიკოლოზ ალექსანდრესძე რაგოვი, ლუარსაბ მაქსიმესძე საბანიძე, ვართან არაქელისძე კოჩაროვი, მოსე მიკევიჩი, ბორის ქავთელაძე, დანიელ ტარასისძე გელაშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზისძე ვასილიევი, ნიკოლოზ ივანესძე პოზდნარევი, იუსუფ გასან ოღლი მამედოვი, სერგო გიორგაძე, ალფესი კონსტანტინესძე ცომაია, ვასილი ივანესძე დერიაბინი, რუბენ ნერსესისძე არუთინიანცი, განა თეოდორის ასული გავრიუშ რევიზორისა, უშანგი სეფესძე ლორთქიფანიძე, ტიხონ მამალაძე, პალადი ტრაპაიძე, კუზმინა, აბრამოვა—კასატკინი, ადამიანი, ოვანესიანი.

ძუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე სონია ილიკოს ასული თელიასი, ძმები შალიკო და კოლია თელიები, რძალი კატო შვილებით, დაი და სიძე გაბო და თამარ ივანიძეები, დეიდა ოლღა პიტავა, სიმამრი და სიდედრი ილიკო და ესმა, ცოლის ძმა საშა შანიძეები, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 4 სექტემბერს გადახდილ იქნება წლის თავი დღიდან

სერაპიონ გიორგის ძე თელიას

გარდაცვალებისა. კუკიის საპაფლაოზე, დღის 12 საათზე. (ე)

გულდამწუხრებულნი მამა ლევან დიმიტრისძე, დედა ნინო ალექსანდრეს ასული, ცოლი თამარა მიხეილის ასული, შვილი ოდისეი, ბიძა დიმიტრი დიმიტრისძე მაქროპულოები, და სოფიო ლევანის ასული და სიძე იოსებ გრიგოლისძე ტატიშვილები, ცოლისძმები მიხეილ და ირაკლი ბილანიშვილები ოჯახობით, ანასტასია ალექსანდრეს ასული და ბიძაშვილი ვალერიან ლავრენტისძე ფეოფანოვები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. თ. 1 ს. გარდაიცვალა მათი ძვირფასი

ალექსანდრე ლევანის ძე მაქროპულო

დასაფლავება მოხდება დღეს, სექტემბრის 4-ს, კუკიის სასაფლაოზე; გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (მიხეილისა) ნაშუადღევის 4 საათზე. 3742

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად, 1927 წლის 10 აგვისტოდან

უქმდება საქციონერო საზოგადოება

„ტრანსპორტის“

განყოფილებები

თბილისსა, ფოთსა, ქუთაისსა, სოხუმსა, ერევანსა, ლენინაკანსა და განჯაში.

საზ—ბა „ტრანსპორტი“-ს ამიერ-კავკასიის რაიონული გამგეობა 5 სექტემბრიდან იწყებს თბილისის, ქუთაისის და ფოთის კანტორების საქმეებისა და ოპერაციების **ლიკვიდაციას,** რის გამო წინადადებას აძლევს ყველა ტვირთმეპატრონეებს 15 დღის ვადაში, ე. ი. **არა უგვიანეს ა. წ. 20 სექტემბრისა,** ანგარიში გაასწორონ ამ კანტორებთან და მიიღონ თავისი ტვირთები. ამავე ვადაში უნდა შემოტანილ იქნას განცხადებები პრეტენზიების შესახებ ამ კანტორების მიმართ.

აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები აღარ მიიღება.

ზემო აღნიშნულ ვადაში წაუღებელი ტვირთები გადაეცემა სააქციონერო საზოგადოება „სოვტორგფლოტს“, თანახმად ამ უკანასკნელსა და სააქც. საზ—ბა „ტრანსპორტს“ შორის დადებულ შეთანხმებისა, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა. წ. 10 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე, ტვირთების გამოსყიდვა „სოვტორგფლოტისაგან“ შეიძლება მხოლოთ სათანადო საბუთების წარდგენისა და ანგარიშის გასწორების შემდეგ.

საზ.—ბა „ტრანსპორტის“ ქვითარებში აღნიშნულ ვადებზე გამოუსყიდავი ტვირთები **გაიყიდება საუქციონო ვაჭრობის წესით.**

სოხუმის, ერევნის, ლენინაკანის და განჯის კანტორების ლიკვიდაციის დაწყების დრო გამოცხადებული იქნება ადგილობრივ გაზეთებში.

ნ. 1651. ა.-კ. რაიონის მმართველი ბ. ი. მაკოვეცი.

ფასები დაკლებულია

ფასები მნიშვნელოვნადაა დაკლებული

ფასები მნიშვნელოვნადაა დაკლებული

რუსთაველის პრ. 17, ტელეფონი პროფსაბჭოს ქვესადგური № 43.

„შრომა“

სეზონისათვის მიღებულია როგორც საზღვარგარეთელ, ისე ადგილობრივ ფირმების დიდძალი საკანცელარიო ნივთები.

ყველა სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, აგრეთვე მოსწავლეებს და პროფკავშირების წევრთ შეღავათი 5—10 პროცენტამდე.

- ფანქრები
- კალკი
- კალმები
- ვატმანის ქაღალდი
- სახაზავი ხელსაწყო
- საანგარიშო სახაზავები
- საკანცელარიო წიგნები
- საანგარიშოები
- ჭადრაკი
- შაშკები
- დომინო

ფასები მნიშვნელოვნადაა დაკლებული.

ცენტრალური მაღაზია № 1—ტფილისი რუსთაველის 17.
მაღაზია № 2— რუსთაველის 23.

განყოფილებები: ჭიათურაში. ქუთაისში. ბორჯომში.

ნის. 541 1—1

ფასები დაკლებულია

საქ. პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა“

რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე. ტელ. ქვესადგური № 43

გამოვიდა და იყიდება

მხატვრული ლიტერატურიდან

		ფასი
მ. ჯავახიშვილი	ჯაყოს ხიზნები	1—50
„	მართალი აბდულაჰ	—30
„	ხუთის ამბავი	—30
„	ტყის კაცი (გაყიდულია)	—30
ე. ნინოშვილი	პალიასტომის ტბა	—10
„	გოგია უიშვილი	—10
„	განკარგულება, მონადირე	—10
„	მოსე მწერალი	—20
„	ჩვენი ქვეყნის რაინდი	—30
ა. ყაზბეგი	ელგუჯა	—60
	მამის მკვლელი	—90
დ. ჭონქაძე	სურამის ციხე (მესამე გამოცემა)	—20
დ. კლდიაშვილი	სამანიშვილის დედინაცვალი	—50
ი. დავითაშვილის	რჩეული ლექსები	—25
რ. ერისთავი	რჩეული ლექსები	—40
ნიკო ლორთქიფანიძე	მრისხანე ბატონი	—40
„	ქამთა სიავე	—50
ლომთათიძე	პირველი მაისი	—20
ვაჟა ფშაველა	პატარა ნუკრის ნაამბობი	—20
მიწიშვილი	თებერვალი	—50
კ. ლორთქიფანიძე	ფოტოგრაფი	—20
სოლო გოგზაძე	ლექსები	—40
სანდრო ეული	შრომისა და ბრძოლის ჰანგები	—70
კ. კალაძე	ქურდი (პოემა)	—20
„	ძახილი აღმოსავლეთის (პოემა)	—20
ბ. კუპრაშვილი	ბუში	—90
ა. შანშიაშვილი	მოჯამაგირე გაბო	—20
ერთაწმინდელი	ლუ-ჯი ხალათი (გაყიდულია)	—25
სულიაშვილი	ცხოვრების ტალღებში	—60
ნ. ზომლეთელი	უმუშევარის დღიურიდან	—50
დ. თურდოსპირელი	არაზინდო (მოთხრობა)	—50

ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურიდან

მ. გორკი	მოთხრობები	—50
უ. სინკლერ	მეფე ნახშირი	2—20
„	სამუელ მაძიებელი	—80
ნევეროვი	ტაშკენტი ქალაქი პურის	—60
ვოინიჩ	კრაზანა	1—20
სტეფან ცვეიგ	ამოკ	—40

პოპულიარული მეცნიერებიდან

ტიმირიაზევ	მეცნიერების მნიშვნელობა	—30
რუბაკინ	როგორ და როდის გაჩნდა ადამიანები დედამიწაზე	—60
პანოვი	სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე	—50
ლომოური	მალარია საქართველოში	—35

პროფესიონალური მოძრაობიდან

ლენინი	სიტყვები და წერილები პროფმოძრაობის საკითხების გარშემო	3—00
ი. ჭელიძე	მუშათა კლუბი	1—40
ა. კუკ	ინგლისის გაფიცვის ისტორია	
გოდიბრელიძე	შრომის ხელფასი	1—50
„	საწარმოო თათბირები	—80
ტომსკი	საერთაშორისო მდგომარეობა და ინგლის-რუსეთის კომიტეტი	—30
კოზლოვსკი	რა უნდა იცოდეს უმუშევარმა	—35
ჩეკინ	პროფმოძრაობის ანბანი	1—20

სხვადასხვა გამოცემები

დ. მელაძე	რა უნდა იცოდე რომ გახდე კარგი მსროლელი	—30
„	რა უნდა იცოდეს მუშკორმა	—25
მ. ხ—ძე	პადრაკის სახელმძღვანელო	1—50
ჩხეიძე	საბჭოთა კონსტიტუცია	—30
ს. დევდარიანი	ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ	—60

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა

არდაზიანი	სოლომონ მეჯღანუაშვილი
საბა-სულხან-ორბელიანი	იგავ-არაკები
შ. რუსთაველი	ვეფხის ტყაოსანი (ჯიბის)
ა. ყაზბეგი	ელისო
ე. ნინოშვილი	სიმონა
კ. მარქსი და ფ. ენგელსი	პროფესიონალური მოძრაობა და სოციალიზმი

ს. დევდარიანის მიერ შედგენილი კარლ მარქსი პირად ცხოვრებაში.

აქ ჩამოთვლილ წიგნების მთ. საწყობი იმყოფება თბილისში: შრომის სასახლე გამომცემლობა „შრომა“ (რუსთაველის პროსპ., № 17).

გამომცემლობას აქვს განყოფილებები: ქუთაისში, ჭიათურაში, ბორჯომში.

ნის. 541

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

0—4 ნ. 1388

საუკეთესო სურათის

„სკარამუშ“

დადგმის უკანასკნელი დღე.
არაჩვეულებრივი წარმატება!!! ყოველდღე ანშლაგები!!!
სიმებიანი ორკესტრი.
სეანსების დაწყება—ეთერში 7 ს. 30წ., დარბაზში—8 ს.

პირველად თბილისში საუკეთესო მხატვრული სურათი

„შორეულ ნაპირზე“

მთავარ როლში—ეგოროვა, ლატოვოი და სხ.

ანონსი: სამშაბათიდან, 6 სექტემბრიდან **„წარსული და მომავალი“** კორინა გრიფიტის და კ. ტირლის მონაწილეობით

მიღებულია

მხატვრული შედევრი

ამერიკის პოპულიარული მსახიობების

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლის

მონაწილეობით

წარსული და მომავალი

სურათი ნაჩვენები იქნება სამშაბათიდან 6 სექტემბრიდან საუკეთესო საზაფხულო კინოებში

დარბაზში და პალასში

ნ. 1647

---

13 სექტემბერს დილის 9 საათზე ქ. ქუთაისში ვოლოდარის ქუჩაზე ყაზარმების შენობაში (სამნეო ნაწილი)

მე-3-მე ქართულ მსროლელი ლეგიონი

ნიშნავს

საჯარო შეჯიბრითი ვაჭრობას

მოსახარში სანოვაგის (ხორცის და მწვანილის) მოსაწოდებლად 1927—28 საბიუჯეტო წლისათვის

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ ვსთხოვთ გამოცხადდენ დანიშნულ ადგილზე აღნიშნულ დროსათვის. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს 400 მან., რომელიც ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდებათ უკანვე, მხოლოდ იჯარის ამღებმა (ПОДРЯДЧИК) უნდა წარმოადგინოს 1800 მან. მძევლი.

ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება მე-3-მე ლეგიონის სამნეო ნაწილში.

მე-3-მე ქართ. მსრ. ლეგთავის თანაშემწე სამნეო დარგში: პ. კევლიშვილი

დამატებითი მატარებელი

ა | კ. რკინისგზათა გამგეობა იუწყება, რომ **ბორჯომიდან** მგზავრების გამოსაყვანათ 6 სექტემბრიდან **ინიშნება დამატებითი სამგზავრო მატარებელი** № 11—12 თბილისი—ბორჯომი, რომელიც კვირაში ოთხჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით გავა თბილისიდან ბორჯომში. გასვლის დრო თბილისიდან 14 ს. 55 წ., ხოლო ბორჯომიდან 23 ს. 30 წ. ადგილობრივი დროით.

ნ. 1652

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და გრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

იფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს რომ 10 სექტემბერს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ვეიქრის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება ევდოკი ექვთიმეს ასულის ნიქაბაძის ორ სართულიანი ქვიტკირის და აგურის სახლი № 8, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით მიწა 40 კვად. საჟენი, ლევანტი კობრეიძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 200 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. საქ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც.

სასტუმრო ორიანტი

საუკეთესო ოტელი კავკასიაში

შუაგულ თბილისში. სასახ. მახლობლად რუსთაველის გამზირი № 9

სავსებით დალაგებულია სისუფთავე, სიმშვიდე და მყუდროება. მდგმურებისათვის მოწყობილია: ვანები, საპარიკმახერო, ცხელი და ცივი წყალი ყველა ოთახებში ტელეფონები, ავტომობილები და სხ.

ოთახის ფასი 2 მან-დან დღეში

2—1 ნ. 1604

სამშაბათს, სექტემბრის 6-ს დღის 12 საათზე, აღმასკომის 1-ლ საბჭოთა სასტუმროს „ოტელ პალასი“-ს კანტორაში (პუშკინის ქუჩა № 4) დანიშნულია

შეჯიბრებითი ვაჭრობა

რომელზედაც გაიცემა ამავე სასტუმროს შენობის ზოგიერთი სამუშაოები: სახურავის გადახურვა და სხვა.

სამუშაოს რაოდენობას და პირობებს მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ კანტორაში. 3748

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 14 სექტემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში ადერბეიჯანის ქუჩაზე სახლი № 9 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა არონ ისხაკისძე ქვიტაიშვილის ერთ მეოთხედ ნაწილის უფლების ერთი ერთნახევარ სართულიანი არეული მასალით გაკეთებული სახლს, შემდგარის რვა ოთახისაგან სამი სამზარეულოსაგან და ოთხი ღალი საწყობისაგან, აგებულის ნაკვეთ მიწაზე ზომით 80 ოთხკუთ. საჟ. შეფასებულის ერთიმეოთხედის ნაწილის უფლება 300 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან გრიგოლ ობოლაძის და მარდახ ელიაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. და ვისაც სურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი.

ქ. შაუმიანის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ივანე მაჭველიანი

ამით აცხადებს, რომ ის ა | წ. 18 სექტემბერს ქ. შაუმიანში დღის, 12 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ორ სართულიან სახლს 12 ოთახით, ეზოთ და ყოველივე საჭიროებით და ერთი მეექვსედი ნაწილს წისქვილისას, ქ. შაუმიანში, კუთვნილი არტაშეს ეგორისძე როსტევახოვის, თანახმად შაუმიანის უბნის სახალხო სასამართლოსაგან გაკემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 1168, და აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სის. სამ. განყოფ. მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა № 10989, პრისტენკოს და სხვების ვალის დასაფარავად; ზემო აღნიშნული სახლი დაფასებულია 3.000 მან. და ერთი მეექვსედი ნაწილი წისქვილი 100 მან. 3746

ს. მ. უ. ს. სპირტის და კონიაკის ტრესტის „საქსახსპირტი“-ს დასკვნითი

ბალანსი

1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

განყოფილ.	ქვეგ.	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1			ქონება:		
	1		შენობანი და ნაგებობანი:		
		ა	შენობანი საწარმ. დამხმ. და სავაჭრო მნიშვნელობის.	185.362—08	
		ბ	საცხოვრებელი ბინები.	26.015—00	
		გ	ნაგებობანი.	3.300—98	
	2		მანქანები და გაწყობილებანი:		
		ა	ძალოვანი მოწყობილობა.	16.700—32	
		ბ	ტექნიკური განყოფილ. და მანქანები.	156.515—30	
	3		იარაღი:	2.593—82	
	4		ინვენტარი.	47.637—98	
	5		ტრანსპორტი.	5.037—46	443.162—94
2			სათადარიგო გაწყობილობა.		237—20
3			ქონების შეფასების ნამატი		397.112—77
4			დაუმთავრებელი შენობები.		13.364—89
5			დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი		5.819—09
6			მასალა:		
	1		ნედლეული და ძირითადი მასალა.	52.504—51	
	2		დამხმარე მასალა.	129.242—80	
	3		სათბობი მასალა.	2.147—98	
	4		სარემონტო საამშენებლო მასალა (მეურნეობა)	127—83	184.023—12
7			ნახევარ-ფაბრიკატები:		
	1		საწყობებში	427.040—86	
	2		გზაში	32.932—84	459.973—70
8			საქონელი და მზანაწარმი:		
	1		ქარხნების საწყობებში.	55.709 83	
	2		საკომისიოთ გადაცემული.	28.089—31	83.799—14
9			ფულადი სახსარი:		
	1		კასსა.	3.098—89	
	2		მიმდინარე ანგარიშები.	41 761—56	44.860—45
10			აქციები და პაიები სხვა საწარ.		131.988—12
11			სამისაღებო თამას. და საბუთები:		
	1		სამისაღებო თამასუქები:		
		ა	პროთესტში.	66.159 94	
	2		პროტესტქმნილი თამასუქები.	6 833—16	
	3		განაღდებული თამასუქები.	232.823—07	
	4		ფასდადებული ამანათები და სამისაღებ. დოკუმენტ.	3.709—91	309.526—08
12			ანგარიშ-სავალდებულო თანხები.		1.912—83
13			დებიტორები:		
	1		მუშა-მოსამსახურენი.	4 466—98	
	2		მომწოდებლები და მონარდენი.	43.170—74	
	3		მყიდველები.	61.565—02	
	4		სხვადასხვა დებიტორები.	18.805—74	
	5		საეჭვო დებიტორები.	10.615—56	
	6		უიმედო დებიტორები	38—00	138.662—04
14	1		სხვადასხვა ხარჯები		2.985—96
15			საწესდებო კაპიტალის შემცირება		134.827—83
			ბალანსი. მან.	—	2.352.256—16

პასივი

განყოფილ.	ქვეგ.	ლიტერი	მუხლების დასახელება	ჯამი: კერძო	ჯამი: საერთო
1			კაპიტალები:		
	1		საწესდებო.	837.433—08	
	2		საამორტიზაციო.	96.447—30	
	3		სარეზერვო	59.548—37	993.428—75
2			ფონდები:		
	1		მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვ. გაუმჯობ. ფონდი		
		ა	თავისუფალი ნაშთი		23.898—84
3			რეზერვები		
	1		საეჭვო ვალების		10.466—10
4			სესხები და კრედიტები:		
	1		ბანკები სპეციალ. მიმდინ. ანგარიშ.		
		ა	უზრუნველყოფილ საქონლით		165.247—78
5			გაცემული თამასუქები.		33 314—56
6			ბანკები განაღდ. თამასუქებით.		232.623—07
7			კრედიტორები:		
	1		მუშა-მოსამსახურენი.	1.920—54	
	2		მომწოდებლები და მონარდენი.	7.751—87	
	3		მყიდველები	105.998—90	
	4		გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:		
		ა	სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი.	83.154—46	
		ბ	ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ (გადასახადთა გარეშე)	26.986—37	
		გ	სოციალური დაზღვევის.	2.235 46	
	5		სხვა დასხვა კრედიტორები.	98.557—09	326.604—69
8			ძირითადი კაპიტალის გადაფასების ნამატი		397.112—77
	1		შედეგები:		
9			მოგება საანგარიშო წლისა		169.359—60
			ბალანსი. მან.		2.352.256—16

ბალანსის იქით მუხლები

1.	უზრუნველსაყოფად გაცემული თამასუქების პატრონნი	—	237.000—00
2.	საგარანტიო თამასუქები	—	49.415—88
	ჯამი. მან.	—	286.415—88

1.	გაცემული საგარანტიო თამასუქები	—	237.000—00
2.	ბეთ და გირაოთ მიღებ. ფასეულ პატრონნი	—	49.415—88
	ჯამი. მან.	—	286.415—88

ბალანსის გარეშე მუხლები:

1. მიწა 8 დეს. 884 კვ. საჟ.	44.480—00
ჯამი	44.480—00

მოგების განაწილება

მოგება 169.359 მან. 60 კაპ. საშემოსავლო გადასახადის 10% 16.935 მან. 96 კ. გამოკლებით 152.423 მან. 64კაპ. განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის ფონდში	10%	—15.242—36
2. სარეზერვო ფონდში	20 „	—30.484—72
3. საწარმოთა ხელმძღვანელ პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში	0,25 „	— 381—06
4. საბრუნავ კაპიტალის გასაძლიერ. დად.	29,75 „	—45.346—06
5. ხაზინის სასარგებლოდ	40 „	—60.969—44
სულ	100%	152.423—64

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის და საქ. ეკონომიურ საბჭოს მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმები №№ 1, 4, და 25) აქ. საბჭ. 1927 წ. 16 | 6, 11 | 7 და 22 | 7 თარიღით).

ზარალ—მოგების ანგარიში

ზარალი: მუხლების დასახელება	ჯამი	მოგება: მუხლების დასახელება	ჯამი
1. სავაჭრო ხარჯები	87.815—70	1. მოგება საქონლის და ნახევარ-ფაბრიკატ. რეალიზაციიდან.	487.990—00
2. საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	59.940—91	2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	5.575—06
3. გაცემული პროცენტები	47.285—28	3. მიღებული პროცენტები.	816—86
4. დანაკლისი მასალის, ნახევარ ფაბრიკატების და საქონლისა	53.654—16	4. მეტობა მასალის, ნახევარ-ფაბრიკატ. და საქონლისა	2.864—89
5. უიმედო ვალების ჩამოწერა	21.971—03	5. ჩამოწერილ უიმედო ვალების დაბრუნება	5.333—13
6. საეჭვო ვალების რეზერვი	10.466—10	6. მიღებული საურავი, ჯარიმა და სხვა	1.487—27
7. გაცემული საურავი, ჯარიმა და სხვა	25.874—09	7. საიჯარო შემოსავალი	1.431—21
8. კონსერვაცია ქმნილ საწარმოთა შენახვა	2.111—81	8. სხვადასხვა და შემთხვევითი შემოსავალი	1.393—29
9. სხვა და სხვა და შემთხვევითი ხარჯები	28.413—03		
ჯამი	337.532—11	ჯამი	506.891—71
ნაშთი: წმინდა მოგება	169.359—60		
ბალანსი მან.	506.891—71	ბალანსი მან.	506.891—71

ნ. 1648.

ტრესტის მმართველი ბ. რ. კიკნაძე

საქ. ს. მ. უ. ს. მთავარი ბუღალტერი პ. ჯანელიძე.

მთ. ბუღალტერი ან. გალუსტოვი

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოვს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი

ბ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი

მიღება დილის 8—10

ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

დაკარგზე პირ. წიგ. ფ. № 2321 რაჟდენ ქუთარის-ძე აკობიას სახელზე, ჩ. გ. 3741

დაკარგზე თბილისის ქალაქის ლომბარდის მიერ გამოცემული საგირაო ქვითარი № 5241 ჩ. გ.

დაკარგზე პირადობის მოწმობა მიღებული მ.-გ. მილიციიდან 1921 წ სოფიო დიმიტრის ასული ბერეკიძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგზე კავშირის წიგნაკი № 937. უვადო პასპორტი № 693 და სახლის პატრონის ხელწერილი ქირის გადახდის შესახებ ისმაილ იუ უფოვ გუსეინ გული ოღლის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგზე ქ. გორის მე-3 შრ. სკოლის მიერ გაცემული ატესტატი № 359. თბილისის პირ. სახელმწიფო საბუხჰალტრო კურსების მიერ გაცემული ატესტატი № 893 სამხედრო, ბეგარიდან განთავისუფლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და სხვა პირადი საბუთები გიორგი [illegible]ან-ძე კაიშაურის სახელზე, ჩ. გ. 3743

დაკარგზე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 18471 შალვა იოსებისძე იმედაშვილის სახელზე ჩ. გ. 3745

დაკარგზე მეტრიკული ამონაწერი № 1237 ვერა ივანეს ასული ადამიას სახელზე, ჩ. გ.

დაკარგზე პირადობის მოწმობა № 3 ნიკიფორე ივანესძე კუხიანიძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგზე მოწმობა იაკოფ აბრამისძე შაპლაჟიდის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგზე მოწმობა ბავშის გარდაცვალების შესახებ ვიქტორ სტეფანესძე გოგიძის სახელზე, ჩ. გ.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიული განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ნინა სუმბათის ასული თუმანოვმა შემოიტანა განცხადება. მისი გვარის ახალი გვარი ლაზარიევაზე შეცვლის შესახებ.

საერთო საადმ. ქ | განყ. უფროსი კიღურაძე

მმაჩის ბიუროს გამგე ევტიხი ჩახუნაშვილი

საქმისმწარმოებელი კიკალიშვილი